წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: ) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ღ ი უ რ ი

- ესპანეთ-საფრანგეთის ჯარებმა მაროკოში [illegible] დაიწყეს.
- ჩინეთის სახალხო არმიამ დაამარცხა [illegible] ჯარი.
- დაიწყო სპარსეთის მეჯლისის არჩევნები.
- ამუნდსენის დირიჟაბლი „ნორვეგია“ შპიცბერგენზე მიფრინდა.
- მოსკოვის საბჭოს თავჯდომარეთ არჩეულია ამხ. უხანოვი.

კვირა, 9 მაისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 103 (1558)

## საერთაშორისო პროლეტარიატი და გაფიცვა ინგლისში

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

„ინგლისის პროლეტარიატის გამოსვლამ ფეხზე დააყენა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ყველა ქვეყნების მუშები. თუ ბრძოლის დაწყებამდე შეხვდებოდით რეფორმისტულ პრესაში სკეპტიკურ შენიშვნას, ურნდობლობას მილიონ მუშების გამოსვლის შესაძლებლობისადმი, გულგრილ დამოკიდებულებას ინგლისის პროფკავშირებისადმი მათი „ცუდი პოზიციის“ გამო მთლიანობის საკითხში,—გაფიცვის დაწყების შემდეგ გერმანიის და ჰოლანდიის კათოლიკურ და ლიბერალურ პროფკავშირებმაც კი გამოიტანეს დადგენილება წინააღმდეგობა გაუწიონ ნახშირის გაგზავნას ინგლისში.

სიმპატიის ეს უდიდესი ტალღა, რომელიც გამოდის მუშათა მასების სიღრმიდან, ყველგან ვერ პოულობს საკმაო ორგანიზაციულ გამოხატულებას. ბევრ ქვეყნებში ორგანიზაციის რეფორმისტული ზედაფენა, რომელიც იძულებულია მხარი დაუჭიროს გაფიცვას, ცდილობს დაკმაყოფილდეს მხოლოდ სიტყვიერი სოლიდარობით.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია გერმანიის და საფრანგეთის რეფორმისტულ პროფკავშირების ხელმძღვანელების მოქმედება: ისინი გამოვიდენ ყველაზე უფრო გვიან, მიუხედავათ იერიშებისა ქვემოდან, და დაადგენ ისეთ პოზიციას, რომლის დროს არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყვეთ, რომ სიტყვა საქმეთ იქცევა.

ინგლისის მუშათა კლასის ბრძოლის ყოველ დღეს საერთაშორისო სოლიდარობის ასპარეზზე გამოჰყავს ყველა ქვეყნებში მუშების ახალი ფენები, რომლებიც მოითხოვენ თავის ხელმძღვანელებისაგან სერიოზულ და აქტიურ დახმარებას გაფიცულებისათვის. მასების ზეგავლენით რეფორმისტული ზედაფენები იძულებული ხდებიან წავიდენ დათმობაზე და აცხადებენ თავის სოლიდარობას, მაგრამ ცდილობენ არ გასცილდენ ამ ცალიერ, არახელშესახებ სოლიდარობას. რეფორმისტებს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც სურთ ინგლისის დაბრკოლებები გამოიყენონ ნაციონალური მრეწველობის ინტერესებისათვის; აქედან გამომდინარეობს უკიდურესი სიფრთხილე და თავშეკავებული ტონი, განსაკუთრებით გერმანიის რეფორმისტულ წრეებში.

დღომარეობა გვავალებს. კონფლიქტი იმდენად გრანდიოზულია, ის იმდენად მნიშვნელოვანია, მასების ზეგავლენა იმდენად ძლიერია, რომ დუმილი ამ საკითხში თვითლიკვიდაციას მოასწავებდა. ეს (გამოტოვებულია)... გამოსვლა პროფმოძრაობის მთელ რიგ ხელმძღვანელების, რომელთა სახელები თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული.

მაგრამ ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს შემდეგი: რამდენად დიდ ინტერესს იჩენენ ყველა ქვეყნის მუშათა მასები გაფიცვისადმი და რამდენად ხორციელდება მათი გულწრფელი სურვილი დაეხმარონ ინგლისის პროლეტარიატს. დავიწყოთ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ამსტერდამის ინტერნაციონალმა, სამთო-მადნო და ტრანსპორტის მუშების ინტერნაციონალმა, ხოლო ეხლა სოციალისტურმა ინტერნაციონალმაც, თავისი სოლიდარობა გამოუცხადეს ინგლისის პროლეტარიატს. ყველა ამ ორგანიზაციებიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციამ გადასდგა რეალური ნაბიჯები ინგლისელ მუშების გაფიცვის დასახმარებლად. ის ევროპის ყველა სანაპიროებზე აწყობს ბოიკოტს ინგლისის გემებისადმი და ინგლისში გასაგზავნ ტვირთებისადმი, ეს კი ისეთი რამ არის, რაც მას პირველ ყოვლისა შეუძლია და უნდა გააკეთოს.

რაც შეეხება დანარჩენ საერთაშორისო გაერთიანებებს, მათი რეალური დახმარება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანმა უდეგესტმა ამას წინად განაცხადა, რომ დახმარება ინგლისელ მუშებს დასჭირდებათ მხოლოდ ოთხი კვირის გაფიცვის შემდეგ. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, ამსტერდამის ინტერნაციონალი ჯერ-ჯერობით მოლოდინის პოზიციაზე სდგას.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ამსტერდამის პროფკავშირებს, ისინი გზავნიან თანაგრძნობის რეზოლიუციებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით უარს ამბობენ თავ-თავის ქვეყნებში ისეთი ორგანოების შექმნაზე, რომლებმაც არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა განახორციელონ ნამდვილი სოლიდარობა ინგლისის პროლეტარიატის მიმართ.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სოციალ-დემოკრატიული და რეფორმისტული პროფესიონალური ორგანიზაციები ძალიან დიდ სიფრთხილის და მოლოდინის პოზიციას იჭერენ გაფიცვის მიმართ. რატომ? ორი მიზეზით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს საყოველთაო გაფიცვაა; მეორე, იმიტომ, რომ ამ გაფიცვას ინგლისის ტრედიუნიონები ხელმძღვანელობენ.

სულ სხვა სურათს ვხედავთ მუშათა საერთაშორისო მოძრაობის მემარცხენე ბანაკში. ჯერ კიდევ დიდი ხნით წინ კონფლიქტამდე, კომინტერნმა და ყველა მათ მომხრე ორგანიზაციებმა ხმა აიმაღლეს. დოკუმენტებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ სწორედ ეს ინტერნაციონალები მიუთითებდენ მოსალოდნელი კონფლიქტის საერთაშორისო მნიშვნელობაზე და საჭიროთ სთვლიდენ, რაც არ უნდა დაჯდეს, საერთაშორისო დახმარების აღმოჩენას ინგლისელ მუშებისათვის.

სწორედ იმიტომ, რომ კომინტერნს და პროფინტერნს გათვალისწინებული ჰქონდათ მოსალოდნელი კონფლიქტის ხასიათი და შედეგები, მუშათა მასების ყურადღების ცენტრში დაისვა სხვადასხვა მიმართულების მუშების მოქმედების მთლიანობის და შეთანხმებულად გამოსვლის საკითხი. ინგლისის გაფიცვის დასახმარებლად პროფინტერნმა ორჯერ მისცა წინადადება ამსტერდამის ინტერნაციონალს, რომ ორივე ინტერნაციონალი გაერთიანებულად გამოსულიყო ინგლისელ მუშების დახმარების საქმეში. პროპაგანდის მთავარი საერთაშორისო კომიტეტები ცალ-ცალკე წარმოებებში სათანადო ინტერნაციონალებს ასეთივე წინადადებით მიმართავდენ შეთანხმებულად გამოსვლისათვის. კომინტერნის პრეზიდიუმმა და პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მოუწოდეს ყველა მის მომხრე ორგანიზაციებს: ყველაფერი გაეკეთებიათ იმისათვის, რომ მიღწეული ყოფილიყო მოქმედების მთლიანობა. ამ ორივე ინტერნაციონალის მომხრე ორგანიზაციებმა სათანადო წინადადებით მიმართეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს და ამსტერდამის პროფკავშირებს.

ყველა წინადადებებს, რომელთაც პროფინტერნი, ცალკე პარტიები და რევოლიუციონური კავშირები აძლევდენ ერთიანი ფრონტის შესახებ, ყოველგან, გარდა ჩეხო-სლოვაკიისა, უარყოფდენ ყოველგვარი მიზეზის დაუსახელებლად.

ჩვენ კი ვიცით, რა იყო ამის მიზეზი. მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალები წამდა-უწუმ „ამხელენ“ პროფინტერნსა და კომინტერნს იმაში, რომ უკანასკნელთათვის ერთიანი ფრონტი მანევრს წარმოადგენს. მეორე მხრით, ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ უარყოფს იმას, რომ ყველა მიმართულების მუშების გაერთიანებულად მოქმედება გამარჯვების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ამრიგად, ჩვენი „მანევრი“ იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალურ გამარჯვებას მივაღწიოთ. ვისი გულისთვის? მებრძოლ მუშების ინტერესების გულისთვის.

ამრიგად, ოდნავადაც რომ ჩაუკვირდეთ ამ საკითხს და უკუვაგდოთ ჩვეულებრივი იაფფასიანი დემაგოგია, ყოველი მუშისათვის ნათელი უნდა იქნეს, რომ ერთიანი ფრონტი არის მანევრი, მიმართული ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად. ხოლო რამდენი ხანია ასეთი მანევრი დასაგმობი გახდა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროლეტარიატისათვის ასეთი მანევრი მეტად სასარგებლოა, რადგან ის იწვევს მუშათა კლასის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებას, მისი რიგების განმტკიცებას, და შეკავშირებას და უფრო წარმატებით ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

კომინტერნმა და პროფინტერნმა, მიუხედავათ იმისა, რომ მათ არა ერთხელ უარი უთხრეს შეთანხმებულად გამოსვლაზე, კვლავ მიმართეს მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების აღმასკომთა კონფერენციას, რომელიც 11 მაისს იკრიბება ამსტერდამში, და მოითხოვეს ინგლისელ მუშებისათვის დახმარების შეთანხმებულად გაწევა. ჩვენ ჯერ კიდევ პასუხი არ მიგვიღია. და ვფიქრობთ, რომ ყოვლად შეუძლებელია გამართლებულ იქნეს უარის თქმა გაერთიანებულად გამოსვლაზე, თუ მათ ოდნავ მაინც სურთ რეალური დახმარების გაწევა ინგლისელ მუშებისათვის. რა შეუშლის ხელს ინგლისის მუშებისათვის შეთანხმებულად ბოიკოტის გამოცხადებას? რატომ ხელი არ უნდა შეუშალონ სხვადასხვა კავშირებში შემავალ მუშებმა სხვადასხვა პარტიების წევრებმა ინგლისში გასაგზავნ ქვა-ნახშირის და საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვას! რატომ არ უნდა შექმნან კომინტერნის, პროფინტერნის, მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების წევრებმა მოქმედების კომიტეტი, რატომ არ უნდა შეკრიბონ ერთად ფული და სხვ. იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიონ დიდი ბრიტანეთის მუშებს? შესაძლებელია თუ არა, რომ არსებულმა უთანხმოებამ ხელი შეუშალოს ასეთ მოქმედებებს? არავითარი შემთხვევაში, თუ არის მოქმედების მცირედი სურვილიც კი.

მაგრამ მთლიანი ფრონტისადმი მტრული დამოკიდებულება, რომელიც გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატების ზემოფენებიდან და რეფორმისტულ პროფკავშირებიდან, იმდენათ ეწინააღმდეგება მუშათა მასების ელემენტარულ ინტერესებს, რომ მოქმედების მთლიანობა იქმნება ზედა ფენების სურვილის გარეშე და იწყება ქვევიდან. საფრანგეთის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების მთელ რიგ რაიონებში მუშები ჰქმნიან მთლიანობის ორგანოებს. გაერთიანებული ფრონტით აწყობენ თავის ძალების მიხედვით, ინგლისის მუშების დახმარების საქმეს.

მეორეს მხრივ ყველა ქვეყნების რევოლიუციონური კავშირები მხურვალედ გამოეხმაურნენ კომინტერნის მოწოდებას გაფიცულთათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. ამ მოწოდებას პირველად გამოეხმაურა საბჭოთა პროფმოძრაობა. საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ და საბჭოთა პროფკავშირების ცენტრალურ ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მთელი 8 მილიონი წევრების სამუშაო ხელფასი ერთი მეოთხედის გადარიცხვის შესახებ ინგლისის გაფიცულების სასარგებლოთ. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო შეეკითხა გენერალურ საბჭოს—რა ფორმით ურჩევნია მას დახმარების მიღება—ფულით თუ პროდუქტებით? საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო არ იზიარებს უდეგესტის შეხედულებას, რომ დახმარების გაწევა უნდა დაიწყოს მხოლოდ 4 კვირის შემდეგ, ვინაიდან მან იცის, რომ პროლეტარიატს არა აქვს საკმაო მარაგი. ამიტომ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭომ უკვე გაუგზავნა გენერალურ საბჭოს—2.250.000 მანეთი.

ეხლა არ არის საკმარისი სოლიდარობის გამოცხადება. საჭიროა მოქმედება და მატერიალური დახმარება. აი აზრი სოლიდარობის დიადი აქტისა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მხრივ, რომელიც ინგლისის გაფიცულ მუშებს გაუგზავნა 2.250.000 მანეთი.

ინგლისის გაფიცვა, რომელმაც გამოიწვია ენტუზიაზმი სხვადასხვა ქვეყნების მილიონ პროლეტარებს შორის, აშკარათ დაგმობილ იქნა მხოლოდ ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერების მიერ. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე **ვილიამ გრინი**, ეს გომპერსის ღირსეული მემკვიდრე, ჰგმობს ინგლისის საყოველთაო გაფიცვას, რადგან ის საფრთხეში აგდებს „თვით მთავრობის არსებობას“. ხოლო რადგან ეს ვაჟბატონი მხარს უჭერს ყოველ მთავრობას, ოღონდაც კი ბურჟუაზიული იყოს ის, ამიტომ მას აღარ შეუძლია მოინელოს, რომ ინგლისის მუშები ასე „უზრდელათ“ ეპყრობოდენ ბურჟუაზიას. მისტერ გრინს არ ჩამორჩება ამერიკის სამთა-მადნო მუშების თავმჯდომარე **ლიუისიც** ამ ვაჟბატონმა მიმართა ამერიკის მთავრობას განცხადებით, რომ კავშირი არ დაუშვებს არავითარ სოლიდარულ გამოსვლას ინგლისის სამთა-მადნო მუშების მიმართ.

ამ გამოსვლებზე ლაპარაკი ზედმეტია. თვით ჩერჩილი ვერ იტყოდა ამაზე უკეთესად. ამიტომ თავი დავანებოთ ბატონ გრინს და ლუისს. ისინი თავის დროზე ამერიკის პროლეტარიატისაგან მიიღებენ რაც დაიმსახურეს.

ამერიკის პროფმოძრაობის ბელადების გამცემლობა ვერ შეცვლის ენტუზიაზმს ყველა ქვეყნების მუშებს შორის, ვერ შესცვლის მათ სოლიდარობას ინგლისის მშრომელთა გიგანტური ბრძოლისადმი. მუშათა მასები გააკეთებენ ყველაფერს გაფიცულთათვის დასახმარებლათ. ამის თავდებია მუშათა კლასის სულიერი განწყობილება. და როცა არსებობს ასეთი განწყობილება, მაშინ აუცილებლად იქმნება მთლიანი ფრონტი. მიუხედავათ ზედაფენების წინააღმდეგობისა. ინგლისის ამბებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ მხრივ. ის კიდევ ერთხელ დაანახვებს ყველას, რომ მუშებს შეუძლიათ გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენ მთლიანი ფრონტით, ხოლო ეს საერთაშორისო პროლეტარიატის მნიშვნელოვანი მიღწევაა. სოლიდარობა არა სიტყვით, არამედ საქმით; ნამდვილი და არა ზერელე დახმარება; მოქმედების მთლიანი ფრონტი—აი სადღეისო ამოცანა“.

**ა. ლოზოვსკი.**

მოსკოვიდან ტელეგრაფით.
8 მაისი.

# ინგლისის მუშათა კლასის ბრძოლა

## მუშათა მთავრობის შექმნის პრობლემა აქტუალური ხდება

**ბალდუინის მთავრობა—კაპიტალისტების შტაბი.—გენერალური საბჭო არ მიდის არავითარ დათმობაზე.—სრულიად შეწყდა გემების მიმოსვლა ინგლის-გერმანიას შორის.—ლონდონის ქუჩებში დადიან ჯავშნოსნები**

### საკლატვალას სიტყვა

**ლონდონი**, 7 მაისი. დადმოგვცემენ დაწვრილებით ცნობებს, თემთა პალატის იმ სხდომის შესახებ, რომელზედაც განხილული იქნა რევოლიუციონურ პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხი. ამ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა-დეპუტატმა **საკლატვალამ**.

კონსერვატორმა პოლკოვნიკმა **ბერ-გოინმა** წარადგინა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს პალატას „მიიღოს გაბედული ზომები ინგლისში და მთელ იმპერიაში წარმოებულ რევოლიუციონურ პროპაგანდის ჩასაქრობათ, პროპაგანდას სამოქალაქო მოსახლეობის და ჯარებს შორის ეწევიან ის ორგანიზაციები, რომელთაც მიზნათ დაისახეს ინგლისში არსებული წესწყობილების დამხობა“.

ბერგოინის რეზოლიუციას მხარი დაუჭირა გენერალმა **ნოკსმა**, ინგლისის ყოფილმა სამხედრო ატაშემ რუსეთში 1911—1918 წლამდე და სამხედრო მისიის თავმჯდომარემ სერბიაში 1918—1920 წ. დაემყარა რა თავის „გამოცდილებას რუსეთის საქმეებში“, ნოკსი ამტკიცებდა ჯარებს შორის პროპაგანდის საშიშროებას.

ამის შემდეგ **საკლატვალამ** წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„მე მსურს გულწრფელად განუმარტო თემთა პალატას ჩემი მისწრაფება, როგორც კომუნისტურ პარტიის წევრისა. მე წევრი ვარ დაჩაგრული კლასისა, რომელსაც ჩემმა კლასიურმა მოწინააღმდეგეებმა ყველაფერი წაართვეს. საწარმოო საშუალებანი და აგრეთვე მშრომლების მიერ შექმნილი სიმდიდრე ჩვენი კლასიური მოწინააღმდეგეების ხელში იმყოფება. ეხლა მეუბნებიან, რომ უნდა დაიცადო, სანამ ჩემს განკარგულებაში იქნება საკმაო საშუალება, რათა დავაკმაყოფილო ყველა ისინი, ვინც დაეპატრონა ქვეყნის სიმდიდრეს. როდესაც ასეთი წინადადება მესმის, მე არა მჯერა მათი განხორციელება და ვამბობ: არა, ჩემის აზრით, საწარმოო საშუალებათა მოსაპოვებლად, საჭიროა ბრძოლით მათი ხელში ჩაგდება.

ოქტომბრის რევოლიუციამდე იყო ტრადიცია, რომ არმიის კანონმდებლობის და საკანონმდებლო ორგანოების მოვალეობას შეადგენდა არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების ხელის შეწყობა. ბუნებრივია, მე ვფიქრობ, თუ რა შემემთხვევა, როდესაც გულწრფელად და კითილსინდისიერათ შევეცდები იმის განხორციელებას, რასაც პარტია მასწავლიდა—სახელდობრ, საწარმოო საშუალებათა ხელში ჩაგდებას. ჩემი მოწინააღმდეგის განკარგულებაში იქნება ზარბაზნები, თოფები, რევოლვერები, ჰაეროპლანები, ყუმბარები. ყველაფერ ამის წინააღმდეგ მე არ შემიძლია გამოვიდე ცალიერი ხელებით ან საგიტაციო სიტყვებით. და რადგან მე არ შემიძლია შევიარაღდე, უნდა მივიდე იმათთან, ვინც შეიარაღებული არიან და უთხრა: „არ მესროლოთ, მე თქვენი მეგობარი ვარ, ჩვენ თქვენი მეგობარი ვართ“.

**აგიტაცია არმიაში სწარმოებს იმისათვის, რათა ნიადაგი მოუმზადოთ სოციალურ რევოლიუციას.** მე ვაფრთხილებ პატივცემულ პალატის წევრებს, რომელნიც მოწინააღმდეგე სკამებზე სხედან, რომ ისინი, ან უნდა შეურიგდენ ამას, ან უნდა მიიღონ ზომები ამ მზადების შესაწყვეტად. თუ თქვენ გნებავთ ამ სამზადისის შეჩერება, უნდა აკრძალოთ კომუნიზმი დღეს, სოციალიზმი—ხვალ, მუშათა პარტია და ტრედ-იუნიონები ზეგ. დიდხანს ასეთი კურსის განგრძობას თქვენ ვერ შესძლებთ“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიქსმა ამის შემდეგ წარმოსთქვა მეტად პროვოკაციული სიტყვა, რომელშიაც განაცხადა:

„თუ ვინმე აქ ან პარლამენტის გარეშე მყოფი იფიქრებს, რომ დადგა დრო ხელი შეუშალონ დემოკრატიულ მთავრობის ქვეყანაში წესრიგის და კანონის დაცვის საქმეში, ის დარწმუნდება, რომ ეს დემოკრატიული მთავრობა მიიღებს ასეთ გამოწვევას“.

### საერთო მდგომარეობა

#### ლონდონი გაფიცვის დროს.

**ლონდონი**, 7 მაისი. ლონდონის ქუჩებში მოძრაობა სრულიად მოშლილია.

გაზეთების გამოუსვლელობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. **როდესაც „ტაიმს“-მა გამოუშვა ერთ გვერდიანი „ნომერი“, რომელიც დაბეჭდილი იყო საწერ მანქანაზე, ბურჟუაზიული ობივატელური წრეები უფრო მეტად შეშფოთდენ, ვიდრე საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების დროს.**

თეატრები ყოველ ძალღონეს ხმარობენ, რომ გაგრძელდეს წარმოდგენების გამართვა. **ლონდონის 8 დიდი თეატრი დახურულია**, პატარა თეატრები ღიაა და გაჭედილია ხალხით. სკოლებში სწავლა გრძელდება, მაგრამ მიმოსვლის საშუალებათა უქონლობა ძალიან აფერხებს მოწაფეების სიარულს სკოლაში.

ბურჟუაზია მთელ იმედებს ამყარებს იმაზე, რომ პროფკავშირების სალაროები დაცარიელდებიან. მთავრობის წევრები ირწმუნებიან, რომ პროფკავშირების თანხები იკმარებს არა უმეტეს ორი კვირისა, მაგრამ ეს არავის ამშვიდებს. გამოანგარიშებულია, რომ ერთი კვირის გაფიცვა ინგლისის მეურნეობას დაახლოვებით 25 მილიონი გირვ. სტერლინგი დაუჯდება, ე. ი. იმდენი, რამდენიც დასჭირდებოდა სახელმწიფო სუბსიდიათ მაღაროების მეპატრონეებს ერთი წლის განმავლობაში.

#### გაფიცვა ფართოვდება

**ლონდონი**, 7 მაისი. 7 მაისს გაიფიცენ ველინგბოროს ლუმელების მუშები.

**დაიხურა რამდენიმე ბამბის ფაბრიკა პრესტოვის რაიონში.**

#### თემთა პალატა უელექტრონოთ

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მიღებულ ცნობების თანახმად. გაფიცვის კომიტეტმა მოხსნა მუშაობიდან პერსონალი, რომელიც მუშაობდა თემთა პალატის ელექტრონის განათებაზე.

#### „რეიტერიც“ კი აღნიშნავს.

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტოს პარლამენტის კორესპონდენტი ეხება ინგლისის დღევანდელ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ **„სამთამადნო მუშები სამაგალითოდ მოქმედებენ“.**

#### გაფიცვა 100 პროცენტით.

**ლონდონი**, 7 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ლონდონელ კორესპონდენტმა მიიღო (დამახინჯებულია)... ნავთსადგურიდან სპეციალური დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ მაღაროებმა, დოკებმა, რკინისგზებმა, ტრამვაიმ და ავტობუსებმა **შესწყვიტეს მუშაობა 100 პროცენტით.** პროფკავშირთა ადგილობრივი საბჭოს მდგომარეობა მტკიცეა. გაფიცულთა სულიერი განწყობილება შეურყეველია.

#### შეტაკება მიდელსბოროში.

**ლონდონი**, 7 მაისი. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, მიდელსბოროში რამდენიმე შეტაკება მოხდა. რკინის გზის ლიანდაგს ჯაჭვით მიაბეს რამდენიმე მძიმე საბარგო ავტომობილი, მატარებლის მიმოსვლის შესაფერხებლად. გარდა ამისა ბრბომ დაანგრია საქონლის სადგური. მეზღვაურთა რაზმმა რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ გასწმინდა ლიანდაგი.

#### ოპტიმიზმი და სინამდვილე.

**ლონდონი**, 7 მაისი. ეხლახან გამოქვეყნებულ მთავრობის ცნობაში ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ აღნიშნულია, რომ ზოგიერთ რკინისგზაზე განახლდა, როგორც პირდაპირი, ისე ადგილობრივი მატარებლების მიმოსვლა. მატარებლების რიცხვი ჩქარა გაიზარდა. ინგლისის ცენტრალურ ნაწილის და შოტლანდიის რკინისგზებზე დადის სამგზავრო მატარებლების ნახევარი რიცხვი. ლონდონის მეტროპოლიტენის მუშაობა ახლო მომავალში განახლდება.

დასასრულ მთავრობის ცნობაში ნათქვამია, რომ მდგომარეობა ტრანსპორტზე ამჟამად გაცილებით უკეთესია, ვიდრე ერთხელ წინეთ იყო ანალოგიურ პირობებში (ლაპარაკია, 1919 წ. რკინისგზელების გაფიცვაზე).

**გენერალურ საბჭოს წრეებში მთავრობის ოპტიმიზმი სიცილს იწვევს.** ამჟამად დადის მხოლოდ [illegible] მატარებლები, რომელთაც გადაჰყავთ მგზავრები და გადააქვთ სურსათ-სანოვაგე. თვით რკინისგზების კამპანიების ცნობით, ლონდონიდან გუშინ გავიდა არა უმეტეს ორი ათეული მატარებლისა. პროვინციალურ ცენტრებს შორის, ოფიციალურ ცნობების თანახმად, დადის 1—2 მატარებელი.

რაც შეეხება ლონდონის მეტროპოლიტენის მუშაობას, **საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი დარწმუნდა, რომ სადგურებზე, რომელნიც გუშინ ღია იყვნენ, დღეს გამოკიდებულია პლაკატები: „მატარებლები არ დადიან“. ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში მუშაობს 8 ტრამვაის ვაგონი, ამასთანავე მთელ რკინისგზის ხაზზე დაყენებულია პოლიცია. სპეციალურ დანიშნულების ტრამვაის ვაგონებს თან ახლავს ჯავშნიანი ავტომობილები.**

#### მუშების კვების საკითხი.

**ლონდონი**, 7 მაისი. ამ კვირის განმავლობაში მუშათა კვების საკითხი მწვავედ არა სდგას, ვინაიდან გაფიცვა დაიწყო ხელფასის მიღების შემდეგ, მაგრამ მომავალ კვირაში განზრახულია მოეწყოს მკვებავი პუნქტები რაიონებში. ბევრ ადგილებში მოქმედების საბჭოებმა უკვე შეადგინეს „კვების კომიტეტები“, რომლებიც აწყობენ საზოგადოებრივ სასადილოებს.

#### გენერალურ საბჭოს პირობები

**ლონდონი**, 7 მაისი. ტრედიუნიონების გენერალური საბჭოს მიერ 6 მაისს მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია:

**„საბჭო აცხადებს, რომ მზადაა განაახლოს მოლაპარაკება იმ მიზნით, რათა საპატიოთ დამთავრდეს კონფლიქტი, მაგრამ უარყოფს მთავრობის მოთხოვნილებას საყოველთაო გაფიცვის წინასწარ შეწყვეტის შესახებ“.**

**ლონდონი**, 7 მაისი. გენერალურ საბჭოს ორგანო „ბრიტანელი მუშა“ შემდეგნაირად ახასიათებს ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს პოზიციას:

**გენერალური საბჭო მუდამ მზადაა დაიწყოს წინასწარი მოლაპარაკება ლოკაუტის შეწყვეტის, საყოველთაო გაფიცვის დამთავრების შესახებ და განაახლოს მოლაპარაკება სამთამადნო მუშათა და მაღაროების მეპატრონეთა შორის.**

ზემოაღნიშნულ წინასწარ მოლაპარაკებისათვის არავითარი პირობები არ უნდა იქნეს წამოყენებული. გენერალურ საბჭოს ასეთ განცხადებას ხსნიან იმით, რომ საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობა უარყოფითად უცქერის საბჭოს ორი წევრის პოზიციას. (უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ მოლაპარაკების განახლება შეიძლება საყოველთაო გაფიცვის და ლოკაუტის შეწყვეტის და სამთა-მადნო მუშების ძველი ხელფასის დატოვების საფუძველზე მთავრობის იმ სუბსიდიის ხარჯზე, რომელიც ნახშირის მრეწველობას მიეცემა მოლაპარაკების გათავებამდე). ეს განცხადება საბოლოოთ აბათილებს „დეილი მეილში“ მოთავსებულ ცნობას იმის შესახებ, რომ გენერალური საბჭო „მზადაა დაუყოვნებლივ შესწყვიტოს გაფიცვა იმ პირობით, თუ მაღაროს მეპატრონეები შესწყვეტენ ლოკაუტს სამთომადნო მუშებისადმი.

#### გენ. საბჭოს პოზიცია.

**ლონდონი**, 7 მაისი. ტრედუნიონების კონგრესი სგენერალურ საბჭოს სხდომა შეუჩერებლად გრძელდება. არავითარი ნიშანი არ სჩანს, რომ გენერალური საბჭო აპირებს შემარიგებელ პოზიციაზე გადასვლას, თუმცა მაკდონალდმა განაცხადა:

„მე ვხმარობ ყოველივე ძალღონეს, რათა არც ერთი წუთი არ დარჩეს გამოუყენებელი, რომ გამონახულ იქნეს კონფლიქტის მშვიდობიანათ გადაჭრისა და შეთანხმების მიღწევის საშუალება“.

#### მუშების თვითდაბეგვრა.

**ლონდონი**, 7 მაისი. იმ მუშებმა, რომლებიც სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში მუშაობენ, სადაც გენერალურ საბჭოს დადგენილებით ჯერ მუშაობა არ შეწყვეტილა, დაადგინეს გაატარონ თვითდაბეგვრა გაფიცულების სასარგებლოთ.

#### გაფიცვა და კოოპერაცია.

**ლონდონი**, 7 მაისი. ზოგიერთ რაიონში გაფიცვის კომიტეტები და ცალკე პროფკავშირები შეუთანხმდენ კოოპერატიულ ორგანიზაციებს გაფიცულთათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების შესახებ.

საერთო შეთანხმება პროფკავშირების გენერალურ საბჭოსა და ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის ჯერ არ არის დადებული.

#### „ბრიტანეთის მუშის“ ტირაჟი

**ლონდონი**, 7 მაისი. პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს გაზეთის „ბრიტანეთის მუშის“ **გუშინდელი ნომერი გაყიდა 500.000 ეკზემპლიარი.**

#### მთავრობის ხრიკები.

**ლონდონი**, 7 მაისი. უკანასკნელ 2 დღის განმავლობაში ხელისუფლების ზოგიერთმა ორგანოებმა, მათ შორის ნიუკესტლის მუნიციპალიტეტმა და კარავან ვორშირის საგრაფოს საბჭომ მიიღეს რეზოლიუციები, რომლებიც მოუწოდებენ მოლაპარაკების განახლებისაკენ საყოველთაო გაფიცვის და ლოკაუტის შეწყვეტის საფუძველზე. ამავე დროს უნდა დარჩეს სამთომადმო მუშების ძველი ხელფასი მთავრობის იმ დროებითი სუბსიდიის ხარჯზე, რომელიც უნდა მიეცეს ნახშირის მრეწველობას მოლაპარაკების დამთავრებამდე.

**კომუნისტური გაზეთი „უორკერს ბიულეტენ“-ი ილაშქრებს ამ რეზოლიუციების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ეს რეზოლიუციები წარმოადგენენ მუშების მოტყუების ცდას.**

მაგრამ სარწმუნო წრეებში ფიქრობენ, რომ ასეთ წინადადებას მხარს უჭერს ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს ერთი თუ ორი წევრი. უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ სამთომადნო მუშების ხელფასის დაკლება აუცილებელია ყოველ მიზეზს გარეშე. მაგრამ გენერალურ საბჭოს უმრავლესობა უარყოფით უცქერის ასეთ ტაქტიკას.

#### თემთა პალატაში

**ლონდონი**, 7 მაისი. თემთა პალატის თავმჯდომარემ (სპიკერმა) შეკითხვის საპასუხოთ მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ მუშაობას თავი გაანებეს მოსამსახურეებმა, რომელნიც მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ პარლამენტში. სპიკერს დაუშვებლათ მიაჩნია, რომ ვისიმე მოქმედებამ პალატა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, როცა მას აღარ შეეძლება მუშაობის განგრძობა: თუ საჭიროება მოითხოვს მე სხდომას ჩავატარებ ელექტრონის განათებისა და დაბეჭდილ ანგარიშების გამოქვეყნების გარეშეც.

დიდი აურ-ზაური გამოიწვია ერთერთ კონსერვატორ დეპუტატის განცხადებამ, თითქოს მუშათა პარტიის დირექტივებით მომქმედი რაზმი ყოველ-დღე ამტვრევდენ ხორცით დატვირთულ საბარგო ავტომობილებს. მუშათა პარტიის დეპუტატებმა უარყვეს ეს განცხადება და გადაჭრით მოითხოვეს, რომ ის უკან წაეღოთ.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მუშათა პარტიის წევრმა ლანსბერმა, რომელმაც პარლამენტში ელექტრონის მიწოდების მოსალოდნელ შეწყვეტის გამო განაცხადა, რომ ყოველგვარ უხერხულობას, რომელიც წარმოიშობა კონფლიქტის გამო, ჰბადებს მხოლოდ ის, რომ მთავრობამ ზიზღით უარყო ტრედ-უნიონების წინადადება—რათა გაფიცვა არ შეხებოდა ზოგიერთ განსაკუთრებულ მნიშვნელობის მქონე დარგებს.

#### გენერალურ საბჭოს აპარატი.

**ლონდონი**, 7 მაისი. პროფკავშირთა გენერალური საბჭო ყოველდღე პროფკავშირთა აღმასკომებს უგზავნის ოფიციალურ ბიულეტენებს და ინსტრუქციებს. გენერალურ საბჭოს საკავშირო აპარატი მოწყობილია ტრანსპორტის მუშათა საერთო ძალღონით. ამ აპარატს განაგებს გენერალურ საბჭოს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტის და კავშირის ქვეკომისია. ეს აპარატი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამ აპარატის საშუალებით სწარმოებს ორატორების გადაყვანა მიტინგებზე, დაბეჭდილ მასალების განაწილება და სხვა.

#### „მზად არიან საბრძოლველად“

**ლონდონი**, 7 მაისი. იმ ახალ ღონისძიებათა მიზანი, რომელიც მთავრობამ შემოიტანა პარლამენტში, განსაკუთრებულ მდგომარეობის კანონის საფუძველზე, არის ის, რომ ხელი შეუშალონ გაფიცულთა პიკეტების დაყენებას.

მუშათა პარტიის დეპუტატის **ჯეკ ჯონსის** განცხადებაში საერთო ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ადგილმა:

**„ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილის 400.000 მცხოვრებნი, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდენ მსოფლიო ომში, მზად არიან მჭიდრო რაზმები შექმნან საბრძოლველად“.**

#### პოლიციელების ძალები

**ლონდონი**, 7 მაისი, ინგლისის პოლიცია ამჟამად შესდგება რეგულიარულ ნაწილებისა და რაზმებისაგან, რომელიც მთავრობამ წინდაწინვე შექმნა და ეხლა უკვე გამოყვანილი ჰყავს სამოქმედოთ.

#### ჰაეროპლანით

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის წარმომადგენლები ერთა ლიგაში და ინგლისის დელეგაციის დანარჩენი წევრები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ განიარაღების წინასწარ კონფერენციაში ჰაეროპლანით გადაფრინდებიან პარიზის გზით ჟენევაში.

#### დეპუტატების „პრივილეგია“

**ლონდონი**, 7 მაისი. როცა თემთა პალატას ფორმალურად აცნობეს, რომ საკლატვალას 2 თვით დაპატიმრება მიუსაჯეს, მუშათა პარტიის წევრმა კირკვუდმა შეიტანა შეკითხვა:—„განა პარლამენტს არ შეუძლია თავისი წევრების დაცვა?“

პალატის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ თემთა პალატის წევრის პრივილეგია არავის არ ანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევისათვის.

#### ქვეითა და ცხენოსანი ჯარები

**ლონდონი**, 7 მაისი. **ლონდონის პოპლერის უბანში 66 საბარგო ავტომობილით გაიგზავნა ქვეითა ჯარი და ცხენოსანი რაზმი სრული საომარი მოწყობილობით.**

### გაფიცვის გამოძახილი

#### გერმანია და ინგლისი.

**ბერლინი**, 7 მაისი. **გემების მიმოსვლა გერმანიასა და ინგლისს შორის სავსებით შესწყდა.**

**გაფიცვის გამოძახილი.**

#### ჰამბურგის ნავთსადგურში.

**ბერლინი**, 7 მაისი. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშები უარს ამბობენ ინგლისის გემების ნახშირით დატვირთვაზე, აგრეთვე ინგლისის გემებიდან ქვანახშირის გადმოტვირთვაზე.

#### ანტვერპენის მტვირთავები.

**პარიზი**, 7 მაისი. **მტვირთავთა კავშირმა ანტვერპენში დაადგინა შეუერთდეს ჰოლანდიის, გერმანიის და საფრანგეთის მტვირთავთა ორგანიზაციების გადაწყვეტილებას, რომლის ძალით ისინი არ დატვირთავენ გემებს ინგლისში გასაგზავნი ქვანახშირით.**

## ბრიტანეთის „ქვანახშირის კომისიის“ მოხსენება

(წერილი ინგლისიდან).

ბრიტანეთის „ქვანახშირის კომისიის“ მოხსენება 11 მარტს გამოვიდა. ეს დოკუმენტი აშკარა ბრძოლას უცხადებდა მუშათა კლასის არსებულ, ისედაც დაბალ, ცხოვრების დონეს. ის დიდბრიტანეთის კაპიტალიზმის მომავალი პოლიტიკის ნამდვილი დეკლარაციაა. მას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის უახლოესი ბრძოლისათვის.

### ქვანახშირის მაღაროების მდგომარეობა ინგლისში

ქვანახშირის მრეწველობის კრიზისი ინგლისში ინგლისური კაპიტალიზმის კრიზისს წარმოადგენს უმძაფრეს ფორმაში. ქვანახშირის წარმოება 1913 წელს 287 მილიონ ტონას უდრიდა, 1924 წელს—267 მილიონ ტონას, 1925 წელს კი—მხოლოდ 245 მილიონ ტონას. ქვანახშირის გაზიდვა უცხოეთში 1925 წელს 22% ნაკლები იყო, ვიდრე ომის წინა წლებში, საშუალოდ. ეს უკანდახევა განსაკუთრებით ზარალს აყენებს ბრიტანეთის საზღვაო ტრანსპორტს, მიტომ რომ მისი ფრახტის ოთხი მეხუთედი ქვანახშირია, ადიდებს მთელი მრეწველობის ზედნართ ხარჯებს და ამწვავებს ეკონომიურ კრიზისს. ამიტომ ქვანახშირის საკითხი დიდბრიტანეთში ომის შემდეგ ცენტრალურ როლს თამაშობს როგორც ეკონომიურ ცხოვრებაში, ისე კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის ბრძოლაში.

ეს უკანდახევა გამოიწვია, ერთი მხრით, ტეხნიკურმა პირობებმა, ახალი ტეხნიკური მეთოდების განვითარებამ, ახალი ენერგიის წყაროების აღმოჩენამ, ახალი საწარმოო ცენტრების წარმოშობამ. ამ ტეხნიკურ რევოლიუციას ქვანახშირის წარმოების დაქვეითება მოჰყვა მთელ დედამიწის ზურგზე, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ ეს ინგლისმა იგრძნო, მიტომ რომ ბრიტანეთის კაპიტალისტურ ორგანიზაციას ფესვები უფრო ღრმათ აქვს გადგმული წარსულში, ის უფრო ხნიერია და ამიტომ არ ძალუძს ახალ პირობებს შეეგუოს. საფრანგეთის ქვანახშირის წარმოება, პირიქით, გაიზარდა ომის შემდეგ თანამედროვე ტეხნიკური მეთოდების შემოღების გამო; გერმანული ქვანახშირი, იმავე მიზეზის წყალობით, ინგლისურ ქვანახშირს სდევნის ევროპის ბაზრიდან.

მეორე მიზეზი, რომელმაც ინგლისური ქვანახშირის სიძვირე გამოიწვია, თვით ოფიციალური კომისიების აღსარებით, მდგომარეობს ინგლისის ქვანახშირის მრეწველობის არაჩვეულებრივ დეზორგანიზაციასა და ანარქიაში, ძირითადი კაპიტალის ზედმეტ ხარჯებში. 1914 და 1921 წლებს შორის ქვანახშირის წარმოებაში 135 მილიონ სტერლინგის ძირითადი კაპიტალის შემწეობით მიღებულ იქნა 308 მილიონ სტერლინგის მოგება; ამ მოგების დიდი ნაწილი ახალ კაპიტალათ გადაიქცა, რომელიც დღეს ახალ მოგებას იძლევა.

ასეთ მდგომარეობაში ქვანახშირის მრეწველობას მხოლოდ სრული რეორგანიზაცია უშველის, რომელიც მას თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილებას შეუფარდებს, გადახლართული კაპიტალისტური ინტერესების კვანძს გასჭრის და ზედმეტ ხარჯებს შეამცირებს. მაგრამ ასეთი რეორგანიზაციის განხორციელება შეუძლებელია კაპიტალიზმის ფარგლებში, ის სოციალისტურ საფუძველზე უნდა მოხდეს. ბრიტანეთის კაპიტალიზმისათვის კი ერთად-ერთი მისაღები გზა არსებობს: ის უნდა შეეცადოს მომჭირნეობა გასწიოს მუშათა კლასის ხარჯზე, დაბალი ხელფასის შემწეობით. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხელფასი უკიდურესად შემცირებულია. პროფკავშირების ხელმძღვანელის, ბევინის ცნობით. 1926 წლის იანვარში 500.000 მემაღაროე კვირაში 2 სტერლინგზე ნაკლებს ღებულობდა.

ამრიგად ბრიტანეთის კაპიტალიზმს ძირითადი საკითხი აქვს გადასაჭრელი: ის ან უნდა დაეთანხმოს ქვანახშირის მრეწველობის ძირითად რეორგანიზაციას, რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მნიშვნელობა, თუ საფუძვლიანად შეიკვეცება კაპიტალისტური საკუთრების უფლება; ან მან კიდევ უფრო მძაფრი იერიშები უნდა მიიტანოს სასოწარკვეთილ მემაღაროებზე, რომელთა შორის ამ ბოლო დროს 1 მაისის მოლოდინში ძლიერდება წინააღმდეგობის გრძნობა და მტკიცდება აზრი, რომ კაპიტალიზმის ბატონობას ბოლო უნდა მოეღოს.

ეს საკითხი აღიმართა კომისიის წინაშე. ეს კომისია დანიშნულ იქნა 1925 წლის ივლისში. მის შემდეგ, რაც მაღაროების პატრონების იერიში სამუშაო ქირის წინააღმდეგ უნაყოფოთ დამთავრდა. მუშათა კლასის გაერთიანებულმა წინააღმდეგობამ „წითელ პარასკევს“ აიძულა მთავრობა საქმეში ჩარეულიყო და ბრძოლის საკითხის გადაჭრა ცხრა თვით გადაედო სახელმწიფოს ფულადი დახმარების შემწეობით; ეს დახმარება კაპიტალისტებს არსებული ხელფასის შესანარჩუნებლად უნდა გამოეყენებიათ. ამ თვეების განმავლობაში მთავრობა დიდ სამზადისში იყო მომავალი ბრძოლისთვის. კომისია დროს მოსაგებათ იყო დანიშნული: **ის გამოუკლებლივ კაპიტალისტების წარმომადგენლებისგან შესდგებოდა:** ერთი წევრი ყოფილი ლიბერალი მინისტრი იყო. მეორე მსხვილი ბანკირი, მესამე დიდი მოხელე და სხ. მუშებს მხოლოდ დასაკითხავად იწვევდნენ.

თავისთავად ცხადია, რომ მთავრობა, რომელიც ფინანსიურად დიდ გაჭირვებას განიცდის, „ტაქტიკური მიზნებისთვის“ ახალ მილიონებს ვეღარ გაიღებს; ამას სხვა დარგის მწარმოებლებიც ეწინააღმდეგებიან.

ამრიგად ბრძოლის საკითხი გადაუჭრელი რჩება: ან სოციალისტური რეორგანიზაცია ან ხელახალი იერიშების მიტანა მუშების წინააღმდეგ, რომლის ნიშნებს უკვე ვხედავთ. ერთმა უდიდესმა მრეწველმა, მერკჰემმა, რომელიც თხუთმეტ სამთამადნო საზოგადოების თავმჯდომარეთ ითვლება, განაცხადა: „რაც უნდა გადასწყვიტოს კომისიამ, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ როგორც კი სახელმწიფოს დახმარება მოისპობა, ულმობელი ბრძოლა ვაჩაღდება“-ო.

### კომისიის წინადადებანი

კომისიის მოხსენება კაპიტალიზმის გაკოტრების აღიარებაა. აღიარებულია არსებული დეზორგანიზაცია და უკან ჩამორჩენილობა, აგრეთვე ცვლილების აუცილებლობა. „წარმოება შედარებით დაქუცმაცებულია, ზოგიერთი უპირატესობა, რომელსაც დიდი მასშტაბის წარმოება იძლევა, არ არის გამოყენებული“. მრავალი მაღარო „უხეიროთ არის გათხრილი“ და „პატარა ზომისაა“, „მათ აკლია სათანადო ხელმძღვანელობა და მოწყობილობა“; „ქვანახშირის ამოღება არ ხდება მეცნიერული მეთოდების მიხედვით“; კვლევა-ძიების მუშაობა ნაკლებ სწარმოებს“; „ტრანსპორტის და გაყიდვის საქმე ანარქიულია და ძვირფასი“.

ამისდამიუხედავათ კომისიას არ ძალუძს სახელმწიფოს რადიკალური რეორგანიზაცია ურჩიოს. ნაციონალიზაცია უარყოფილია. აგრეთვე უარყოფილია დაქუცმაცებულ წარმოებათა იძულებითი შეერთება და დაჯგუფება. ბრიტანეთის კაპიტალიზმმა ისეთ საფეხურს მიაღწია, რომელზედაც მას აღარ ძალუძს თავისი საკუთარი ავადმყოფობის განკურნება. დაძველებული საკუთრების უფლების ჩარჩოები იმდენად მოშლილია, რომ ნაწილობრივი ცვლილებაც კი მთელს წყობას დიდს საფრთხეს უქადის.

მაღროების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად კომისია წინადადებას იძლევა დაწესებულ იქნას საგანგებო უწყება, შეკვეცილი უფლებებით. მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ექნება უფლება ცალკე საზოგადოებათა გაერთიანება მოახდინოს. განსაკუთრებული ბიუროკრატიული კომისიები უნდა შეიქმნას აგრეთვე ქვანახშირის მეცნიერულად გამოსაყენებლად, ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად, აღებ-მიცემობის ხარჯების შესამცირებლად და სხვა.

ამ პროექტებში საკითხის არსებითი მხარე სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული. მაშ რაში მდგომარეობს კომისიის პრაქტიკული წინადადება? **მუშის ხელფასი უნდა შემცირდეს;** ეს არის ერთად ერთი მნიშვნელოვანი მუხლი მთელს ამ ვრცელს მოხსენებაში.

სამუშაო დღის შეცვლის შესახებ კომისია არავითარ წინადადებას არ იძლევა, იმიტომ კი არა, რომ თითქო მუშებს უწევდეს ანგარიშს, არამედ მიტომ, რომ სამუშაო დღის გაგრძელება გაადიდებდა გასაყიდ ქვანახშირის რაოდენობას, რომელსაც დღეს უჭირს ბაზრის მოპოვება, ან კიდევ მუშების მასსიურ დათხოვნას გამოიწვევდა და უმუშევრობის საკითხს კიდევ უფრო გაამწვავებდა.

სამაგიეროთ ხელფასი უნდა შემცირდეს! 1924 წლის ხელშეკრულობა უნდა მოისპოს და 1921 წლის ხელშეკრულობა აღსდგეს, რაიცა ნიშნავს ხელფასის შემცირებას ათი პროცენტით. მაგრამ ეს კიდევ საკმაო არ არის. ხელფასი „ეკონომიური შესაძლებლობის“ სიმაღლეზე უნდა დადგეს. „ეს ნიშნავს არა უბრალო დაბრუნებას 1921 წლის ნორმასთან, ე. ი. 10 პროცენტით შემცირებას. ზოგიერთ ოლქში შეიძლება ნაკლები ქირა იყოს საკმაო, ზოგიერთში მეტი. ხელფასის ნორმის შემუშავება თვითეული ოლქისთვის მაღაროების პატრონებისა და მუშების მოლაპარაკების საქმეა“. ამ რიგად სამუშაო ქირის შემცირების პროცესს არავითარი ზღუდე არ აქვს დადებული.

ამ ძირითადი პროექტის გვერდით მოხსენებულია ჩვეულებრივი რჩევა-დარიგება, „რომ მეპატრონეები მუშებს უკეთ უნდა მოეპყრონ“, „რომ გამოუყენებელი შვებულება უნდა აუნაზღაურონ“, „დიდი ოჯახების პატრონებს ხელფასის დამატება მისცენ“ და სხვ.

### დასკვნა

„ქვანახშირის კომისიის“ წინადადების დედააზრი შემდეგია: **მაღაროების ნაციონალიზაცია უარყოფილია; კაპიტალისტების მოგება ხელუხლებელი რჩება; სამუშაო ქირა უნდა შემცირდეს.**

თუ ეს წინადადება განხორციელდა, კლასობრივი ომის დაწყება აუცილებელია. მთავრობის სამზადისი მოწმობს, რომ მას ეს კარგათ ესმის. ტრედუნიონების გენერალური საბჭოს სიტყვებით „მუშათა მოძრაობა ვალდებულია მემაღაროებს ერთიანად მხარი დაუჭიროს შემდეგი პრინციპის დაცვაში: „არავითარი შემცირება ხელფასისა. არავითარი გაგრძელება სამუშაო დღისა“. დღეს ამ კლასობრივ ვალდებულების გრძნობის გამოცდას უკეთებენ. „წითელი პარასკევი“ გაერთიანებული ფრონტი კიდევ უფრო [illegible] და გამოიბრძმედოს სერიოზულ ბრძოლაში, ეს ბრძოლა, უეჭველია, კიდევ უფრო [illegible] ღრმა საკითხებს დასვამს.

**ვ. დ.**

ლონდონი, 24 აპრილი.

# მაღაროთა პატრონებს გაუსწორდებით



(„კომუნისტურ „უორკერს უიკლი"-დან)

## გაფიცულთა მტრების ბანაკში

### რეიტერის ცნობა

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ქვეყანაში საერთოთ სრული წესრიგია, თუმცა სხვადასხვა ადგილებში უმნიშვნელო შეტაკებები მოხდა და მატარებლების მიმოსვლა შეფერხდა. იორკში მუშებმა დაანგრიეს შლაგბაუმი და პოლიციელი მატარებლის ქვეშ შეაგდეს; პოლიციელი მაინც ცოცხალი გადარჩა.

ლიდსში 3000 კაცი შეეცადა მატარებლის გაჩერებას, მაგრამ ისინი პოლიციამ გარეკა.

ედინბურგში და გლაზგოში უმნიშვნელო შეტაკებები მოხდა, რასაც შედეგად მოჰყვა დაპატიმრებანი. ზოგიერთ ადგილას მუშები სცდილობდენ ხელი შეეშალათ სურსათ-სანოვაგის გადაზიდვისა და ნავთის მარაგის განაწილებისათვის.

ლონდონსა და ახლო მდებარე რაიონებში შესაკრებ პუნქტებში ჩაეწერა 75.000 მოხალისე (მხოლოდ ლონდონში 7,5 მცხოვრებია).

დღეს ლონდონში ხუთი გაზეთი გამოვიდა ბიულეტენების სახით. ყველა დიდი გაზეთები, რიცხვით 21, რომელნიც ლონდონის გარე უბნებში იბეჭდებიან, დღეს გამოვიდენ ამა თუ იმ ფორმით.

**დერბიშაირში გაიფიცა რკინის ჩამომსხმელი ქარხნის 3.000 მუშა.**

ლივერპულში მოხალისეები აწარმოებენ გემების გადმოტვირთვას პოლიციის ზედამხედველობით. მათ მუშაობაში ჩარევას ადგილი არ ჰქონია.

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტო ოფიციალურად იუწყება:

„მთელ ქვეყანაში არსად არ ყოფილა სერიოზული მღელვარებანი. ნორმალურად სწარმოებს მოსახლეობის კვება, სინათლის მიწოდება და მოძრაობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გზებზე. მოძრაობაში მყოფ ავტობუსების რიცხვი თანდათან იზრდება.

მაგრამ როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მდგომარეობა თანდათან უფრო სერიოზული ხდება.

მთელ ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს მოხალისე პოლიციელების რაზმების შედგენა. ახლო მომავალში განზრახულია პოლიციელთა რიცხვი ლონდონში აყვანილი იქნეს 50.000 კაცამდე.

ინგლისში — ნათქვამია ოფიციალურ ცნობაში—სცდილობენ დამშვით ხალხის დამორჩილებას. ამის გამო, კონსტიტუციის კანონების გამოყენება ახალ ფაზაში გადადის".

#### შეტაკება ლივერპულში

**ლონდონი**, 7 მაისი. **ლივერპულში ადგილი აქვს შეტაკებებს.**

#### აფრთხილებენ ჯარისკაცებს

**ლონდონი**, 7 მაისი. ინგლისის მთავრობის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყოველგვარი ღონისძიება, რომელსაც ჯარისკაცები მიმართავენ სამოქალაქო ხელისუფლების დასახმარებლად, მოწონებულ და დადასტურებულ იქნება მთავრობის მიერ, როგორც ამჟამად, ისე მომავალშიაც.

მთავრობის ეს განცხადება აიხსნება იმ გარემოებით, რომ ინგლისის კანონების მიხედვით ჯარისკაცები, რომელნიც მღელვარების დროს კერძო მოქალაქეებს თოფს ესვრიან, თუნდაც ოფიცრების ან სამოქალაქო ხელისუფლების ბრძანებით, პირადათ აგებენ პასუხს თავის მოქმედებისათვის და მიიცემიან სასამართლოში, როგორც კაცის მკვლელები.

## საერთაშორისო სოლიდარობა

### ამხ. ლოზოვსკის მოხსენება.

**მოსკოვი**, 8 მაისი. 7 მაისს შესდგა პროფინტერნის აღმასბიუროს სხდომა, სადაც ამხ. ლოზოვსკიმ მოხსენება წაიკითხა ინგლისის ამბების შესახებ.

ინგლისის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ ამხ. **ლოზოვსკიმ** სთქვა: „ჯერ გარდატეხა არ მომხდარა არც მუშებში, არც მაღაროების პატრონთა და მთავრობის შორის. მემარჯვენე ჯგუფი მაინც უფრო მეტ აქტივობას იჩენს. აგრეთვე თანსწორობას იჩენს კომპარტია და „უმცირესობათა მოძრაობა". ამავე დროს მთავრობასა და მუშებს შორის უფრო ღრმავდება ხრამი აშკარა შეტაკებების გამო.

მახლობელ დროში უნდა მოველოდეთ სხვადასხვა დარგის წარმოების მუშათა შეერთებას გაფიცულებთან. დღევანდელი პირობები ერთობ ხელშემწყობია გაფიცულთათვის".

#### მუშათა დახმარების კომიტეტი

**ბერლინი**, 7 მაისი. მუშათა დახმარების საერთაშორისო ცენტრალურმა კომიტეტმა ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლად ფულის შეგროვების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს ყველა ქვეყნებში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში; ამიტომ საშუალება გვაქვს ვიკისროთ ნაწილობრივ სურსათ-სანოვაგის მიწოდება გაფიცულთათვის.

გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ—რა გზით შეიძლება სურსათის საგრძნობ რაოდენობის გადმოგზავნა. თუ საჭირო იქნეს, გამოგზავნეთ დელეგატები ტექნიკურ და ორგანიზაციულ საკითხების განსახილველად".

**ამავე დროს მუშათა დახმარების საერთაშორისო გენერალურმა კომიტეტმა შეისყიდა ამსტერდამში რამოდენიმე ასეული ტონა ფქვილი, რომელიც სასწრაფოდ გაიგზავნა კომიტეტის ინგლისის სექციის სახელზე.**

კომიტეტის მოწოდებას გაფიცულთათვის მატერიალურ დახმარების შესახებ ფართოდ გამოეხმაურენ გერმანელი მუშები.

#### სოლიდარობის კამპანიისათვის.

**ბერლინი**, 7 მაისი. რურის ოლქის სამთომადნო მუშების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციამ, რომელიც გერმანიის სამთომადნო მუშების კავშირმა მოიწვია, დაადგინა: მოწვეულ იქნეს რურის ოლქის და ვესტფალიის სამთამადნო და ტრანსპორტის მუშების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა მოქმედების კომიტის დასაარსებლად. **კომიტეტმა უნდა ჩაატაროს ინგლისის მუშათა კლასთან სოლიდარობის კამპანია; მოწვეული უნდა იქნეს გერმანიის სამთომადნო მუშების რურის რაიონულ ორგანიზაციის კონფერენცია**, რომელმაც პრაქტიკულად უნდა განახორციელოს სამთომადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციის ბრიუსელის კონფერენციის დადგენილებები სამთომადნო მუშების საერთაშორისო გაფიცვის შესახებ; კონფერენციამ უნდა დაადგინოს სამთომადნო მუშების გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე; დაუყოვნებლივ უნდა დაარსდეს კომიტეტები, რომელნიც თავს მოუყრიან ახალ წევრებს და შეაკავშირებენ სამთომადნო მუშებს.

ეს დადგენილებები ეთანხმება გერმანიის კომპარტიის მოთხოვნილებებს, რომელიც მიღებულ იქნა სამთომადნო მუშების კავშირის თანამდებობის პირთა ხმების წინააღმდეგ.

#### კომპარტიის წინადადება.

**ბერლინი**, 7 მაისი. პრუსიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შემდეგი წინადადება შეიტანა ლანდტაგში: გაფიცვის განმავლობაში შესწყდეს ინგლისში ქვანახშირის გაზიდვა იმ მაღაროებიდან, რომელიც პრუსიის სახელმწიფოს ეკუთვნის, აგრეთვე სახელმწიფო მაღაროების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს უფლება მიეცეთ კონტროლი გაუწიონ გერმანიის ქვანახშირის გაზიდვას.

ბურჟუაზიულ პარტიების პროტესტის გამო, კომფრაქციის წინადადების განხილვა გადაიდო.

#### ხემნიცის მელითონეების დადგენილება.

**ბერლინი**, 7 მაისი. ხემნიცის ლითონის წარმოებათა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საერთო კრებამ წინადადება მისცა გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებას **მოუწოდოს გერმანიის ყველა პროფკავშირებს ინგლისის მუშათა კლასის ყოველმხრივ დახმარებისაკენ.**

#### დახმარება ვენის მელითონეებისაგან.

**ვენა**, 7 მაისი. ვენაში ვარხალოვსკის ლითონის ქარხნების მუშათა საერთო კრებამ დაადგინა მორალური და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ინგლისის გაფიცულ მუშებს.

ავსტრიის პროფკავშირების გაერთიანებას ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმმა დეპეშა გაუგზავნა ინგლისის მუშათა პარტიას, რომელშიაც კმაყოფილდება თანაგრძნობის გამოთქმით და არაფერს არ ლაპარაკობს კონკრეტიულ ვალდებულებებზე.

#### საუბარი ედო ფიმენთან.

**ბერლინი**, 7 მაისი. ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „ხეტ ფოლკ" აქვეყნებს საუბარს ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანთან, **ედო ფიმენთან.**

ფიმენი აღნიშნავს, რომ ინგლისის მუშათა კლასის დახმარება ჯერ კიდევ უმთავრესად ცალკე ქვეყნების ტრანსპორტის მუშების კისერზეა. დანარჩენი პროფკავშირები მხოლოდ ეხლა იწყებენ მოქმედებას ამ მხრივ. ევროპის სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგების მუშებმაც უნდა მიაშველონ გაფიცულებს დახმარება და გაანაწილონ ინგლისის მუშათა კლასის დახმარების საქმე.

ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციამ ამის გამო მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმს და იმედი აქვს, რომ უკანასკნელი თავის მოვალეობას შეასრულებს.

#### ოსტენდეს კონფერენციისათვის.

**ბერლინი**, 7 მაისი. გერმანიის სამთომადნო მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრმა აცნობა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს, რომ სამთომადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის ალმასკომის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ დელეგატები ჰეზემანი, ლიმბერტცი და ბერგერი. „გერმანიის მუშების მიერ თანაგრძნობის გაფიცვის გამოცხადების საკითხი,—სთქვა ცენტრალურ კომიტეტის წევრმა,—დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, იმაზე — გამოსთქვამენ თუ არა ასეთს სურვილს ინგლისელი მუშები. გარდა ამისა, თანაგრძნობის გაფიცვის ჩატარება მოითხოვს იმ მდგომარეობის გამორკვევას, რომელშიაც გერმანელი სამთომადნო მუშები აღმოჩნდებიან სატარიფო გეგმის თვალსაზრისით, რადგან გერმანელი კანონების ძალით პროფკავშირები პასუხისმგებელი არიან სატარიფო ხელშეკრულებათა დარღვევისათვის.

გერმანიის სამთომადნო მუშათა კავშირი არ მოითხოვს 7 საათის სამუშაო დღეს, არამედ საერთოთ სამუშაო დღის შემცირებას. გერმანიაში სამთომადნო მუშებისათვის 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას შედეგად მოჰყვება გერმანელ მუშების მასიური დათხოვნა. რადგან გაძლიერდება კონკურენცია ნახშირის ინგლისელ ექსპორტიორების მხრივ.

იმ შემთხვევაში, თუ ოსტენდეში გადასწყდა გერმანელ მუშების მიერ თანაგრძნობის გაფიცვის გამოცხადება, საჭირო იქნება თანხების მიღება გერმანელ სამთომადნო მუშათა 3 დანარჩენ ორგანიზაციისაგან".

**ლონდონი**, 7 მაისი. ინგლისის სამთომადნო მუშების ფედერაციის ბელადები **კუკი, რიჩარდსონი და ხმიტი** ჰაეროპლანით მიემგზავრებიან ოსტენდეში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ტრანსპორტის და სამთომადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციების თათბირში.

#### დომინიონთა პროფკავშირების სოლიდარობა.

**ლონდონი**, 7 მაისი. **დომინიონთა პროფკავშირების უმრავლესობის და ინგლისის ზოგიერთი კოლონიის ცენტრალურმა საბჭოებმა** აცნობეს ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს, რომ ისინი სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულებს და მზათ არიან მათ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ.

**რადგან მოხალისეთა რაზმების მოწყობა ვერ იძლევა სასურველ შედეგებს, მთავრობამ მობილიზაციით გაიწვია პოლიციის რეზერვები (ყოფილი პოლიციელები, რომელნიც სამსახურის დამთავრების შემდეგ იღებენ პენსიას).**

მთავრობის დღევანდელ ცნობაში აღნიშნულია, რომ ლონდონში მომუშავე ავტობუსების საპოლიციო დაცვა გაძლიერებულ იქნება.

#### სიდნეის პროფკავშირების ხმა

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება სიდნეიდან (ავსტრალია):

„მეორე ინტერნაციონალის წინადადების საპასუხოთ, სიდნეის პროფკავშირების საბჭომ დაადგინა მიმართოს მეზღვაურების კავშირს და ქვანახშირის დამტვირთველების ფედერაციას, ინგლისურ გემებზე მხოლოდ იმდენი ნახშირი გადაზიდონ, რამდენიც თვით ამ გემებისთვის არის საჭირო.

#### ავსტრალიის რკინის-გზელების დახმარება

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ავსტრალიის რკინისგზელებმა მელბურნიდან ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს დეპეშა გაუგზავნა და აღუთქვა, რომ დახმარებას გაუწევს ინგლისის გაფიცულ მუშებს.

#### სამხრეთ-აფრიკის მუშების ხმა

**ლონდონი**, 7 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება კაპშტადტიდან (სამხრეთ-აფრიკაშია): „სხვადასხვა მუშათა ორგანიზაციები სამხრეთ-აფრიკის ტერიტორიაზე რეზოლიუციებში თანაგრძნობას უცხადებენ ინგლისის მუშებს და მოითხოვენ, რომ გამოშვებულ იქნას მოწოდება დახმარების ფონდის მოსაწყობათ.

## საბჭოთა კავშირის დახმარება

### მოსკოვის პროფსაბჭოების დეპეშა

**მოსკოვი**, 8 მაისი. პროფკავშირების მოსკოვის გუბსაბჭომ დეპეშა გაუგზავნა ინგლისის ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს და გაფიცულ მუშებს, სადაც 1.200.00 შეკავშირებული მუშა-მოსამსახურის სახელით პროლეტარულ სალამს მიუძღვნის ინგლისის გმირულ პროლეტარიატს, რომელიც ჩაება ასეთ სასტიკ ბრძოლაში ინგლისის კაპიტალისტებთან.

#### 75 ათასი

**მოსკოვი**, 8 მაისი. პროფკავშირების მოსკოვის გუბ. განყოფილებებმა, პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად, სრულიად საკავშირო საბჭოს მიმდინარე ანგარიშებზე გადარიცხეს 75.000 მან. ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებელ ფონდში.

სრ. რუსეთის სასოფ.-სამეურ. კოოპერაციის მუშაკთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, გადასდოს ინგლისის გაფიცულთათვის 20.000 მანეთი.

#### ბალტიის მეზღვაურთა ხმა

**ლენინგრადი**, 8 მაისი. ბალტიის ფლოტის ყველა ნაწილებში გემებს, ნაღმოსნებსა და წყალქვეშა ნავებზე გაიმართა მიტინგები ინგლისელ მუშების გაფიცვის გამო.

ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მეზღვაურები ყოველმხრივ მორალურ და ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს ინგლისელ მუშებს.

**საბჭოთა მეზღვაურები მოუწოდებენ ინგლისელ მეზღვაურებს არ ესროლონ თოფი თავის ძმებს—გაფიცულ მუშებს.**

#### „დონბასის" მუშებისაგან

**არტემოვსკი**, 8 მაისი. „დონბასის" მაღაროებსა და ქარხნებში მუშები შეუდგენ ინგლისელ ამხანაგების დახმარების საქმეს. პროფსაბჭოსთან დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ინგლისის პროლეტარიატის დახმარების საქმეს. კომისიაში უკვე შემოდის ანარიცხები და შემოწირულებანი.

ბერდიანის ნავთსადგურში ტრანსპორტის მუშებმა შესწყვიტეს ინგლისის გემების დატვირთვა.

#### კავშირის ყველა კუთხიდან

**მოსკოვი**, 8 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მდივანმა დოგადოვმა განაცხადა:

„საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მოწოდებას ინგლისის მუშებისათვის დახმარების გაწევის შესახებ საბჭოთა კავშირის ყველა მუშები და მოსამსახურეები დიდის ენტუზიაზმით შეხვდენ. მიუხედავათ იმისა, რომ საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ მოუწოდა მუშებს და მოსამსახურეებს გადასდონ დღიური ხელფასის მხოლოდ ერთი მეოთხედი, მრავალი ფაბრიკა-ქარხნების და წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებმა გაიღეს ნახევარი და მთელი დღის სამუშაო ხელფასიც. ინგლისიდან მოსულ ცნობებს ფაბრიკა-ქარხნებში დიდის ინტერესით ხვდებიან.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები სავსებით შეასრულებენ თავის მოვალეობას ინგლისის მუშათა კლასის წინაშე და არ შეჩერდებიან, თუ გარემოება მოითხოვს, შემდგომი ნივთიერ ხარჯების წინაშე."

#### პროპაგანდის კომიტეტის მოწოდება

**მოსკოვი**, 8 მაისი. რევოლიუციონერ-მემაღაროეთა პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტი თავის მიმართვაში ყველა მემაღაროებისადმი სწერს: „ინგლისის სამთა-მადნო მუშების წინააღმდეგ გაერთიანდენ ბურჟუაზიულ საზოგადოების ყველა ძალები. არმიას, ფლოტს და პოლიციას მობილიზაცია უყვეს გაფიცვის ჩასაქრობათ. ყველა მემაღაროელები მიზანში ამოუღიათ ვინტოვკებით. ბურჟუაზია ყოველ წამში მზათ არის, დააცემინოს ჩახმახი. ბურჟუაზიას სურს ჩააქროს გაფიცვა შემოტანილი ნახშირით. მაშ ყველამ იფხიზლეთ! მაღაროებში და მადნებში მოაწყვეთ კონტროლი გასაგზავნ ნახშირზე. შეუკავშირდით ტრანსპორტისა და რკინისგზის მუშებს, რომ ინგლისში არ გაატანიოთ მცირედი ნახშირიც და ემზადეთ, რომ გაფიცვის შემწეობით ხელი შეუშალოთ ნახშირის გატანას თქვენი ქვეყნიდან! ყოველ ქვეყანაში, ყოველ მაღაროში, ყოველ მადანზე მოაწყვეთ დახმარება ინგლისელი ძმებისთვის!

#### ტრანსპორტელების ხმა

**მოსკოვი**, 8 მაისი. რკინისგზის წყალსადენის და ადგილობრივ ტრანსპორტის პროფკავშირების ცეკამ თავის საზღვარგარეთელ წარმომადგენელს გაუგზავნა რწმუნება, რომ კავშირი დაიჭიროს ფიმენთან და მონაწილეობა მიიღოს ოსტენდეში მოწვეულ ტრანსპორტელების საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც განხილულ იქნება ინგლისის მუშების დახმარების საკითხი.

## საქართველოს მშრომელთა ხმა

### ჭიათურის მუშების ხმა.

საქართველოს პროფსაბჭომ ჭიათურიდან მიიღო ცნობა, რომ **ჭიათურის სამთომადნო მუშებმა ინგლისის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად გადასდეს 6.000 მანეთი.**

#### დახმარება გაფიცულთ.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს პროფსაბჭოებს, ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირს და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველოს დაუგზავნა შემდეგი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს ა.-კ. პროფსაბჭოს მდივანი ამხ. შეფტელი:

„საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს 5 მაისის დადგენილების თანახმად ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ჩაატაროს ფართო კამპანია და მოუწოდოს ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ყველა წევრებს გადასდონ ინგლისის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად დაახლოებით დღიური ხელფასის ერთ მეოთხედამდე.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო წინადადებას იძლევა აცნობონ მას დეპეშით, თუ რამდენი იქნება შეგროვებული აღნიშნული მიზნისათვის".

#### სახმედვაჭრობის მუშებში.

7 მაისს შესდგა სახმედვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც გააკეთა მოხსენება ამხ. ნ. მგელაძემ ინგლისის მუშების გაფიცვის შესახებ. მან აღნიშნა საერთაშორისო მნიშვნელობა ინგლისში მომხდარ ამბებისა და მოუწოდა ყველას—გამოეხმაურონ გაფიცულ მუშებს, როგორც მორალურად, ისე ნივთიერად. კრებამ დაადგინა მხურვალედ მიესალმოს ინგლისის მუშებს კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ გაფიცულ მუშების სასარგებლოდ გაღებულ იქნას ერთი დღის ხელფასი.

## სახალხო არმიის გამარჯვება

### რეაქციის წინააღმდეგ

**პეკინი**, 7 მაისი. **გაზეთები ადასტურებენ ცნობებს სახალხო არმიის გამარჯვების შესახებ. იენ-ში-შანის ჯარებზე.**

#### არევ-დარევა

**პეკინი**, 7 მაისი. უ-პეი-ფუს ყოფილმა მომხრემ სუნ-ჩან-ფინმა შეადგინა შანხაის ნავთსადგურში ჩინური რაიონი და გამოაცხადა თავი ამ რაიონის სამხედრო გუბერნატორათ.

#### გენერალ ტან-შენ-ჩის ჯარები

**პეკინი**, 7 მაისი. გენერალ ტან-შენ-ჩის ჯარებმა, რომელნიც რამდენიმე კვირის წინათ აუჯანყდა უ-პეი-ფუს და აღიარა კანტონის მთავრობის ხელისუფლება, დასცალა ქალაქი ჩანშა.

გაზეთების ცნობით, ქალაქი დაიკავეს უ-პეი-ფუს ჯარებმა. გავრცელებულ ხმების თანახმად კანტონის მთავრობამ გადასწყვიტა დახმარება გაუწიოს ტან-შენ-ჩის.

#### ჩინეთში დაინაწილეს ძალაუფლება

**პეკინი**, 7 მაისი. გაზეთების ცნობით, ჩან-ძო-ლინის შვილმა ჩან-სუე-ლიანმა და უ-პეი-ფუს წარმომადგენლებმა ში-შუ-იანმა შეიმუშავეს შეთანხმების ფორმულა, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს პოლიტიკური მდგომარეობა.

ამ ფორმულის თანახმად, ეხლანდელმა პრემიერმა იენ-მუნ-ჩინმა უნდა დაიკავოს რეგენტის ადგილი და დაუყოვნებლივ დანიშნოს ახალი პრემიერი, რომელიც მისაღები იქნება ორივე მხარისათვის.

ჩან-ძო-ლინის პასუხი ჯერ არ არის მიღებული.

იენ-ლუი-ჩინის მემკვიდრეთ პრემიერის თანამდებობაზე ასახელებენ ლი-ჩინ-ლინს.

## კომინტერნის და პროფინტერნის მოწოდება თავიანთ სექციების ყველა მუშებისა და მუშა-ქალებისადმი

**მოსკოვი**, 8 მაისი. ინგლისის მუშათა ბრძოლამ ფეხზე დააყენა მთელი ქვეყნის პროლეტარიატი. არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი მუშა, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს და რომელ პროფკავშირშიაც არ შედიოდეს ის, რომელიც გულ გრილად და პასიურად იქნება განწყობილი ამ ბრძოლის მიმართ. მხოლოდ ამერიკის კაპიტალის მიერ გახრწნილ პროფბიუროკრატებს აღმოუჩნდათ სამწუხარო გამბედაობა ცინიკურად განეცხადებიათ უარი ინგლისის პროლეტარიატისათვის რაიმე დახმარების აღმოჩენის შესახებ. მუშათა უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ინგლისის მუშათა ბრძოლას და აცხადებს სურვილს დახმარება აღმოუჩინოს მას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს დახმარება ყველგან მიეწყოს ყველა მიმართულების მუშებთან ერთად, რომ ინგლისის პროლეტარიატმა იგრძნოს, რომ მას ზურგს უმაგრებენ ყველა ქვეყნების მუშები მიუხედავად მიმართულებისა.

ფართე გამოძახილი, რომელიც ჰპოვა ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლამ მასებში და მოქმედების მოთხოვნილებამ უკვე მიიყვანა სხვადასხვა მიმართულების მუშები სხვადასხვა ქვეყნებში გაერთიანებულ გამოსვლამდე.

კომინტერნის აღმასკომი და პროფინტერნის აღმასბიურო ესალმება სხვადასხვა მიმართულების მუშათა შორის ინგლისის პროლეტარიატის დასახმარებლად დაწყებულ მოძრაობას.

უმთავრესია—მოქმედების მთლიანობის მიღწევა. უმთავრესია მაგარი, შეკავშირებული და მთლიანი ფრონტის შექმნა, იმისათვის, რომ შეუშალოთ ხელი ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატის მტრებს ინგლისის ბურჟუაზიისათვის დახმარების აღმოჩენაში.

კომინტერნის აღმასკომი და პროფინტერნის აღმასბიურო მოუწოდებს თავის ყველა სექციებს გააკეთონ ყველაფერი, რაც კი მათზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გამოსვლების მთლიანობა.

ამ მიზნით სასურველია სხვა პარტიების და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მიტინგების მოწყობა, მოქმედების შეერთებულ კომიტეტების დაარსება, შემოწირულებათა აკრეფა შეერთებული ძალებით. სადარაჯო პუნქტების მოწყობა ყველა ნავთსადგურებში იმ მიზნით, რომ გატარებულ იქნეს ინგლისის გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის ბოიკოტი და სხვა.

ის ცნობები, რომლებიც მოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ამტკიცებენ, რომ მოძრაობის მთლიანობა ბევრ ქვეყნებში უკვე მიღწეულია. მართალია, ბევრ შემთხვევაში მთლიანი გამოსვლები წინააღმდეგობას აწყდება, მაგრამ ეს წინააღმდეგობა უნდა იქნეს გადალახული უსათუოდ. მთელი ძალების მოკრებაა საჭირო იმისათვის, რომ მთლიანი ფრონტი, რომელიც იკვრება ინგლისის პროლეტარიატისთვის დახმარების ირგვლივ, შენარჩუნებულ იქნეს და გაგრძელდეს მომავალისათვისაც პროლეტარიატის თვითდაცვითი და შეტევითი ბრძოლის ინტერესებისათვის მომავალში.

ძმური სალამით:

კომინტერნის აღმასკომი.
პროფინტერნის აღმასბიურო.

## მოსკოვის საბჭოს პლენუმი

**მოსკოვი**, 8 მაისი. 7 მაისს შესდგა მოსკოვის საბჭოს პლენუმი, რომელზედაც არჩეულ იქნა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე და მოსმენილ იქნა **ენუქიძის** მოხსენება საბჭოთა კავშირის მესამე მოწვევის ცაკის მეორე სესიის შედეგების შესახებ.

მოსკოვის საბჭოს კომფრაქციის სახელით გამოვიდა **უგლანოვი**. მისი წინადადებით პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია დიდი წარმატება და სირთულე მოსკოვის საბჭოს მუშაობისა, რომელსაც მუდმივი და უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საბჭოს თავმჯდომარემ.

პლენუმმა აღიარა, რომ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარეს კამენევს, როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის წევრს, არ შეეძლო მოსკოვის საბჭოს მუშაობისათვის ფაქტიური, უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა, რადგან სხვა მუშაობით იყო დატვირთული. ამის გამო პლენუმმა დაადგინა განთავისუფლოს კამენევი მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან და მის მაგიერ არჩეულ იქნეს **უხანოვი.**

მოსკოვის საბჭოს პლენუმი მადლობას უცხადებს კამენევს იმ მუშაობისათვის, რომელიც მან მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელობას მოანდომა.

მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარეთ ახლად არჩეულ უხანოვის ტრიბუნაზე გამოჩენას მქუხარე ტაშით ხვდებიან. ენუქიძის მოხსენების გამო, მოსკოვის საბჭოს პლენუმმა მოიწონა საბჭოთა კავშირის ცაკის პლენუმის დადგენილება.

დასასრულ პლენუმმა მიიღო მოწოდება მოსკოვის მუშების, მუშა-ქალების და მშრომელებისადმი ინგლისში დაწყებულ გენერალურ გაფიცვის გამო. მოწოდებაში ნათქვამია:

„მოსკოვის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმი მოუწოდებს დედა-ქალაქის ყველა მშრომელებს, პირველ ყოვლისა, მუშებს და მუშა-ქალებს, ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ინგლისელ გაფიცულებისათვის როგორც ნივთიერ, ისე მორალური დახმარების აღმოჩენის საქმეში. თვითეულმა პატიოსანმა მშრომელმა თავისი ნამუშევარის ნაწილი ინგლისელ გაფიცულთა სასარგებლოდ უნდა გადასდოს. ინგლისელმა მუშებმა თავიანთი ბრძოლის მძიმე წუთებში უნდა იგრძნონ, რომ ისინი მარტო არ არიან, მათ მხარეზეა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, მათ მხარეზეა ჩვენი კავშირის გამარჯვებული მუშათა კლასი".

## ამ.-კავკ. პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირი

### მეექვსე სხდომა

#### მეექვსე სხდომა

თათბირის მე-6 სხდომა შესდგა 8 მაისს დილით. გრძელდებოდა კამათი მოხსენებების გარშემო ადგილებიდან.

#### ამხ. პაპიკ
(სომხეთი)

აღნიშნავს, რომ სოფლად საქონლის ბრუნვის გაძლიერებასთან ერთად ჩნდება ახალი ტიპი,—ჩარჩი, რომელიც ჰყიდის ქალაქის და ყიდულობს სოფლის ნაწარმოებს. ეს ტიპი ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს, რაც მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში კულაკურ საფრთხესთან ერთად. ორატორი აღნიშნავს მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს სოფლებში, რის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ზომები. სომხეთში 80-დე ტრაქტორია, მაგრამ ნაკლებათ მოიძებნება ტრაქტორისტები. ტრაქტორისტებს სოფლად 8 საათს ამუშავებენ, რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში.

#### ამხ. ტაგიევი
(აზერბეიჯანი)

დაირებში (თემებში) დაარსებულია პარტკომები, მაგრამ მათი მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ეს აიხსნება შესაფერი აპარატის და ტრანსპორტის სიმცირით. ორატორს ზედმეტად მიაჩნია ღარიბ გლეხთა ჯგუფების დაარსება, რადგან მისი აზრით გლეხკომები და სოფლის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკმაოდ აკავშირებენ ღარიბებს გლეხებს. ეხება რა კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოთა ურთიერთობას ადგილებზე, ორატორი აღნიშნავს მათ შორის არსებულ შეუთანხმებლობას მუშაობაში და მოითხოვს ამ გარემოებისათვის ყურადღების მიქცევას. დასასრულ ორატორი მიუთითებს მაზრებში ტრაქტორების შესაკეთებელ სასოფლო ენათა საჭიროებაზე.

#### ამხ. ჟვანია
(ზუგდიდის მაზრა)

აღნიშნავს, რომ თემკომების მუშაობა სუსტია. მას საჭიროდ მიაჩნია თემებში თემკომების მაგიერ ძლიერი უჯრედების შექმნა, მათზე ხელმძღვანელობის გაძლიერება და სამაზრო კომიტეტების ინსტრუქტორთა აპარატის გადიდება. უპასუხებს რა წინა ორატორს, მას მიზანშეწონილად მიაჩნია ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის განსაზღვრა გლეხკომებით და სოფლის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებით. ღარიბ გლეხთა შეკავშირება უნდა ხდებოდეს ამ ორგანიზაციათა გარეშე, პარტიის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

#### ამხ. რახმანოვი

აშუქებს უმთავრესად კომკავშირის საკითხებს და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელის მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში სუსტი იყო. ორატორი ამ გარემოების შემდეგნაირად ხსნის: კომკავშირის ორგანიზაციამ ამას წინად ჩაატარა კამპანია ადმინისტრატიულ გადახრების წინააღმდეგ და უნდა ითქვას, აღმოფხვრა კიდეც ის თავის რიგებში. ამის გამო ორგანიზაციები ზოგან მეორე უკიდურესობაში გადავარდენ და შესაფერის აქტივობას ვეღარ იჩენდენ. რასაკვირველია ის ყველგან ასე არ ყოფილა. მთელ რიგ მაზრებში კომკავშირმა შეინარჩუნა წინანდელი მდგომარეობა, ზოგან კი გააუმჯობესა კიდეც. კომკავშირის სისუსტის მეორე მიზეზია პარტხელმძღვანელობის სისუსტე ადგილებზე.

შემდეგ ორატორი ეხება კომკავშირის ზრდის საკითხებს. ამჟამად ა. კ. ორგანიზაციაში 130 ათასი წევრი და კანდიდატია. ეს გარემოება ჰქმნის ერთგვ. სიძნელეს აღზრდის მხრივ. ორატორი მოითხოვს პარტიის დახმარებას ამ საქმეში; რადგან კომკავშირი მხოლოდ თავის ძალებით ვერ შეასრულებს მთლიანად ამ მუშაობას.

#### ამხ. თედორე კალანდაძის სიტყვა

ამხ. კალანდაძე, თავის სიტყვაში უმთავრესად ეხება ბრძოლას მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ საქართველოში. მისი აზრით, ბრძოლის მეთოდები, რომელსაც მიმართავდა ცენტრალური კომიტეტი არ იყო სწორი. ბრძოლას მენშევიკებთან, ამბობს კალანდაძე, უნდა აწარმოებდენ ჩვენი ამხანაგები და არა ახალგაზრდები. ეს პირველი. მეორე, ვინ არიან ყოფილი მენშევიკები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ წაართვა ჟორდანიას და მის პარტიას? რას წარმოადგენდენ ისინი? ამ კითხვაზე ორატორი უპასუხებს: მენშევიკურ პარტიიდან წასულთა საუკეთესო ნაწილიც კი, მუშები ჯერაც არ არიან ჩვენი, ჯერაც არ შეუთვისებიათ ჩვენი იდეოლოგია სავსებით. ამიტომ არ იყო სწორი მათი მიღება კომუნისტურ პარტიაში. დაე, ამბობს ამხ. კალანდაძე, მათ იმუშაონ ჩვენთან. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ისინი საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ სამუშაოზე, ხოლო პარტიაში მათი მიღება არას შემთხვევაში არ შეიძლება. ეს შემცდარი პოლიტიკაა.

## ამხ. კახიანის სიტყვა

ამხანაგებო, პირველეს ყოვლისა, მე საერთოთ უნდა დავეთანხმო აქ გამოსულ ორატორებს იმაში, რომ ამხ. ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ ბევრი არაფერი დარჩა სათქმელი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამხ. ორჯონიკიძემ სიტყვის იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა საქართველოს, მაგრად მოგვცხო ჩვენ, გამოამჟღავნა რა ყველა უარყოფითი მხარეები. მაგრამ ჩვენ არ ვიქნებოდით კომუნისტები, რომ მიგვეფუჩეჩებია ის ნაკლულოვანებები, რომლებიც არსებობენ და მოითხოვენ გასწორებას. ეს ჩვენი ვალდებულებაა, და ის, რომ ჩვენში, კერძოთ საქართველოში ადგილი აქვს მრავალ დეფექტებს და უარყოფით მოვლენებს საბჭოთა აპარატში, სამეურნეო ორგანოებში და ზოგან პარტიულ აპარატშიაც, ეს სრული ჭეშმარიტებაა და მე ვფიქრობ, რომ ა.-კ. საოლქო თათბირზე ჩვენ უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი ღონისძიებათა იმისთვის, რომ გავასწოროთ ეს შეცდომები მთელს ხაზზე არა მარტო საქართველოში, არამედ აზერბეიჯანში და სომხეთშიაც.

რაც შეეხება ჩვენს მდგომარეობას საქართველოში, მე უნდა განვაცხადო, რომ ის აქ უფრო ძნელია, იმიტომ, რომ ჩვენ აქ გვაქვს სხვაგვარი პირობები, ვინემ ეს იყო სომხეთში და აზერბეიჯანში. საქართველოში არსებობს ზედმიწევნით წვრილ-ბურჟუაზიული პირობები, მებრძოლი ნაციონალიზმის და მენშევიზმის ნაშთი, რის წინააღმდეგ გვიხდებოდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ დღიდანვე. ეს თავისებური მდგომარეობა ჰქმნის მრავალ დაბრკოლებებს პრაქტიკულ მუშაობისათვის.

მე მინდა შევჩერდე ზოგიერთ მომენტებზე. ამხ. თ. კალანდაძე ლირიკულად სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ მას არ აძლევენ წერის საშუალებას, რომ არ სცნობენ მის ავტორიტეტს და სხვ.. ეს რასაკვირველია ლირიკაა. ამის შესახებ არ ღირს ლაპარაკი. მაგრამ რამდენათაც ის სვამს საკითხს მენშევიზმთან ბრძოლის ხაზის სისწორის შესახებ, ნება მიბოძეთ ამაზე უპასუხო მას. პირველ ყოვლისა, როცა აქ ამხ. კალანდაძე ლაპარაკობს, რომ მენშევიზმი ეს სოციალური ბოროტება თითქმის სპეციალურად საქართველოსათვის მოგონებულია, ეს არ არის მართალი, რადგან მენშევიზმი არის არა სპეციფიური ქართული, არამედ საერთაშორისო მოვლენა. კერძოთ ამიერ-კავკასიაში მენშევიზმთან ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიაც და სხვადასხვა გვარი სახით.

რასაკვირველია ყველაზე უფრო ძლიერად მენშევიზმმა ფეხი მოიკიდა საქართველოში.

ამხ. კალანდაძე გამოდის და აცხადებს, რომ მას სურს ესაუბროს აზერბეიჯანელებს და სომხებს, მხოლოდ და მხოლოდ მათ და არა ქართველებს, რადგან ქართველები იცნობენ მის ბრწყინვალე აზრს. ეს, მეტი რომ არა ვსთქვათ, საკვირველია. ჩვენ მოვიწვიეთ ამიერ-კავკასიის პარტიული თათბირი და ყველანი მისი ერთნაირი მონაწილენი არიან. თუ თ. კალანდაძეს ჰგონია, რომ პარტიულ კონფერენციაზე გამოსვლა საჭიროა იმისთვის, რომ ესაუბროს მხოლოდ ზოგიერთ დელეგატებს და გააცნოს მათ თავისი პიროვნება, ნება მიბოძეთ შევნიშნო მას, რომ პარტიულ კონფერენციას ჩვენ ამისთვის არ ვიწვევთ.

ეხლა გადავიდეთ იმ საკითხზე, რომელსაც ამხ. ორჯონიკიძე გაკვრით შეეხო. მე ვფიქრობ, მას რომ ეს საკითხი გაეშუქებია დაწვრილებით, ის უსათუოდ იტყოდა, რომ საქართველოს ორგანიზაციის ერთ-ერთ მეტად სერიოზულ მიღწევას წარმოადგენს სოციალ-დემოკრატ მუშების დაპყრობა. და აქ საჭირო არ არის ისეთი გამოსვლა, როგორც ამას თედორე კალანდაძე სჩადის, რაც ობიექტიურად წყალის მიშვებაა ნოე ჟორდანიას წისქვილზე, აქ საჭიროა აღინიშნოს უეჭველი მიღწევები, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცეკას აქვს (ტაში).

მე უნდა ვსთქვა, რომ როცა ლაპარაკობენ, თითქოს ვინმე აჭარბებდეს მიღწევებს მენშევიზმთან ბრძოლაში, როცა თედორე კალანდაძე სერიოზულად აყენებს ამ საკითხს,—თურმე, თედორე კალანდაძე არა ყოველთვის აყენებს საკითხებს არასერიოზულად, ზოგჯერ მას სერიოზული კილოც აქვს,—ჩვენ მას ვუპასუხებთ, რომ არც კი გვიფიქრია ჩვენი მიღწევების გადამეტება. მაგრამ ამავე დროს ვლაპარაკობთ, მენშევიზმი, როგორც პოლიტიკური მიმართულება, როგორც ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელი მუშურ-გლეხურ მასებში, აი ამ მხრივ მენშევიზმი საქართველოში სამუდამოდ მოკვდა.

ის გადაგვარდა თავისი სოციალური შემადგენლობით, ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა მუშურ-გლეხურ მასასთან, დაუკავშირდა ვაჭრებს, სპეკულიანტებს, ფეოდალებს, თავადებს და მემამულეებს. ასე დაკნინებული სახით განაგრძობს ის თავის არალეგალურ არსებობას. აი როგორ ვაყენებთ ჩვენ საკითხს, სრულიადაც არ ვყოყოჩობთ მიღწევებით, რომელნიც ჩვენ გვაქვს და განვაგრძობთ შეუპოვარ სისტემატიურ ბრძოლას. როცა, ჯერ კიდევ 3 წლის წინ, ჩვენს წინაშე იდგა ამოცანა,—როგორ გვეწარმოებია ეს მუშაობა, როცა იდგა ამოცანა მენშევიზმის წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლის წარმოების შესახებ, სხვათა შორის, მენშევიზმთან ბრძოლის საკითხი იწვევდა უთანხმოებას ზოგიერთ ძველ სტაჟიან კომუნისტებსა და იმ ახალგაზრდებს შორის, რომელთაც ასე ცუდათ იხსენიებს თედორე კალანდაძე.

ამის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, თუ რა ფასი აქვს ამხ. კალანდაძის გამოსვლას: თუ არ შეიძლებოდა ბოლშევიკური დიქტატურის ნამდვილი მეთოდების გამოყენება, გეკითხებით,—როგორ უნდა გვეწარმოებია ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ. და როცა ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა ნამდვილი ბოლშევიკური მეთოდებით. მენშევიკებს შორის მოხდა გარდატეხა და მათ განაცხადეს, რომ ხელს იღებენ პოლიტიკურ ბრძოლაზე. ეს გარდატეხა 23 წელს დაიწყო. პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოყენებული და გაღრმავებული ყოფილიყო ეს გარდატეხა მშრომელთა სულიერ განწყობილებაში. ჩვენს წინაშე მაშინ მთელი სიგრძე-სიგანით დასმული იყო სოციალ-დემოკრატ მუშების დაპყრობის ამოცანა. ეს პრობლემა აქტუალურად სდგას არა მარტო გერმანიის კომპარტიის წინაშე, არამედ აგრეთვე იმ ქვეყნების კომუნისტების წინაშეც, სადაც წინად მენშევიზმის გავლენა მუშათა მასებში ძლიერი იყო (მაგალითი—გერმანიაა). აქ საქმეს არ შველის მხოლოდ ფიზიკური სიძულვილი და მენშევიკების და ნოე ჟორდანიას ლანძღვა-გინება, რაც ნაწილობრივ თ. კალანდაძეს და მის მსგავსთა სჩვევიათ, აქ საჭიროა ყოველი სახის მენშევიზმის იდეოლოგიურად დაძლევა. ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა ჩვენ წარმატებით გადავსჭერით.

და ჩვენ, ამხანაგებო, მივაღწიეთ იმასა, რომ პირველმა ტალღამ, რომელმაც მენშევიზმი დაშალა, 11 ათასი მუშა მოიყვანა ჩვენთან. ეს იყო 1923 წელს.

მეორე ტალღამ 1924 წელს გადაიარა, აგვისტოს ამბების შემდეგ. მენშევიზმის მიმდევრებს, რომელთაც მანამდე კიდევ სწამდათ მენშევიკური პარტია, ამ ამბების შემდეგ საბოლოოდ იმედი გაუცრუვდათ, და დაიწყო ძლიერი მოძრაობა, რომელმაც კიდევ 12 ათასი მენშევიკები მოიყვანა ჩვენთან. მაშასადამე, ჩვენი მუშაობის წყალობით, 25.000 მუშა და მშრომელი მივიღეთ, რომელთაც დასტოვეს მენშევიკური პარტია.

დაე თ. კალანდაძემ სცადოს ამის უარყოფა, მაგრამ ჩვენ გვყავს ისეთი მოწმე. როგორიც არის თვით ნოე ჟორდანია, რომელიც მრავალი „ეპისტოლეების" შემდეგ იძულებული იყო აღიარებინა, რომ მუშები მართლაც მიემხრნენ ბოლშევიკებსო. მაგრამ ის ამბობს, რომ ეს იყვნენ „დაქანცული" მუშები რომელთაც აღარ შეეძლოთ მუშაობაო.

მე მგონია, რომ თუ ვინმე მართლა დაიქანცა და ბურჟუაზიასთან ბრძოლა არ სურს, ეს მენშევიკები არიან და არა ის საუკეთესო მოწინავე მუშები, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ, რათა ენერგიული ბრძოლა აწარმოონ პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად.

აი იმ მუშაობის შედეგი, რომელსაც ჩვენი პარტია აწარმოებდა. ამხ. კალანდაძე ამბობს, რომ მენშევიზმის დაშლა უნდა ვაწარმოვოთ, მაგრამ მეთოდი არ არის სწორი, და ამას იმით ხსნის, რომ ამ საქმეს მოხუცი პარტიული ამხანაგები არ ხელმძღვანელობდნენ. ამ რიგათ ის ჰასაკის საკითხს გვისვამს.

მაგრამ საქმე ჰასაკში როდი არის. მე მგონია, რომ ჰასაკი ამ საქმეში არავითარ როლს არ თამაშობს.

შემდეგ, ამხ. კალანდაძე ამბობს, რომ ჩვენთან მოსულ მენშევიკებს საბჭოთა სამუშაოზე უნდა ვსტოვებდეთ, მაგრამ პარტიაში არ უნდა ვღებულობდეთო. ეს საკითხის სრულიად ახალი და მოულოდნელი დასმაა.

მაგრამ სწორია თუ არა საკითხის ასე დასმა? მგონია, რომ არა. იმიტომ კი არა, რომ ცენტრალური კომიტეტი თითქო იმ თვალსაზრისს იცავდეს, რომ საჭიროა პარტიული კარების ფართოდ გაღება და ყველა ყოფილ მენშევიკების შემოშვება. სრულიადაც არა. თავიდანვე მუშაობა სწარმოებდა ჩვენი უმაღლესი ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ და მათთან შეთანხმებით. ასე, რომ ეს უნდა იცოდეს პატივცემულ ამხ. კალანდაძემ და არ უნდა დაიწყოს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ის მუშაობა სწარმოებდა უგეგმოთ და სისტემატიური ხელმძღვანელობის გარეშე.

რასაკვირველია, პარტიაში ჩვენ ვღებულობთ არა ყველას, არამედ ყოფილ მენშევიკების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც შესწევს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის უნარი. საჭირო იყო პარტიაში ჩაგვება მუშების საუკეთესო ელემენტები.

თუ ავიღებთ მთელს საქართველოს კომპარტიას, ჩვენ დავინახავთ, რომ პარტიაში მუშების მცირე პროცენტია. ჩვენი მუშაობის პირველ წლებში ჩვენს პარტიას ჰყავდა მუშების 13 პროცენტი. შემდეგ 20 პროც., შემდეგ 25 პროც., ხოლო ამჟამად მივაღწიეთ 40 პროცენტამდე. მუშების მთავარი მასსა მოდის თბილისზე და თქვენ იცით, რომ თბილისის მუშათა კლასი მენშევიზმის დიდ გავლენას განიცდიდა. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მუშაობა იმ მუშათა კლასს შორის, რომელშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა.

შევსძლებთ თუ არა ჩვენ იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დასმულია ჩვენს წინაშე პარტიის მიერ, თუ ჩვენ არ მივიღებთ პარტიაში ყოფ. მენშევიკ მუშების საუკეთესო ნაწილს და მით ხელს არ შეუწყობთ ამ მუშაობის საბოლოოდ დაგვირგვინებას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერა. და ვისაც ეს არ ესმის ის საერთოდ ძლიერ ცუდათ ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში.

მე არ ვიტყვი, რომ ამ საქმეში არ გვხვდება სიძნელენი. ტრამვაელების ერთ-ერთ კრებაზე გამოვიდნენ ზოგიერთი კომუნისტები—ყოფილი მენშევიკები და ილაპარაკეს ჩვენს სამეურნეო დაბრკოლებებზე და სამუშაო ხელფასის საკითხებზე სრულიადაც არა კომუნისტური მიდგომით. მე ველაპარაკე ამ ყოფილ მენშევიკებს. მე მათ უთხარი: „თქვენ შემოდით ჩვენს პარტიაში, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ აქ არის აღლუმი და დღესასწაული, ნუ გგონიათ, რომ ჩვენ არ გვექნება მძიმე დაბრკოლებები, რომ ჩერვონეცი მუდამ მტკიცე იქნება. მაგრამ თქვენ კი არ უნდა გამოიჩინოთ მერყეობა, როცა ჩერვონეცი დაიწყებს რყევას; კომუნისტი არ უნდა იჩენდეს მერყეობას ჩერვონეცის მერყეობის მიხედვით. თუ ჩერვონეცი ირყევა, მით უფრო მტკიცე უნა იყოს კომუნისტი".

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ სიძნელენი ყოფილ მენშევიკებთან არის და იქნება. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავრეკოთ პარტიიდან ყველა? ამ საკითხს უნდა მიუდგეთ ჩვენი პარტიის ინტერესების თვალსაზრისით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისეთ ყოფილ მენშევიკების გვერდით, რომელნიც მერყეობენ ზოგიერთ საკითხებში, ჩვენ გვყავს ისეთი ამხანაგები, როგორც მაგ. ამხ. ფარნიევი, რომელიც ამავე კრებაზე, როგორც ტრამვაის დირექტორი და ერთ-ერთი საუკეთესო სამეურნეო მუშაკი, გამოვიდა და ბრწყინვალედ დაიცვა ჩვენი პარტიის ხაზი ამის შემდეგ განა შეიძლება ხელმოსმით ლაპარაკი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მუშა-მენშევიკები ათეული წლების განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ პოლიტიკაში და ამიტომ ეხლა მათი პოლიტიკურ მუშაობის გარეთ დაყენება არ შეიძლება. ასე რომ მოვქცეულიყავით, შეიქმნებოდა ისეთი კადრი, რომელსაც შეეძლო პარალელურად თავისი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მუშათა კომისიებს მხარს უჭერდა [illegible] 11 ათასი მუშა [illegible] ცენტრში, ისე ადგილებზე. მაგრამ შემდეგ წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ კომუნისტური პარტიის გვერდით და პარალელურად არ შეიძლება და არ უნდა არსებობდეს ორგანიზაცია, ისეთი ჯგუფი, რომელიც ისახავს რაიმე განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებს. მუშათა კომისიებმა მათივე წინადადებით შესწყვიტეს მუშაობა და მათივე წინადადებითვე მოხდა ამ კომისიების ლიკვიდაცია და მუშების ყველაზე აქტიური და მოწინავე ნაწილი ჩაბმული იქნა ჩვენს პარტიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ახალგაზრდა და ძველ პარტიულ ამხანაგების წრეში ხანგამოშვებით შემჩნეული იყო ერთგვარი უნდობლობა, არაკეთილმეგობრული განწყობილება ყოფილ მენშევიკებისადმი. სწორედ ამას შეუძლია გადაიყვანოს მუშათა მასები მტრის ბანაკში. ეს იქნებოდა იმ სწორი ხაზის უარყოფა, რომელიც ჩვენ გამოვიმუშავეთ და ცხოვრებაში ვატარებთ. ეს იქნებოდა ნოე ჟორდანიას წისქვილზე წყალის მიშვება.

და აი, ამხანაგებო, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მენშევიკების გახრწნაზე, ხაზი უნდა გაუსვათ, რომ ამ მხრივ ჩვენმა პარტიამ შეასრულა საქართველოში დიდი და პროდუქტიული მუშაობა. მენშევიზმი პოლიტიკურად მოისპო და ეხლა გვიხდება ბრძოლა ამ მენშევიზმის ნაშთებთან აქაც და საზღვარ-გარეთაც.

თედორე კალანდაძე მართალია, როდესაც ლაპარაკობს, რომ ემიგრაცია ეხმარება აქაურ მენშევიკებს, მაგრამ იმისათვის, რომ წარმატებით წავიდეს ამ ემიგრაციის დაშლა, ეს პროცესი კი უკვე დაიწყო და ვითარდება, ამისათვის საჭიროა იმ ერთ-ერთი სწორი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ჩვენ აქ დავისახეთ. თუ ჩვენ აქ მენშევიზმის გახრწნისაკენ მიმართულ პოლიტიკას ვერ ვაწარმოებთ სწორად, საზღვარგარეთის ემიგრაცია მაგრათ იქნება. თუ ჩვენ გვინდა საზღვარ-გარეთის ემიგრაციის საბოლოოთ დაშლა, უნდა განვაგრძოთ იმ გზით სვლა, რომლითაც მიდიოდა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. აქ ჩვენ არ გვიხდება ამ პოლიტიკის წუნი დავდვათ, ისე როგორც ამას თედორე კალანდაძე სჩადის, არამედ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი პარტიის მუშაობის ეს დარგი არის ჩვენი პარტიის ერთ-ერთი დამსახურება.

დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს კიდევ ამხ. იშკოვამ, არუთინოვმა, ტრაპაიძემ, ნაზარეტიანმა, კარაევმა, ვაგნინმა, ბაკუნცმა, კასუმოვმა და გობეჩიამ.

#### მეშვიდე სხდომა

8 მაისს, საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი ადგილებიდან მოხსენებების გარშემო.

#### ამხ. რატნეკის სიტყვა
(წითელი არმიის წარმომადგენელი)

ორატორი აღნიშნავს, რომ გლეხობაზე გავლენის გაძლიერების ერთ-ერთი ფორმაა ტერსისტემა. ტერმშენებლობაში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევები: გასული წლის განმავლობაში, პარტორგანიზაციები დაუახლოვდენ მას და ხელმძღვანელობა გაძლიერდა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, არის ზოგიერთი ნაკლი, რომელიც უნდა აღინიშნოს აქ. სუსტია ძირითად პარტორგანიზაციების კავშირი, სუსტია პროფკავშირების მონაწილეობა ამ აღმშენებლობაში, სუსტია აგრეთვე განათლების კომისარიატის მონაწილეობაც გაწვეულთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და სხვა.

ორატორი მიაქცევს კონფერენციის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა წითელ არმიიდან განთავისუფლებულ მეთაურებს და ყოფილ წითელარმიელებს. წითელ არმიაში ნამსახურთა ერთი ნაწილი გამოუყენებელია სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში. მაგრამ მე-2 ნაწილის შესახებ ისევე არ ითქმის, ორატორი მოითხოვს ამ საქმისათვის მეტი ყურადღების მიქცევას.

ამხ. რატნეკის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ აირჩია საგანგებო კომისია რეზოლიუციის გამოსამუშავებლად და გადავიდა დღის წესრიგში დასმულ შემდეგი საკითხის განხილვაზე.

#### ამხ. ბალტინის მოხსენება
(ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა და ამოცანები)

გასული წლის განმავლობაში, აღნიშნავს ორატორი, სამომხმარებლო კოოპერაციამ მთელი რიგი მიღწევები აქვს. ასე მაგალითად კოოპერატიულ გაერთიანებათა რაოდენობა გაიზარდა 383-დე, ხოლო მათი სავაჭრო პუნქტები 49% მოდიოდა. ყველაზე თვალსაჩინოა ამ მხრივ მიღწევები საქართველოში. გაიზარდა წევრთა რიცხვიც: მიმდინარე წლის იანვრისათვის კოოპერაციაში ირიცხებოდა 459 ათასი წევრი, ხოლო 1 აპრილისათვის ეს რიცხვი 465 ათასზე ავიდა; 1925 წელთან შედარებით წევრთა რიცხვი—66% გადიდდა.

ქალაქებში ირიცხება 200 ათასი წევრი, ხოლო სოფლებში 260 ათასი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე ბრუნვაც: კოოპერატივების ბრუნვა ამ ხნის განმავლობაში უდრიდა 60 მილიონს, მაშინ, როდესაც მთელი გასული წლის განმავლობაში ის 40 მილიონს არ აღემატებოდა; სოფლის კოოპერატივების ბრუნვა კი მიმდინარე წლის ნახევარში 38 მილიონ მანეთზე ავიდა, მთელი გასული წლის განმავლობაში კი ბრუნვა 29 მილიონს არ ასცილებია.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს სახელმწიფო მრეწველობას და აღნიშნავს, რომ კოოპერაციის წინაშე ამჟამად ორი უმთავრესი ამოცანაა: მრეწველობის პროდუქციის გეგმაშეწონილი რეალიზაცია და ფასების შენარჩუნება მინიმალურ დონეზე მისი შემდეგი შემცირების ტენდენციით. ამ ამოცანების განხორციელება კოოპერაციას გაუძნელდება თუ მრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია კოოპერაციის ქსელის საშუალებით შემცირდა. ასეთი ტენდენცია მისი აზრით უკვე ემჩნევა ზოგიერთ სინდიკატებს და ტრესტებს.

კოოპერაციის საკუთარი თანხები უკანასკნელ წლის განმავლობაში გაიზარდა. უმთავრესად სოფლად. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა ამ მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი. მთელ რიგ მუშათა კოოპერატივებს სრულებით არ გააჩნიათ საკუთარი თანხები, ხოლო არის შემთხვევები როდესაც მათ ნასესხები თანხები დაბანდებული აქვთ ისეთ საქონელში, რომელზეც ნაკლებათ არსებობს მოთხოვნილება. გადადის რა საბანკო კრედიტის დახასიათებაზე, ორატორი აცხადებს, რომ კოოპერაციის კრედიტები შეუმცირდა. თუ მიუხედავათ ამისა, კოოპერაცია მაინც შედარებით დამაკმაყოფილებლად მუშაობს, ეს იმით აიხსნება, რომ მას უკანასკნელ ხანებში მოგება აქვს და ამ თანხებით აწარმოებს ოპერაციებს.

ზედნადები ხარჯები თანდათან მცირდება. ასე მაგალითად, სოფლის კოოპერაციაში ის უდრიდა 1923 წელში 23%, 1924 წელში 16%, ხოლო 1925—26 წელს ეს პროცენტი კიდევ შემცირდა 15.3. ზედნადები ხარჯების შემცირება ხდება უმთავრესად ბრუნვის გაფართოების გამო. ფასების მომატებას ქალაქებში ადგილი არ ჰქონია. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა ნაწილობრივ სოფლის კოოპერაციაში, მაგრამ ამჟამად სწარმოებს კამპანია ფასების კვლავ ძველ დონეზე დასაყენებლად: განსაკუთრებით დაზარალა, ორატორის აზრით კოოპერაცია გასულ წლის განმავლობაში გაფლანგვებმა და მტაცებლობამ. გაფლანგულ თანხების რაოდენობა 1924—25 წლის განმავლობაში უდრის 700 ათას მანეთს, რაც საბრუნავი თანხის 1% შეადგენს.

წევრთა მონაწილეობა კოოპერატივების საქმიანობაში მოისუსტებს, თუმცა ზოგიერთ ადგილებზე ემჩნევა აქტივობის ზრდა: იყო შემთხვევები, როდესაც კრებებს წევრთა 80—90% ესწრებოდა. ასეთი მოვლენები ჯერ-ჯერობით სამწუხაროდ გამონაკლისს შეადგენენ. უმეტეს შემთხვევაში კოოპერატივების გამგეობათა არჩევნებზე ქვორუმიც არ ცხადდებოდა. სუსტია კოოპერაციაში ინსტრუქტორთა აპარატი. ინსტრუქტორები ხშირად არ იცნობენ კოოპერაციის საკითხებს და ამიტომ ცხადია, მათი ხელმძღვანელობაც სუსტია. ამ მხრივ საქართველოს კოოპერაციაში უკეთესი მდგომარეობა არის.

გადადის რა პარტხელმძღვანელობის საკითხებზე, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ამ ხელმძღვანელობის გაძლიერება განსაკუთრებით ადგილებზე და პარტიის უმაღლეს ორგანოების ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. ის მოითხოვს აგრეთვე კოოპერაციის გაძლიერებას გამოცდილ სამეურნეო მუშაკ-პარტიულ ამხანაგებით.

ამხ. ბალტინის შემდეგ თათბირმა იმავე სხდომაზე მოისმინა ცალკე რესპუბლიკათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა მოხსენებები.

# ავსტრიის მუშათა პირველი დელეგაციის მოხსენება *)

## საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი

თბილისში დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საბჭოთა საქართველოს არსებობის ხუთი წლის თავის დღესასწაულში. ის შთაბეჭდილება, რომელიც დელეგაციაზე უზარმაზარ მუშათა მასების დემონსტრაციამ მოახდინა, უფრო ვრცელ მოხსენებაში იქნება მოცემული. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება დღესაც დაბეჯითებით ითქვას: ქართველი ხალხის ჩაგვრაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სწორედ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს დიდი კულტურული და ეკონომიური წინსვლა ეტყობა.

## ვის ხელშია საბჭოთა კავშირში ძალაუფლება

მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში თვით უმაღლესი ადგილებიც, უბრალო, მაგრამ რევოლიუციის ქარიშხალში გამობრძმედილ მუშებს უჭირავთ. სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებიც კი (მინისტრ-პრეზიდენტები) თითქმის ყველგან ყოფილი მუშები და მოსამსახურეებია. განსაკუთრებით მელითონეებს მრავალი დიდი მოხელე მიუციათ სახელმწიფოსათვის.

მუშათა პროფესიული კავშირები, რომელშიც 80 პროცენტი არა კომუნისტი, ე. ი. უპარტიო მუშები შედიან, გავლენას ახდენენ, როგორც მთავრობაზე, ისე სამრეწველო სამეურნეო დაწესებულებებზე. ყველანი განსაკუთრებით უპარტიო მუშათა მასები აბსოლიუტური ნდობით ეპყრობიან არსებული მმართველობის სისტემას და დაწესებულებებს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის აქტიური ხელმძღვანელობით მიაღწია ქვეყანამ დიდ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ წარმატებას.

ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა, რომელსაც საბჭოთა მთავრობამ ჩამორთმეული დიდი მამულები გაუნაწილა და სამეურნეო მანქანებსა და კრედიტს აძლევს, მტკიცედ სდგას საბჭოებისა და საბჭოთა მთავრობის მხარეზე.

## ეროვნებათა საკითხი

თუ საბჭოთა სისტემამ ასე მტკიცედ გაიდგა ფესვი პროლეტარიატსა და გლეხკაცობაში ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ საბჭოთა მთავრობამ თვითეულ ერს თვითგამორკვევის უფლება მიანიჭა, ყველა ეროვნულ, კულტურულ და ეკონომიურ საკითხებში.

თვითეულ რესპუბლიკას, რომელიც საბჭოთა კავშირში შედის, თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს, თვითეული ერის წევრს უფლება აქვს დედა-ენაზე მიმართოს მთავრობას, სკოლა გაეროვნებულია და სხ. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, მათ შეუძლიათ მართვა-გამგეობის ყველა დარგებში შესვლა. ამ რიგად მიღწეულია ყველა ეროვნულ ძალების თანამშრომლობა.

## მუშათა დაცვის საქმე

### სამუშაო დრო

ნორმალური სამუშაო დრო არ შეიძლება დღისით 8 საათს გადასცილდეს ხოლო ღამით 7 ს.

ექვსი საათის სამუშაო დღეა დაწესებული შემდეგი კატეგორიებისათვის: ა) იმ პირებისათვის, რომელნიც არ გასცილებიან 18 წელს; ბ) იმ მუშებისათვის, რომელნიც განსაკუთრებით მძიმე და ჯანსაღობის დამაზიანებელ შრომას ეწევიან) მაგ. სამთამადნო, ქიმიურ ინდუსტრიაში, ერთი სიტყვით ყოველ წარმოებაში, სადაც განსაკუთრებით მძიმე და დამასუსტებელი სამუშაოა შესასრულებელი).

სამუშაო დღის განმავლობაში ყოველ მუშას დასვენებისა და საუზმისათვის დრო ეძლევა.

ზედმეტი საათები ნება დართულია, მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევაში და ყოველთვის აუცილებლივ შრომის ინსპექტორის თანხმობაა საჭირო. ზედმეტი საათებისათვის მუშას 50 პროც. დამატება ეძლევა. ზედმეტი სამუშაო აკრძალულია ყოველ შემთხვევაში, იმ პირებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ 18 წლისათვის.

### სამუშაო ხელფასი.

სამუშაო ხელფასი დაყოფილია კლასებად, თვითეული მუშის კვალიფიკაციის მიხედვით. არსებობს 17 კლასი. [illegible] ხელფასი თვიურად 25-28 მანეთს უდრის ე. ი. დაახლოვებით 90 შილინგს, ამ ხელფასს დაბალი კატეგორიის მუშები იღებენ, მაგალითად დამგველები და სხ. უმაღლესი ხელფასი 250 მანეთსა (900 შილინგს) და კიდევ მეტს უდრის.

საშუალო ხელფასი ლითონის მრეწველობაში 75-80 მანეთია, ქიმიური ინდუსტრიაში 70-75 მანეთი, საფეიქრო ინდუსტრიაში 60-65 მანეთი, რასაკვირველია, ზოგიერთ წარმოებაში, რომელიც ჩვენ დავათვალიერეთ, გამონაკლისიც შეგვხვდა, რაიცა უმთავრესად თვით წარმოების ზომითა და მწარმოებელი ძალით აიხსნება.

უმრავლეს დარგებში ომის წინადროინდელი ხელფასი უკვე მიღწეულია, ნაწილობრივ გადაცილებულიც არის. მხოლოდ ზოგიერთ ჩამორჩენილ დარგში შრომის ხელფასი რამოდენიმე პროცენტით ნაკლებია ომის წინადროინდელ დონეზე, მაგრამ აქაც გაუთანასწორდება მას.

### შეგირდების დაცვა.

ყოველი წარმოება, კანონის მიხედვით, ვალდებულია განსაზღვრული პროცენტი ადგილებისა შეგირდებს დაუთმოს. შეგირდის დათხოვნა აკრძალულია სანამ ის თავის შეგირდობის დროს არ დაასრულებს.

განსაკუთრებით თვალში გვეცა ის გარემოება, რომ წარმოებებში დაზგებთან, მანქანებთან, შეგირდი ქალები მუშაობენ. ჩვენს შეკითხვაზე მათ გვიპასუხეს, რომ ისინი პროფესიას ნებაყოფლობით სწავლობენ, იმიტომ რომ, კიდეც ეხალისებათ და არც უნდათ, რომ მამა-კაცებს ჩამორჩნენ.

შეგირდები 4 საათს პრაქტიკულად მუშაობენ წარმოებაში, ხოლო 4 საათს პროფესიულ სკოლაში ატარებენ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში წარმოების საგანგებოდ მოწყობილ განყოფილებაშია მოთავსებული და თეორეტიულ და პრაქტიკულ ნაწილს შეიცავს.

შეგირდების ხელფასი სასწავლო დროზეა დამოკიდებული და თითქმის ყველგან 18 მანეთიდან 35 მანეთამდე, ზოგჯერ 40 მანეთამდეც აღწევს.

## ქალების მდგომარეობა

ქალი საბჭოთა კავშირში სრულიად გათანასწორებულია მამაკაცთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურულ დარგში. მას შეუძლია იმუშავოს ყოველ პროფესიაში, რომელიც მის ბუნებას არ ეწინააღმდეგება. ორსულობის დროს ქალი ოთხი თვის შვებულებას ღებულობს. ორი თვით ადრე მშობიარობამდე, ამ ხნის განმავლობაში ხელფასი - უკლებლივ ეძლევა. მშობიარობის დროს ის 26 მანეთს ღებულობს, როგორც საჩუქარს ბავშის თეთრეულის შესაძენად. ამას გარდა პრემიაც ეძლევა ცხრა თვის განმავლობაში, 6 მანეთ ნახევარი თვეში.

## უმუშევრობა

მუშათა ძალების დიდი მოთხოვნილების მიუხედავათ, საბჭოთა კავშირში არსებობს უმუშევრობა. ეს უმუშევრობა განსაკუთრებით ინდუსტრიის ცენტრებშია თვალსაჩინო, რაიცა აიხსნება იმით, რომ სოფლის მოსახლეობის დიდი მასები ქალაქებს მიაწყდნენ. კვალიფიციურ მუშების აღზრდა და მრეწველობის გაძლიერება შეამცირებს ამ უმუშევართა რიცხვს, რომლის უმთავრესად გაუწვრთნელი ელემენტებისაგან შესდგება.

უმუშევრები სახელმწიფოსაგან, 6 თვის განმავლობაში, დახმარებას ღებულობენ. 15 მანეთიდან 22 მან. ნახევრამდე. 6 თვის შემდეგ მხოლოდ იმათ ეძლევათ დახმარება, ვინც დაამტკიცებს, რომ ისინი უმუშევრად რჩებიან, თავიანთი სურვილების წინააღმდეგ. ეს ზომა აუცილებელია სოფლიდან მოსული გაუწვრთნელი მუშათა მასების შესამცირებლად.

პროფესიული კავშირის წევრი, გარდა იმისა, თვით კავშირის კასისაგან ზედმეტ დახმარებას ღებულობს, 7 მანეთიდან 15 მანეთამდე

## პროფესიული კავშირები და კოლექტიური ხელშეკრულება

პროფესიული კავშირები თავისუფალი მუშათა ორგანიზაციებია. პროფკავშირში შესასვლელად საჭიროა, რომ მუშამ წერილობითი განცხადება შეიტანოს წარმოების ორგანიზაციაში. ამ განცხადებას წევრების საერთო კრება არჩევს, პროფკავშირების მოქმედება ეხება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას მონაწილეობას იმ თათბირებში, რომელიც შრომის კანონმდებლობის გამოცემის და შეცვლას იხილავს და სხვა ეკონომიურ, კულტურულ და სოციალურ საკითხებს. თვითეულ პროფორგანიზაციას კოლექტიური ხელშეკრულების ჩარჩო აქვს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ცალკე წარმოებებისა და ინდუსტრიული ჯგუფების ხელშეკრულებას. პროფკავშირი მხოლოდ იმის შემდეგ სდებს კოლექტიურ ხელშეკრულებას, როცა მუშები კრებაზე საჯაროდ გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულებებსა და სურვილებს, რომელსაც შეძლებისამებრ, ანგარიში ეწევა.

## საწარმოო თათბირები.

საწარმოო თათბირებს განსაკუთრებული კანონების მიხედვით ირჩევენ, მათი მოქმედებაც კანონის მიერ განსაზღვრულია. საწარმოო თათბირების დანიშნულებაა თანამშრომლობის [illegible] ხელშეკრულების დადების დროს, მუშათა დაცვის კანონების თვალყურის დევნება, კულტურული და [illegible] ხელმძღვანელობა წარმოების მუშებში და სხ. საწარმოო თათბირის არჩევა ხდება საზოგადო კრებაზე. საზოგადო არჩევნების შემწეობით. საწარმოო თათბირების კანდიდატებს თვითეული განყოფილების მუშები წამოაყენებენ ხოლმე. არჩეულად ითვლება ის კანდიდატები, რომელნიც მეტ ხმას მიიღებენ. ირჩევენ აგრეთვე წევრების კანდიდატებსაც, რომელთა რიცხვი საერთოდ, 50 პროცენტს აღწევს. ყოველ წარმოებაში მუშათა რაოდენობის მიხედვით, მუშაობისაგან ანთავისუფლებენ განსაზღვრულ რიცხვს თათბირის წევრებისას. ისინი ჩვეულებრივ ჯამაგირს ღებულობენ. საწარმოო თათბირების ხარჯს წარმოება კისრულობს.

## სოციალური დაზღვევა

ავადმყოფობის დროს მუშა ჯამაგირს უკლებლივ ღებულობს. დაზღვევის ხარჯები სავსებით წარმოებამ უნდა იკისროს. მუშის ოჯახის წევრები, ავადმყოფობის დროს, დამზღვევი კასისაგან უფასო საექიმო დახმარებას ღებულობენ დაღლილ და დაავადმყოფებულ მუშებსა და მუშა-ქალებს რამოდენიმე კვირით დასასვენებელ სახლებში აგზავნიან, ეს სახლები უმეტეს შემთხვევაში, დიდი მემამულეების და თავადების ყოფილი სასახლეებია, აგრეთვე ხშირად ყოფილი მონასტრებიც. ამ დროის განმავლობაში მუშას უფასო საკვები ეძლევა და თავის ჯამაგირსაც ღებულობს.

იმ ბავშების მოსავლელად, რომელთა დედ მამა წარმოებაში მუშაობს, თითქმის ყოველ წარმოებაში ეგრედ წოდებული ბავშთა ბაგე არსებობს. ამ ბაგეში ბავშებს კვებავენ და უვლიან, სანამ დედ-მამა მუშაობს. ძუძუმწოვარა ბავშებისათვის ცალკე განყოფილება არსებობს, სადაც ბავშებს განსაკუთრებით უვლიან. დედას უფლება აქვს, სამჯერ დღეში, ნახევარ-ნახევარ საათით თავის ბავშთან მივიდეს და ძუძუ აწოვოს. ბავშების მოვლელ პერსონალს ქირას თვით წარმოება აძლევს.

## შვებულება

ხუთი თვის მუშაობის შემდეგ წარმოებაში ყოველ მუშას ორი კვირის შვებულების უფლება აქვს წელიწადში. ამ დროს განმავლობაში ჯამაგირი უკლებლივ ეძლევა. ჯანსაღობის დამაზიანებელ წარმოებაში მუშას ოთხი კვირის შვებულება ეძლევა. ამდენივე ეძლევა შეგირდებსაც. თუ მუშა წარმოებიდან გამოვიდა, სანამ შვებულების მისაღებად დაწესებულ ხუთ თვე-ნახევარს მიაღწევდეს მას მოწმობა ეძლევა თუ რამდენი ხანი იმსახურა ამ წარმოებაში და ეს დრო ახალ წარმოებაშიაც ეთვლება.

## კულტურული მუშაობა

ყოველ წარმოებაში ეგრედ წოდებული ლენინის კუთხეა მოწყობილი, რომელიც უმთავრესად, მუშათა განათლების მიზნებს ემსახურება. ანბანის უცოდინართ წერ-კითხვას ასწავლიან და სოციალისტურ ცოდნას აძლევენ. სკოლაში საფუძვლიანი რეფორმა ხდება. სახალხო სკოლაში ჩვეულებრივი საგნების გვერდით უკვე მარქსისტულ მოძრაობასაც ასწავლიან. ხშირად ხდება, რომ ბავშებს გარდა, მოზრდილი მუშებიც სწავლობენ. სღთო სჯულის სწავლება სკოლიდან განდევნილია.

## ეკლესიის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან

ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ეკლესიას ქონება ჩამოერთვა და სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადდა. ვისაც სურს სარწმუნოებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, რაც რასაკვირველია, აკრძალული არ არის, თვითონ უნდა გასწიოს სათანადო ხარჯები. რამდენიმე ეკლესია ვნახეთ, რომელიც მუშათა კლუბად გადაუქცევიათ და სოციალისტური განათლების მიზნებს ემსახურება.

## წითელი ჯარი

დელეგაციამ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს წითელი ჯარის ყაზარმები დაათვალიერა. ამ დათვალიერებამ ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა; თუნდაც მარტო იმიტომ, რომ უბრალო ჯარისკაცსა მის უფროსს შორის ამხანაგური დამოკიდებულება არსებობს, როგორც სხვაგან ძმებს შორისაც კი არ არის. ამასთანავე ერთი მხრით, წითელი ჯარსა და მეორე მხრით, მუშებსა და გლეხებს შორის მეტად, მჭიდრო კავშირია გაბმული. ფაბრიკები შეფობას კისრულობენ წითელი ჯარის ამა თუ იმ ნაწილზე. მუშები წითელ არმიელებთან მიდიან ყაზარმებში და მათთან მსჯელობენ სხვადასხვა პოლიტიკურ და კულტურულ პრობლემებზე. წითელი არმიელები თავიანთი მხრით, შეფობას კისრულობენ რომელიმე სოფელზე, რათა აქ კულტურული, განმანათლებელი მუშაობა აწარმოონ.

ამრიგად შენარჩუნებულია და მტკიცდება შინაგანი კავშირი ჯარსა და პროლეტარიატს შორის აღსანიშნავია, რომ წითელ ჯარში, სამხედრო გაწვრთნასთან ერთად, საგანგებო ყურადღებას აქცევენ აგრეთვე წითელარმიელების პრაქტიკულ ცოდნას ინდუსტრიასა და სასოფლო მეურნეობაში.

ამით აღწევენ იმას, რომ სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ, წითელარმიელები შეიძლება გამოყენებულ იქნან ინდუსტრიასა და სასოფლო მეურნეობაში, როგორც კვალიფიციური ძალები.

დისციპლინა წითელ ჯარში ნებაყოფლობითი ხასიათისაა და სრულიად ეწინააღმდეგება იმ ყრუ მორჩილებას, რომელიც ევროპის ყაზარმებშია გამეფებული. თუ წითელარმიელმა რაიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველად უფროსი შენიშვნას აძლევს პირდაპირ სხვების დაუსწრებლათ, მეორეჯერ გაკიცხვა ხდება ყველა ამხანაგების თანდასწრებით. თუ არც ამან უშველა, მაშინ დამნაშავეს თავისუფლებას უკვეცენ. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში წითელი არმიელის გასასწორებლად. საკმაო გაკიცხვა შეკრებილ ამხანაგების წინაშე, მიტომ რომ ასეთი გაკიცხვა დიდ სირცხვილად ითვლება და თვით ამხანაგებიც ყურადღებას აქცევენ, რომ მან დისციპლინის დარღვევა აღარ მოახდინოს. წითელარმიელს, რომელიც განსაკუთრებით კარგათ იქცევა, ქებას უძღვნიან კედლის გაზეთში, ასე, რომ წითელარმიელის კარგი ყოფა-ქცევის ამბავს მისი [illegible] იტყობს. ამის გამო, თვითეული [illegible] სცდილობს, რომ კარგი ყოფა-ქცევით მადლობა დაიმსახუროს.

## დამატება

დაკვირვებიდან, კვლევა-ძიებიდან, იმ სტატისტიკური მასალის განხილვიდან, რომელსაც სხვადასხვა ეკონომიური დაწესებულებანი გვაწვდიდენ და იმ საუბრიდან, რომელსაც მუშებთან ვაწარმოებდით, ის რწმენა შევიძინეთ, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერე „ნეპის" წინადროინდელ მდგომარეობასთან შედარებით, შესამჩნევად გაიზარდა. თითქმის ყოველ ინდუსტრიულ წარმოებას მნიშვნელოვანი წინსვლა ეტყობა, წარმოების ტეხნიკურ გაუმჯობესებაში და აგრეთვე ახალი ფაბრიკების აშენებაში, რომელიც თითქმის ყველა დიდ ინდუსტრიულ ცენტრში ხდება. ბევრი რამ არის გაკეთებული მუშების ახალი ბინების გასაკეთებლად. მეფის დროინდელ ბეჩავ და ბნელ ჯურღმულების მაგივრად ახალი ბინები შენდება, უმეტეს ნაწილად ორ-ორი ოჯახისთვის. ზოგიერთი ფაბრიკა მთელ ბაღის ქალაქებს აშენებს, მაგალითად პეტროვსკის და ლენინის სახელობის ფაბრიკები ეკატერინოსლავში 2.000 მუშის ბინას აშენებს, ჰიგიენური და სანიტარული მოთხოვნილების მიხედვით ამ რიგად საბჭოთა კავშირის მთავრობა ანხორციელებს იმ პროგრამას, რომელიც მან გაშალა ხელისუფლების დამყარების დროს და პრაქტიკულად გვიჩვენებს, როგორც უნდა გატარდეს ცხოვრებაში სოციალიზმი პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით.

---

*) ავსტრიის მუშათა დელეგაციამ, რომელმაც მოიარა საბჭოთა კავშირი, ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ გამოუშვა პირველი, მოკლე ანგარიში, რომელიც მოგვყავს ვენის „როტე ფანე"-დან. რედ.

---

# ჩვენი მუშა და გლეხი კორესპონდენტები

## (ბეჭდვითი სიტყვის დღის გამო)

დღეს, ბეჭდვითი სიტყვის დღეს, ინტერესს არ იქნება მოკლებული შევეხოთ მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა ქსელის მდგომარეობას.

რა გაკეთდა ამ მიმართულებით ერთი წლის განმავლობაში? როგორ შეეთვისა მუშა და გლეხთა მასა საგაზეთო მუშაობას? რა მიღწევები ან დეფექტები გვაქვს ჩვენ ამ მხრივ?

ამ წერილში ჩვენ შევეხებით ოთხ გაზეთის მუშ-გლეხკორებს, რომელთა შესახებ მოგვეპოვება მასალები.

### მუშკორ - გლეხკორთა რაოდენობა

მუშ-გლეხკორთა რიცხვი დღეს საქართველოში უდრის დაახლოებით 1.827.

### ამათგან მუდმივათ თანამშრომლობენ:

| | მუშკორი | გლეხკორი |
|---|---|---|
| „კომუნისტ"-ში | 70 | 100 |
| „მუშა"-ში | 119 | 23 |
| „ახალ სოფელ"-ში | | 280 |
| „რაბ. პრავდა"-ში | 150 | — |

### არა მუდმივათ თანამშრომლობენ:

| | | |
|---|---|---|
| „კომუნისტ"-ში | 90 | 150 |
| „მუშა"-ში | 120 | 103 |
| „ახალ სოფელ"-ში | 50 (თვიურად) | |

### შემთხვევით ყოველდღიურათ სხვადასხვა პირები

| | მუშკორი | გლეხკორი |
|---|---|---|
| „კომუნისტ"-ში | 20 (დღიურათ) | 30 |
| „მუშა"-ში | 30 | 40 |
| „ახალ სოფელ"-ში | | 300 |
| „რაბ. პრავდა"-ში | 4—5 | |
| სულ | | 1.827 |

ნამდვილათ მათი რიცხვი უფრო დიდია. ამ ციფრებიდან აშკარად სჩანს, რამდენათ დაქსელილია მუშა-გლეხი-კორესპონდენტებით საქართველო, რამდენათ არის მუშათა და გლეხთა მასა ჩაბმული საგაზეთო მუშაობაში.

კერძოთ ჩვენი გაზეთის უმთავრეს მიღწევად ამ დარგში უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა და მათგან შეექმნა მუდმივი და მტკიცე კადრი დაზგასთან მდგომ მუშა - კორესპონდენტებისა (ძველი მუშა-რევოლიუციონერებისა). ჩვენი გაზეთის მუშკორების მთელ 90 პროცენტს შეადგენენ ძველი მუშები და 10 პროცენტს საბჭოთა მოსამსახურეები.

ყოველი მუშა და გლეხი, რომელმაც წერა-კითხვა იცის, ცდილობს გახდეს მუშკორი ან გლეხკორი. იგი აწვდის რედაქციას წერილებს ან თავის პირად ჭირ-ვარამზე ან საერთო თავის მოძმე მუშების, გლეხების და სოფლის მდგომარეობაზე, გამოდის მათი ინტერესების დამცველის როლში და მოითხოვს ხელისუფლებისაგან ამა თუ იმ არა სასურველ მოვლენებზე განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას და სხ. ამიტომ ჩვენი რედაქციის მისამართით გამოგზავნილი მუშურ-გლეხური კორესპონდენციების რაოდენობა იზრდება.

ამ წერილებიდან ადგილის უქონლობის გამო გაზეთში ყოველდღიურად („მუშათა ცხოვრების", „სოფლის ცხოვრების", „პროფკავშირების"), საშუალოდ უკეთეს შემთხვევაში იბეჭდება 50 კორესპონდენცია მოკლე წერილების, კითხვა-პასუხის და ქრონიკის სახით. ეს კი შეადგენს რედაქციაში შემოსულ წერილების 50 პროცენტს. დანარჩენ 50 პროცენტიდან— 30 პროც-მდე წერილებისა, როგორც გამოუსადეგარი არ იბეჭდება. უკანასკნელ 20 პროცენტს წერილებისას ადგილის უქონლობის გამო აგვიანდება, რის გამო წერილის შინაარსი ძველდება, მათ ეკარგება მნიშვნელობა და არ იბეჭდება.

მუშა და გლეხის შინაარსიანი და ვარგისი წერილების არ დაბეჭდვა არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად და სასურველად, ვინაიდან მათ ეს მოვლენა უკარგავს წერის ხალისს და სურვილს. ჩვენი მიზანი მშრომელ მასის საგაზეთო მუშაობაში მასიურად ჩაბმის შესახებ, სწორედ მაშინ იქნება საბოლოოდ და სრულიად მიღწეული, როდესაც ყოველი მუშის და გლეხის შინაარსიანი და ვარგისი წერილები დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავის დროზე და დაუგვიანებლათ.

### რაზე სწერდენ ჩვენი კორესპონდენტები

ამ ერთი წლის განმავლობაში (1925—5 მაისიდან—1926 წლის 5 მაისამდე) ჩვენმა გლეხკორებმა ჩაატარეს რამოდენიმე კამპანია. მათ შორის დიდი ყურადღების ღირსია საბჭოთა არჩევნების კამპანია.

ამავე ხნის განმავლობაში პროფკორებმა ჩაატარეს ცენტრალურ და ადგილობრივი პროფორგანოთა კონფერენციების, ყრილობების, გადარჩევის და პროფუჯრედების რეორგანიზაცია - გადარჩევის და კოლხელშეკრულების კამპანიები.

მუშკორებმა ამ ხნის განმავლობაში ჩაატარეს შრომის ნაყოფიერების, დისციპლინის, ოქტომბრის და თებერვლის რევოლიუციის წლისთავის, ქალთა საერთაშორისო დღის (8 მარტის), რუსეთის რევოლიუციის ოცი წლის იუბილესი და სხ. კამპანიები.

ჩვენმა მუშკორებმა აგრეთვე მიიღეს მხურვალე მონაწილეობა იმ დისკუსიაში, რომელიც რამოდენიმე კვირის წინედ გაიმართა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ქორწინების ახალი კანონპროექტის გარშემო.

ჩვენი მუშა-გლეხკორები თავის წერილებში უმთავრესად ეხებიან ქალაქის, მუშის და სოფლის, გლეხის ჭირვარამს და იმ არა ნორმალურ მოვლენებს: ბიუროკრატიზმს, ბოროტმოქმედებებს, რომელსაც ქმნიან საბჭოთა ხელისუფლების შეგნებული თუ შეუგნებელი მტრები ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში. ბოროტმოქმედების უყაირათობის შესახებ, ჩვენ მუშა-გლეხკორებს არა ერთი და ორი მამხილებელი მასალა მიუწოდებია გაზეთისათვის, რასაც საბჭოთა, პარტიული და პროფესიული ხაზით მოჰყოლია კვლევა-ძიება, ბოროტმომქმედნი მიუციათ პასუხისგებაში და დაუსჯიათ. (გვაქვს ამის ოცი შემთხვევა).

აქ ჩვენ უნდა ავღნიშნოთ ერთი არასასურველი მოვლენა, რომელსაც არ უნდა ექნეს ადგილი. ჩვენი სასამართლოების მუშაკების პრაქტიკაში არის ასეთი მაგალითები: ხშრად მუშკორის (ბრალმდებელის) წერილს უყურადღებოთ სტოვებენ, ან მათ დაუკითხავათ ახდენენ კვლევა-ძიებას და ვითომდა „ბოროტმოქმედების ნიშნების უქონლობის გამო" სპობენ საქმეს. გამოძიების წარმოების ასეთი წესი, ჩვენის აზრით, ყოვლად დაუშვებულია. ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი მუშკორ - გლეხკორებიც ვარდებიან უკიდურესობაში, და შეცდომებს უშვებენ, მაგრამ ეს ხდება ზოგიერთ შემთხვევაში.

ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენათ შეეფერებიან ჩვენი მუშების წერილები სინამდვილეს, ჩვენი გაზეთი კვირაში ერთხელ აქვეყნებს 5—6 ამა თუ იმ საგამომძიებლო და ადმინისტრატიული ორგანოს მიერ გამოგზავნილ საპასუხო წერილებს.

მომავალში მუშკორების და გლეხკორების წერილებზე საგამომძიებლო და ადმინისტრატიული ორგანოების მიერ გაცემული პასუხის რაოდენობა ბევრჯერ გადიდდება, თუ კი საკონტროლო კომისიის, მუშგლეხინის ლოზუნგი—„**მუშკორის და გლეხკორის არც ერთი წერილი არ უნდა დარჩეს პასუხის გაუცემლად**" გატარდება ცხოვრებში მთელი 100 პროცენტით. ამის უტყუარი ნიშნები კი ჩვენ უკვე გვაქვს, ვინაიდან ჩვენი საკონტროლო ორგანოები თავიანთ მუშაობას პირდაპირ უკავშირებენ მუშკორთა წერილებს, იახლოვებენ მუშკორთა და გლეხკორთა ორგანიზაციებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში რედაქციისათვის მიუმართავს რჩევა-დარიგებისათვის ოთხ ათასს ხუთმეტ (4.015) მუშას და გლეხს. მათგან ადგილის უქონლობის გამო მხოლოდ 50 პროცენტს გასცა გაზეთმა პასუხი და მისცა კიდეც საჭირო რჩევა-დარიგება.

### რედაქციის მუშაობა თვით მუშკორებში

რედაქცია შეძლებისდაგვარათ აწარმოებდა მუშკორებში კულტმუშაობას. თითქმის ყოველ ოთხშაბათობით იმართებოდა და ეხლაც იმართება ჩვენი მუშკორთა საერთო კრებები, სადაც იკითხება ლექციები. და ეწყობა საუბრები სხვადასხვა თემებზე; საანგარიშო წლის განმავლობაში მოეწყო მუშკორების სამეცნიერო ხასიათის ოთხი ექსკურსია. მომავალში ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება.

გ. მ.

---

# სად უნდა აშენდეს ქაღალდის პირველი ქარხანა

ქაღალდის პირველი ქარხნის ადგილის არჩევა უდიდესი მნიშვნელობის საკითხია.

რასაკვირველია, **უპირველესად ყოვლისა ქარხანა უნდა აშენდეს იმნაირ ალაგას, სადაც ზედმეტი ხარჯები ფაბრიკატს თავიდან ასცდება, ქაღალდი იაფი დაჯდება.**

ამნაირი ადგილები, საბედნიეროდ, საქართველოში რამოდენიმე აღმოჩნდა.

და, სწორედ, ეხლაა საჭირო საკითხისადმი ფრთხილი და ფაქიზი მიდგომა.

ადგილი უნდა იქნეს არჩეული ობიქტიურად.

არ უნდა განმეორდეს ძველი „ისტორია", როდესაც მემამულენი ახერხებდენ ხოლმე რკინის-გზის ლიანდაგის ყოველნაირად დაგრეხას, მხოლოდ იმისა გამო, რომ გზას გაევლო მათ მამულზედ და ამით, ერთის მხრივ, ფასში აეწია საკუთარი მიწა და, მეორეს მხრივ, მიეღო „ოტჩუჟდენიის" ფული. სოფლის ინტერესით თავს არ იცხელებდენ.

ამნაირი ამბავი დღეს, ცხადია, არ განმეორდება.

თუ რამდენიმე ალაგი მეცნიერულად და პრაქტიკულად ერთნაირად მისაღებია ქარხნისათვის, იმ შემთხვევაში დღეს ანგარიში უნდა გაეწიოს ადგილობრივ მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობას და ქარხანა გაიხსნეს იქ, სადაც ხალხი უფრო გაჭირვებულია, უმუშევარი და უმიწაწყლო.

ძველად ამნაირი საკითხები „წვრილმან" საკითხებათ იყო მიჩნეული, მაგრამ დრომ, საბედნიეროდ, წალეკა ეს „შეხუდულება".

არ შეიძლება ამას ანგარიში არ გაეწიოს.

ჯერჯერობით სამი პუნქტია დასახელებული: ფოთი და სამტრედია (დასავლეთი საქართველო) და ბზიბი (აფხაზეთი).

დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი გაცილებით ღარიბია, ვიდრე აფხაზეთისა ან და საქართველოს სხვა რომელიმე კუთხის.

მის უმწეო მდგომარეობას 1924 წ. ოქტომბრის 19-ის ნომერში გაზეთი „კომუნისტი"-ს მოწინავე ამნაირად ახასიათებს:

„თუ სურამის უღელტეხილის აქეთა მხარეს ჩვენ გვაქვს ნოყიერი ველები, თუ ქართლელები და კახელები ამაყობენ თავის ხორბალით, ღვინით და ჯოგებით, სურამის ქედის იქითა მხარის მცხოვრებს არაფერი არა აქვს საამაყო, გარდა ღომისა და მჭადისა, საუბედუროთ, ესეც არა აქვთ მათ საკმარისი. **სიმშილით რომ არ მოკვდენ, ისინი იძულებულნი არიან სხვაგან ეძიონ სამუშაო და სიმწრით ნაშოვნ გროშებით გამოკვებონ თავიანთი ოჯახი და ჩააცვან მას**". (კურსივი ჩემია. ს. ა.).

„მას (დასავლეთ საქართველოს მცხორებს) სიმინდი არ ყოფნის; სხვა შემოსავალი კი არა აქვს. ეს არ უნდა გაუშვან მხედველობიდან.

„ეკონომიკა ყველაფერია. ჩვენ ეს ვიცით. **აბსოლიუტურათ აუცილებელია მივსცეთ ამ მოსახლეობას სამუშევარი**". (კურსივი ჩემია. ს. ა.).

საჭიროა ეს დაპირება გატარდეს ცხოვრებაში. გარდა ამისა საგანგებოთ მოსკოვიდან ჩამოსული მეცნიერთა კომისია ამბობს:

„განზრახულ ქარხანას დასჭირდება 2.500.000 კუბიკური ფუტი მერქანი. ხოლო, რადგან არც ერთ მდინარეს არ შეუძლია ამ რაოდენობის მერქანი მიაწოდოს ქარხანას, ამიტომ ქარხანა [illegible] უნდა აშენდეს, სადაც შესაძლებელი იქნება ხე-ტყე სხვადასხვა რაიონებიდან მოდიოდეს. ბზიბის და კოდორის რაიონი ჯერჯერობით მეორე რიგში უნდა დარჩეს, რადგან ის რკინის გზებს მოწყვეტილია. ქაღალდის წარმოებისათვის მერქანის ფართოდ მიწოდება მხოლოდ მდინარე რიონის ხეობის ქვემო რაიონს შეუძლია. ამას გარდა იქ თბილ ქვეყნების მცენარეულობისათვის ხელშემწყობი ჰავაა. ჰაერის უმაღლესი ტემპერატურა მისს უმაღლეს სინოტივესთან ერთად ჰქმნიან ხელსაყრელ პირობას მერქანის პლანტაციების მოსაწყობად და ხელოვნურად საგანგებო ჯიშის ვერხვის გასაშენებლად, რომელიც იქ 8—10 წლის განმავლობაში 5—6 გოჯის სისქეს აღწევს. ამისთანა ვერხვით საზრდოობს ქაღალდის წარმოება იტალიაში და რიონის ხეობაშიც სწორედ ამისთანა ხელშემწყობი პირობებია".

ასეთია ავტორიტეტული აზრი უმაღლესად კვალიფიციურ სპეციალისტებისა.

ყველა ნათქვამის შემდეგ ამ საკითხის გარშემო ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

სასწორი სამართლიანობისა დასავლეთ საქართველოსაკენ უნდა გადაიხაროს.

ქაღალდის პირველი ქარხანა იქ უნდა აშენდეს, რადგან ამისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებია და ამას გარდა, ჭეშმარიტად „აბსოლიუტურად აუცილებელია მიეცეს ამ მოსახლეობას სამუშევარი".*)

**ს. ახვლედიანი.**

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

*) მასალები უმთავრესად ამოკრეფილია პროფ. ნ. გეხტმანის შრომიდან: „საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი საწარმოო ძალები".

---

# დახეული გაზეთი

გაზაფხულის წყნარის დღეა.

ბაღის კუთხეში წიფლის კოტრზე ვზივარ და ვათვალიერებ ახლად მიღებულ გაზეთს.

ჩამოიარა ჩემმა მეზობელმა „პაპა ბერომ". გაზეთი დამინახა. შეჩერდა ჩემ წინ. დაეყრდნო თოხის ტარზე და მეუბნება:

— აბა, ერთი წამიკითხე შვილო, რა ხდება ქვეყნიერებაზე!

— კიდევ გეინტერესება ქვეყნის ამბავი, პაპა ბერო?

— მა, შვილო! სანამ პირში სული მიდგია, ქვეყნის ამბავიც მეინტერესება! მაგრამა ნასწავლ ხალხსა რომ არ გიყვართ ჩვენთანა ყველაფრის თქმაი!

— როგორ არ გვიყვარს პაპა! მარტო თქმა კი არა, დაწერაც გვიყვარს ხოლმე ხანდახან შენისთანა დარბაისელ მოხუცზე.

— ეჰ! ჩემისთანა უბირი ადამიანისთვინა ვინ მოაცლის შვილო გაზეთსა.

— აბა, დაჯექი პაპა და ყური დამიგდე!

მე მოვსძებნე ჩვენი თემის ერთი სახალხო კრების ანგარიში და ვკითხულობ ხმამაღლა. როცა მივადექი ერთ ადგილს, უფრო გარკვევით დავიწყე კითხვა:

„... აგერ კრების წინ მორიდებით წამოდგა ერთი დარბაისელი მოხუცი—„პაპა ბერო". იმისი დაკვირვებული, დინჯი და ცხოვრების სიბრძნით აღსავსე საუბარი ყველასა ხიბლავს. უსმენ და გიკვირს, თუ რაოდენი ბუნებრივი სიმდიდრით უნდა იყვეს ეს ადამიანი დაჯილდოებული, რომ უსწავლელმა და ფართე ცხოვრებას მოწყვეტილმა ასე დიდებულათ დაახასიათოს ჩვენი გლეხკაცის მდგომარეობა. პაპა ბერო—ეს ნამდვილი სიბრძნეა ჩვენი სოფლისა..."

პაპა ბერო შეირყა თოხზე.

— შენ შვილო მატყუებ! გაზეთში ეს როგორ ეწერება!

— მაგას როგორ დაგიჯერებ! მე რა გაზეთში ჩასაგდები ვარ შვილო!

— პაპა ბერო! გეფიცებით, რომ ისე სწერია სიტყვა-სიტყვით, როგორც ვკითხულობ.

მოხუცს ეჭვი სავსებით არ გაჰფანტვია, მაგრამ რაღაც ნათელი დაადგა სახეზე.

— მართლა ეგრე სწერია?

— მართლა, დამიჯერე პაპა!

— თუ არ მატყუებ, მაშ ეს გაზეთი მაჩუქე, შვილო!

— მიირთვი პაპა! შენი სანაცვლომც ყოფილიყოს.

მოხუცმა დიდის მოწიწებით დაკეცა გაზეთი და ნანი-ნანატრათ ჩაიდო უბეში.

— რახან მეც მეღირსა გაზეთში ჩავარდნა, მაშ ეხლა ქვეყნის ჩარხიც სულ სხვანაირათ შეტრიალდება!

კმაყოფილი ბერო წავიდა სახლისკენ და თითქმის ზურგიდანაც კი ვგრძნობ ნეტარების გამომსახველ მის ღიმილს.

* * *

საღამო ჟამზე ბეროს სახლიდან მესმის საყვედურიანი ლაპარაკი:

— შენ უღმერთო, შენ ურჯულო, სხვა აღარაფერი იყო, რომ უეჭველად ი გაზეთი არ დაგეხია? მოსწრებაზე ხო არა გქონდა საქმე მაგრამ ადამიანი რომ დანავსული იქნება დასაწყისიდან—ეს არის უბედურება!

მივედი ახლოს, რომ გავიგო—რაშია საქმე.

თურმე ბეროს ბებრუნუხას გაზეთი გაუხევია და თავის შვილის-შვილისთვის რაღაც სასუსნაო გაუტანებია სხვაგან.

დაღონებული ბერო ზის საძირკველზე და ჯავრისაგან ხმას აღარ იღებს.

ვუცქერი ამ სურათს და ვფიქრობ: განა გაზეთების ყოველდღიური მკითხველი ინტელიგენტი სავსებით წარმოიდგენს, თუ რა გულის ტკივილსა და სიყვარულს განიცდის ეს ანა-ბანას უცოდინარი მოხუცი ადამიანი — დახეული გაზეთის ერთი ფურცლისადმი?

მოკეთე.

---

# გეოლოგიური გამოკვლევები ა.-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეადგინა ამიერ-კავკასიაში გეოლოგიური გამოკვლევების წარმოების ხუთი წლიანი პერსპექტიული გეგმა. ეს გეგმა საფუძვლად დაედება ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეთა ეკონომიურ-მიზანშეწონილ ექსპლოატაციას; ამავე დროს გეგმა მიზნად ისახავს ამიერ-კავკასიის ტერიტორიის გეოლოგიური აღნაგობის შესწავლას და იმ მადნეულობის აღმოჩენას და შეფასებას, რომლებიც მრავლად გაფანტულია ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეებში.

გეგმაში შეტანილია ისეთი მადნეულობის გამოკვლევა, რომელთა ექსპლოატაცია ამ ჟამად არ ხდება, მაგრამ რომლებიც ყურადღების ღირსია მათი სამრეწველო მნიშვნელობის გამორკვევის თვალსაზრისით.

გეგმის მიხედვით გამოკვლეული იქნება ლითონების, თიხის, საამშენებლო მასალების, შავი-ქვის, ქვანახშირის, ქვა-მარილის, მიშიაკის, ხრომიტის, გლაუბერის მარილის, ალიუმინის და სხვა მადნეულის ადგილმდებარეობა.

მინერალური წყაროების და სამკურნალო ტალახების გამოკვლევა შეტანილია ამიერ-კავკასიის საკურორტო მშენებლობის ცალკე გეგმაში. ცალკე გამოყოფილია აგრეთვე ნავთის წყაროების გამოკვლევაც; მიზანშეწონილად არის ცნობილი ასეთი გამოკვლევების წარმოება დაევალოს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ნავთის საქმეს განაგებენ.

ცალკე რაიონებიდან გეგმა ითვალისწინებს შემდეგი მადნეულის გამოკვლევას; შესწავლილი და გამოკვლეული იქნება სპილენძის მადანი კახეთის, ქედაბეკის და მეგრის რაიონებში, ქვა-ნახშირის ტყიბულის რაიონში, რკინის მადანი ჩათახის და დაშკესანის რაიონებში, შავი-ქვის მადანი აჯამეთ-ჩხარის და უზუნტალის რაიონებში, ქვა-მარილის მადანი ბეიუკ-ვედინის და ილანდაგის რაიონებში, ტყვიის და ცინკის მადანი მუხაკენის, ჩათახის და ახალ-გორელოვის რაიონებში, ინულეზორიტი ერევნის და რიონის რაიონებში და გოგირდის მადანი სეიდ-კატანლურის და ზილენაგის რაიონებში.

ეს ბუნებრივი სიმდიდრე აქამდე შესწავლილი არ ყოფილა, რამოდენიმე რაიონის გამოკლებით. ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმა არის პირველი სერიოზული ცდა, რომ ამიერ-კავკასიის სამთომადნო სიმდიდრეთა გამოკვლევას სისტემატიური ხასიათი მიეცეს.

გეგმაში გათვალისწინებული სამუშაოები გატარებული იქნება თანდათანობით. გეგმაში ცალკე გამოყოფილია მთელი რიგი სამუშაოები, რომლებიც შესრულებული უნდა იქნეს პირველ რიგში. გეგმის განხორციელება დაიწყება მიმდინარე წლიდან.

---

# მსოფლიო კომუნისტური პრესა

## (ბეჭდვითი სიტყვის დღის გამო)

კაპიტალისტურ მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების უდიდესი ნაწილი ბურჟუაზიის ხელშია. კომუნისტური პრესა საზღვარგარედ ჯერ საერთოდ ახალგაზრდაა, თუ არ ვიანგარიშებთ პოლონეთსა და ბულგარეთს, სადაც ბოლშევიკური ჯგუფები უკვე დიდი ხანია არსებობდენ და ბრძოლის ათეულ წლებს ითვლიან. ამ ქვეყნებში კომუნისტურ გაზეთებსაც საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ. ბულგარეთში, მაგალითად, „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ"-მა და ლატვიაში „ცინია"-მ უკვე გადაიხადეს არსებობის 20 წლის იუბილე.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური—ისევე, როგორც მუშათა პრესა, დევნას განიცდის. ზოგან ის არალეგალურად გამოდის. ხოლო იქაც კი, სადაც გაზეთების გამოცემა კანონით არის ნებადართული კომუნისტურ პრესაზე მაინც პოლიციის ზედამხედველობა არის დაწესებული. ასე, მაგალითად ინგლისში, სადაც თავისუფალია ყოველგვარი გაზეთების გამოცემა, გაზეთის შინაარსისათვის პასუხისმგებლობა სასამართლოსა და პოლიციის წინაშე დაკისრებული აქვს სტამბის პატრონს.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პრესა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში იდევნება და სასტიკ შევიწროვებას განიცდის, ის რაც უფრო გადის დრო ძლიერდება და უმჯობესდება. ინტერეს მოკლებული არ იქნება მკითხველისათვის კომუნისტური პრესის მდგომარეობის გაცნობა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ყველაზე უფრო ძლიერი კომუნისტური პრესა ევროპაში, საბჭოთა კავშირის შემდეგ, არის გერმანიაში.

### გერმანია

გერმანიის კომუნისტურ პარტიას აქვს 42 გაზეთი. პარტიის ცენტრალური ორგანოა „როტე-ფანე" („წითელი დროშა"), რომელიც ყოველდღიურად გამოდის ბერლინში. „როტე-ფანე" დაარსებულ იქნა ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მიერ 1918 წელში ნოემბრის რევოლიუციის შემდეგ. ეს იყო პირველი გაზეთი, რომელმაც სასტიკი ბრძოლა დაიწყო სოციალ-დემოკრატიის მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ. იმ თავითვე „როტე-ფანე" „სპარტაკის ორგანო" იყო. 1920 წლის სექტემბრის შემდეგ კი, როდესაც გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიის ყრილობის დიდი უმრავლესობა მესამე ინტერნაციონალს მიემხრო და სპარტაკელებთან ერთად გერმანიის კომუნისტური პარტია დაარსდა „როტე-ფანე" კომპარტიის ცენტრალურ ორგანოდ გადაიქცა. ამ ხნის შემდეგ „როტე-ფანე" დაუღალავად მიუწოდებს გერმანიის მუშათა კლასს კომუნიზმისათვის ბრძოლისაკენ, აღსანიშნავია ისიც, რომ მუდამ ნამდვილი ბოლშევიკური სულის და კომუნისტური ინტერნაციონალის ხაზის მატარებელი იყო და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა პარტიის სწორი ხაზის გამყალბებელთა წინააღმდეგ. (ლევის ჯგუფთან 1921 წ., ბრანდლერთან 1923 წ.).

რასაკვირველია, გერმანიის მთავრობა მუდამ სდევნიდა „როტე-ფანეს". უკანასკნელად მისი რედაქტორი პასუხისმგებლობაში მისცეს ებერტის ხსოვნის შეურაცყოფისათვის, რადგან გაზეთმა ებერტის ნეკროლოგში ღირსეულად შეაფასა ამ გვამის მოღალატური „მოღვაწეობა". „როტე-ფანე" პირველი გაზეთი იყო საზღვარ-გარეთ, რომლის გარშემო მუშა-კორესპონდენტთა მოძრაობა დაიწყო და ჩამოყალიბდა. გერმანიაში, როგორც ვსთქვით, კიდევ გამოდის კომუნისტური გაზეთები. განსაკუთრებით დიდია მათი რიცხვი მუშათა რაიონებში, რურის ოლქში, მაგალითად, 6 გაზეთი გამოდის, საქსონიაში—3 და ასე ყველა მსხვილ საწარმოო ცენტრებში. გაზეთის თითო ნომერი გერმანიაში 8-10 კაპიკი ღირს. კომპარტიას აქვს აგრეთვე ყოველდღიური თეორეტიული ჟურნალი „ინტერნაციონალი". იმ კომუნისტებისათვის, რომლებიც პროფკავშირებში მუშაობენ გამოდის სახელმძღვანელო ჟურნალი „კომუნისტური მუშაკი". ქალთა განყოფილებას აქვს თავისი ჟურნალი „კომუნისტი ქალი". თვეში ორხელ გამოდის აგრეთვე სატირიული ჟურნალიც „ბიჩ". (შოლტი).

გერმანიის კომკავშირს აქვს ორკვირეული ორგანო— „ახალგაზრდა გვარდია", რომელიც 22.000 ეკზემპლიარად ვრცელდება. კომკავშირს აქვს აგრეთვე საკუთარი თეორეტიული ჟურნალი „შრომა".

### ჩეხო-სლოვაკია

კომუნისტური ინტერნაციონალის ერთერთ უძლიერეს სექციას—ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიას აქვს ძლიერი პრესა. გაზეთები გამოდიან ყველა ენებზე, რომელზედაც კი ლაპარაკობს ამ მრავალ ტომიან რესპუბლიკის მოსახლეობა: ჩეხურზე, სლავაკურზე, პოლონურზე, გერმანულზე და სხ.. პარტიის ცენტრალური ორგანოა „რუდე პრავო",რომელიც გამოდის ორჯერ დღეში 30,000 ეკზემპლიარი თითოჯერ.

### საფრანგეთი

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას აქვს ხუთი ყოველდღიური ორგანო „ჰიუმანიტე" („კაცობრიობა") გამოდის პარიზში. „ჰიუმანიტე" (გამოდის ნიმში) „ლია დეპეშ დე ლომ" („ობის უწყება") ტირაჟი 10.000. ობა—დეპარტამენტის სახელწოდებაა (ჰიუმანიტე) გამოდის სტრასბურგში. ტირაჟი 8.000 „ფოლკსტრიბუნე" („სახალხო ტრიბუნა, გამოდის მეცში (ელზას ლორენში), გერმანულ ენაზე ტირაჟი 5.000) გარდა ამისა, გამოდის 23 ყოველდღიური გაზეთი.

პარტიის ცენტრალური ორგანო „ჰუმანიტე" დაარსებულია 1903 წელს ცნობილ სოციალისტის ჟორესის მიერ. კომუნისტების ხელში გადავიდა სოციალისტურ. პარტიაში 1920 წლ. ტურის კონგრესზე მომხდარ განხეთქილების შემდეგ. ამის შემდეგ გაზეთი მუდმივად კომინტერნის მხარეზეა მიუხედავად იმისა, რომ კომპარტიას ჩამოცილებული ჯგუფები (მაგ. ფროსარი) სცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. რედაქტორია ამხ. მარსელ კაშენი. გაზეთის ტირაჟი უდრის 170-200 ათას ეკზემპლიარს. ღირს სამი კაპ. ოქროთი.

კომუნისტურ პრესასთან ახლოს სდგას რევოლიუციონურ სინდიკალისტების ყოველდღიური ორგანო „ლია ვი უვრიერ"—(„მუშათა ცხოვრება"), რომელიც გამოდის პარიზში. დაარსებულ იქნა ეს გაზეთი 1918 წელს მონატოსს მიერ. ამ ჟამად მისი რედაქტორია მონმუსო. გამოდის კომკავშირის ყოველკვირეული ორგანო. ასეთივე ორგანო აქვს ქალთა განყოფილებასაც. გლეხთათვის გამოდის „ლა ვუა პეიზან" („გლეხის ხმა"). პარტიას აქვს თეორეტიული ორკვირეული ჟურნალი და გაზეთები საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელ მუშებისათვის: იტალიურ, გერმანულ და პოლონურ ენებზე. არა ლეგალურად გამოდის გაზეთი ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისათვის. ჟურნალი „კლარტე", რომელიც 1921 წლიდან გამოდის ცნობილ მწერალის ანრი ბარბიუსის რედაქტორობით, უნდა მივაკუთვნოთ კომუნისტურ პრესას. რადგან ანრი ბარბიუსი ამ რამოდენიმე ხნის უკან კომუნისტურ პარტიის წევრი გახდა.

### ნორვეგია

ნორვეგიის კომპარტიას აქვს 12 ორგანო. მათ შორის: 3 ყოველდღიურია. ცენტრალური ორგანოა „კომუნისტბლადეტ" („კომუნისტური ფურცელი"), რომელიც გამოდის ნორვეგიის დედა-ქალაქ ოსლოში (ყოფილი ქრისტიანია) გაზეთის ტირაჟი ამჟამად უდრის 12 ათას ეკზემპლიარს.

### შვეცია

შვეციის კომუნისტურ პარტიას, მას შემდეგ, რაც მას ხეგლუნდის ჯგუფი ჩამოსცილდა, რომელმაც ერთი გაზეთი ჩაიგდო ხელში, 6 პერიოდული გამოცემა აქვს: მათ შორის 2 ყოველდღიური გაზეთია. პარტიის ცენტრალური ორგანოა „ფოლკე დაგბლად პოლიტიკენ" (სახალხო პოლიტიკური ფურცელი") გამოდის შვეციის სატახტო ქალაქში. აქვს 16 ათასი ტირაჟი. მეორე ყოველდღიური გაზ.—„ნორსკენფლამგენ" („ჩრდილოეთის ალი") გამოდის ლიულეოში. მისი ტირაჟი 8.000-მდე ადის. შვეციის კომკავშირს აქვს ყოველკვირეული გაზეთი „სტორმკლოკენ" („საყვირი") მისი ტირაჟი უდრის 15 ათასს. ქალთათვის გამოდის თვეში ორჯერ „როტა პოსტენ" („წითელი ფოსტა").

### ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები

შეერთებულ შტატების კომუნისტურ პრესის ტირაჟი 1925 წლის დასაწყისისათვის დაახლოვებით 150 ათას ეკზემპლიარს უდრიდა. გაზეთები მრავალ ენებზე გამოდიან, უმთავრესად იმ მუშებისათვის, რომლებიც ევროპიდან არიან ჩამოსულნი. კომპარტიის მთავარი ორგანო „დეილი ვორკერ" ყოველდღიურია და გამოდის ინგლისურ ენაზე ჩიკაგოში. ტირაჟი 16-დან 18 ათასამდე ადის. ამჟამად გაზეთი აწარმოებს აგიტაციას მუშკორების ორგანიზაციის დასაარსებლად. „დეილი ვორკერი"-ს გარდა გამოდის ყოველდღიური გაზეთი „ფრაიჰაიტი"—(„თავისუფლება") ებრაულ ენაზე და „ნიუიორკ ფოლკსცეიტუნგ") „ნიუიორკის სახალხო გაზეთი") ორივე გაზეთის ტირაჟი 41 ათას უდრის. თითო გაზეთი გამოდის რუსულ, უკრაინულ, იტალიურ, უნგრულ, ლიტვურ და ჩეხურ ენებზე. ამერიკის კავშირი უშვებს „ინგ-ვორკერ"-ს („ახალგაზრდა მუშა"), რომელიც ივნისამდე თვეში ორჯერ გამოდიოდა, ხოლო ამჟამად ყოველკვირეულია. მისი ტირაჟი უდრის 10 ათას ეკზემპლიარს. გაზეთი საკმაო გავლენით სარგებლობს. ამერიკის მუშურ ახალგაზრდობაში.

### ინგლისი

ინგლისის კომპარტიის ოფიციალური ორგანოა „ვორკერს-უიკლი" „მუშათა ყოველკვირეული ორგანო") გამოდის 1922 წლიდან. ტირაჟი ამჟამად 60 ათას ეკზემპლიარს უდრის. კომუნისტების ხელშია აგრეთვე პროფკავშირთა უმცირესობის (პროფინტერნში შედის) ორგანო „ვორკერ". („მუშა"), რომელიც დაარსებულია 1916 წელს. ჟურნალი გამოდის ქალაქ გლაზგოში და ვრცელდება 20 ათასი ეკზემპლიარი. რედაქტორია ცნობილი კომუნისტი ფერგიუსონი. გარდა ამისა, კომპარტია ლონდონში უშვებს ყოველთვიურ თეორეტიულ ჟურნალს „კომუნისტ რევიუ." („კომუნისტური მიმოხილვა"), რომელსაც 6 ათასი ტირაჟი აქვს. პროფკავშირთა უმცირესობასაც აქვს ლონდონში ყოველდღიური ორგანო. ინგლისის კომკავშირი [illegible] თვეში ორჯერ უშვებს გაზეთ „იონგ ვორკერს". („ახალგაზრდა მუშა") გამოდის აგრეთვე პიონერთა ჟურნალი. პროვინციაში არის სამი კომუნისტური ჟურნალი. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ინგლისის კომუნისტური ჟურნალ-გაზეთების სია არ იქნება სრული, რომ არ მოვიხსენიოთ გაზეთი „სონდეი ვორკერ", რომელიც კვირაობით გამოდის და რომლის რედაქციაში კომუნისტებიც შედიან. გაზეთის ტირაჟი აღწევს 250.000 ეკზემპლიარს. ირლანდიის დედა-ქალაქ—დუბლინში გამოდის კომუნისტური გაზეთი „აირიშ ვორკერ" („ირლანდიელი მუშა"), რომელიც 20.000 ვრცელდება.

### იტალია

იტალიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარ განხეთქილებისა და იტალიის კომპარტიის დაარსების შემდეგ, 1921 წლის იანვარში მის ხელში გადავიდა ორი მსხვილი ორგანო: ყოველდღიური „ორდინე ნუოვო" („ახალი წესი"), რომელიც ტიურინში გამოდის და „კომუნისტა" („კომუნისტი"), რომელიც გამოდის ტურინში კვირაში ორჯერ. გარდა ამისა, პროვინციაში პარტიის ხელში გადავიდა ოცამდე გაზეთი.

სოც.-დემოკრატების ყოველდღიური ორგანო „ლავარატორე" („მშრომელი"), რომელიც ტრესტში გამოდიოდა (მსხვილი ნავთსადგური ადრიატიკის ზღვაზე. ომამდე ავსტრო-უნგრეთს ეკუთვნოდა) კომუნისტების ხელში გადავიდა, მაგრამ ფაშისტების მიერ დახურულ იქნა, ხოლო მისი სტამბა დასწვეს. მიუხედავად ამისა, „ლავარატორე"-მ ჩქარა კვლავ იწყო გამოსვლა. 1921 წლის უკანასკნელ თვეებში დაარსდა იტალიის კომკავშირის ორგანო „ავანგარდია" ფაშისტების მიერ 1922 წლის ნოემბერში ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ დიდი ზიანი მიაყენა კომპარტიის პრესას. 1923 წლის მეორე ნახევარში იტალიის კომპარტიის მთელი პრესა კონფისკაციებით, დაპატიმრებით და ფაშისტური ბანდების მიერ დარბევით განადგურებულ იქნა. დარჩა მხოლოდ ერთად ერთი პროფკავშირთა ჟურნალი, რომელიც კომპარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

1924 წლის დასაწყისში კომპარტიამ ისევ შესძლო პრესის ფეხზე წამოყენება და, ერთის მხრივ საფუძველი ჩაუყარა არა ლეგალურ გაზეთებს, ხოლო მეორე მხრივ კვლავ აღადგინა ლეგალური გამოცემები. პირველად მილანში გამოვიდა ორკვირეული ორგანო „სტატო ოპერიო" („მუშათა სახელმწიფო"), ხოლო 1924 წლის თებერვალში იმავე ქალაქში კომპარტიის ყოველდღიური ორგანო „უნიტა" დაარსდა.

ამ გაზეთის ტირაჟი სწრაფად გაიზარდა 16-დან 20 ათასამდე ხოლო დრო გამოშვებით, მაგ. მატეოტის მკვლელობის დროს 60 ათას ეკზემპლიარამდე აღწევდა. პარტიის თეორეტიულ ორგანოებად ითვლებიან „სტატო ოპერაიო, „ორდინე ნუოვო", პროვინციაში გამოდის რამოდენიმე ყოველკვირეული გაზეთი. გამოდის საგანგებო ჟურნალი გლეხთათვის და ცალკე ორგანო ქალთათვის. კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთების საერთო ტირაჟი იტალიაში აღწევს 100 ათას ეკზემპლიარამდე. საკმაოდ ძლიერია აქ აგრეთვე მუშკორთა მოძრაობაც.

### ჩინეთი

ლეგალურ კომუნისტური პრესა ჩინეთში არ არსებობს. ჩინეთის კომპარტიის პრესა უშვებს დროგამოშვებით არალეგალურ პარტიულ უწყებებს. მიუხედავად ამისა ჩინეთში გამოდის მთელი რიგი მუშათა ჟურნალები, რომელნიც კომინტერნის თანაუგრძნობენ და ნაწილობრივ კომუნისტების ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან.

### იაპონია

იაპონიაში გამოდიოდა ერთად ერთი კომუნისტური ლეგალური ორგანო „წითელი დროშა", გარდა ამისა ერთ დროს იაპონიის პროფკავშირთა მემარცხენე ფრთის ორგანოც არსებობდა. ამჟამად ლეგალური კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვა არ არსებობს.

### ოსმალეთი

ოსმალეთში კომუნიზმთან ახლო მდგომი პირველი ორგანო იყო „კურტულუშ" (განთავისუფლება"), რომელიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა სტამბოლში. ის დაარსებული იყო ოსმალ ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის მიერ რომელიც ომის დროს გერმანიაში მოხვდა. იქ მონაწილეობას ღებულობდა სპარტაკელთა აჯანყებაში და შემდეგ ოსმალეთში დაბრუნდა. ჟურნალი გაცხოველებულ რევოლიუციონურ ინტერნაციონალურ პროპაგანდას აწარმოებდა და ამის გამო მე-12 ნომრის გამოსვლის შემდეგ დახურულ იქნა ინგლისელების მიერ, რომლებიც მაშინ სტამბოლში ბატონობდენ. 1920 წელში სტამბოლში იწყო გამოსვლა მეორე ყოველკვირეულმა ორგანომ „აიდ-ლიკ" („სინათლე"), რომელსაც მტკიცე კომუნისტური პროგრამა ჰქონდა. 1925 წელს ეს გაზეთი ქემალის მომხრეებმა დახურეს სხვა ოპოზიციონურ გაზეთებთან ერთად. ანგორაში 1922—23 წელში გამოდიოდა ოსმალეთის კომპარტიის ოფიციალური ორგანო „ახალი ცხოვრება", ქემალის მთავრობამ ისიც დახურა.

### სამხრეთ-სლავია

სანამ კომუნისტური პარტია სამხრეთ-სლავიაში დარბეული იქნებოდა და არალეგალურ პირობებში გადავიდოდა მას 12 ორგანო ჰქონდა; მათ შორის ორი ყოველდღიური გაზეთი. შემდეგ კი ლეგალური კომუნისტური პრესა აღარ არსებობს. არალეგალურად გამოდის ჟურნალი „კომუნისტი".

### ავსტრია

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოა „როტე ფანე" („წითელი დროშა"), რომელიც ყოველდღიურად გამოდის ვენაში. გაზეთი ვრცელდება 15 ათასი ეკზემპლიარი. ავსტრიის კომკავშირი უშვებს გაზეთს „პროლეტარიშე იუგენდ" („პროლეტარული ახალგაზრდობა") კომპარტიის ჩეხური სექცია უშვებს ყოველკვირეულ ჟურნალს. პროფკავშირთა რევოლიუციონური უმცირესობა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპარტია სცემს ჟურნალს „დერ როტე გევერშაფტერ" („წითელი პროფესიონალისტი") ტირაჟი 8 ათასი.

### უნგრეთი

უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ ლეგალური კომუნისტური პრესა არ არსებობს. 1922 წელში იყო ყოველდღიური გაზეთის გამოშვების ცდა მაგრამ 29 ნომრის გამოშვების შემდეგ ის დახურეს. რედაქტორები პასუხისგებაში მისცეს და 10—15 წლის კატორღა მიუსაჯეს.

### რუმინია

რუმინიის კომპარტია თითქმის დაარსების დღიდანვე არალეგალურად მუშაობს. მას ეპიზოდიურად ჰქონდა ლეგალური ორგანოები, მაგრამ დიდხანს არცერთს არ უარსებია.

### ბელგია

ბელგიის ახალგაზრდა კომპარტია 1924 წლის პირველ იანვრიდან უშვებს ყოველდღიურ გაზეთს „დრაპო რუჟ"-ს („წითელი დროშა").

### პოლონეთი

ლეგალური კომუნისტური პრესა არსებობდა პოლონეთში 1918 წლის მიწურულში და 1919 წელსაც მცირე ხნის განმავლობაში. შემდეგ ის აკრძალეს და არა ლეგალურ პირობებში გადაისროლეს. პოლონეთში იდევნება არა მარტო კომუნისტური პრესა, არამედ ყოველგვარი რევოლიუციონური მიმართულების ბეჭდვითი სიტყვა. ლვოვში 1 ნახევარი წელია გამოდის „ქალაქისა და სოფლის პროლეტართა კავშირის" კომუნისტური ორგანო: „მუშათა ტრიბუნა". ეს გაზეთი მხოლოდ ორჯერ გადაურჩა კონფისკაციას. ძალიან ხშირად გაზეთი ერთ ნახევარი დაუბეჭდავი გამოდის, ზედ აწერია მხოლოდ რომ მასალები მთავრობის მიერ არ არის გაშვებული. პოლონეთში ორმაგი და სამმაგი პრესა არსებობს.. იყო შემთხვევები, როდესაც ცენზურამ ერთხელ გატარებული და დაბეჭდილი „მუშათა ტრიბუნა" ვარშავის პოლიციამ აკრძალა. პოლონეთის მთავრობა ლეგალურ რევოლიუციონურ ორგანოების რედაქტორებსაც სდევნის. მათ ხშირად სჯიან 5 და 10 წლის კატორღით. სდევნიან აგრეთვე ხელის მომწერლებსაც. დამოუკიდებელ პოლონეთის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მთავრობამ საერთოდ 80 ორგანო დახურა. ეს ცნობები შეეხება მხოლოდ მუშათა ბეჭდვითი სიტყვას და არ იძლევა წარმოდგენას იმ დევნაზე, რომელსაც ეროვნულ უმცირესობათა ჟურნალ-გაზეთები განიცდიან იქ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პრესა პოლონეთის მთავრობის მიერ სასტიკად იდევნება, კომპარტიის პრესის ხმა მაინც მედგარად გაისმის და მოუწოდებს მშრომელთ ბრძოლისაკენ.

### სხვა და სხვა ქვეყნებში

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისა კომუნისტური პრესა არსებობს: შვეიცარიაში, საბერძნეთში, მექსიკაში, კუბაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ურუგვაიში და სხვაგან.

ასეთია მსოფლიო კომუნისტური პრესის მდგომარეობა ამჟამად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში ის იდევნება, ზოგან კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს და სტამბებს არბევენ კიდეც, ხურავენ, რედაქტორებს სასტიკ პასუხისგებაში აძლევენ და კატორღებში გზავნიან—ის მაინც არ ჰკარგავს თავის დროშას, რომელზედაც სწერია:—„ბრძოლა კაცობრიობის განთავისუფლებისათვის კაპიტალიზმის უღლისაგან".

---

*) იხ. „მუშკორის ცნობარი" (მოსკოვი 1926 წ.) დ. იხოკის წერილი.

---

# უცხოეთში

## ინგლისის ზედმეტი მოსახლეობა.

ინგლისის მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ინგლისის იმპერიის შემადგენელ ნაწილებს შორის ზედმეტი მოსახლეობის განაწილების საკითხი. მართლაც, ინგლისის მოსახლეობა ძლიერ დიდია: ინგლისის კუნძულების შედარებით მცირე სივრცეზე შეუძლებელია 45.000.000 მცხოვრების გამოკვება.

იმავე დროს ინგლისის ახალშენები მოსახლეობის სიმცირეს განიცდიან და ყოველმხრივ უწყობენ ხელს „ძველი ქვეყნიდან" (ასე უწოდებენ ინგლისს ახალშენების მცხოვრებნი) ზედმეტი მოსახლეობის გადმოსახლებას.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში (1891-დან 1921 წლამდე) ინგლისის, უელსის და შოტლანდიის მოსახლეობა გაიზარდა 33 მილიონიდან 42,75 მილიონამდე, ე. ი. 9,75 მილიონით და რომ აურაცხელი ხალხი არ გადასახლებულიყო ინგლისიდან (ამას გარდა, ომის დროს მოჰკლეს 700.000 კაცი), მოსახლეობა 12 მილიონით გაიზრდებოდა.

ამავე დროს შესამჩნევად შემცირდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობა. მაგალითად, 1891 წ. სოფლის მეურნეობას და მეთევზეობას მისდევდა მოსახლეობის 4%, 1921 წლისათვის ეს პროცენტი 3,4-დე შემცირდა.

მეორე არსებითი ცვლილებას წარმოადგენს შეფარდება სქესთა შორის. ასე, მაგალითად, 1891 წ. ინგლისში, უელსში და შოტლანდიაში ქალი 1.036.976-ით მეტი იყო, ვიდრე მამაკაცი. 1921 წლისათვის ეს ციფრი, როგორც ომის, ისე ემიგრაციის ზეგავლენით 1.900.000-დე გაიზარდა.

ცვლილებები მოხდა აგრეთვე მოსახლეობის შემადგენლობაში ასაკის მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ შეფარდება დაბადებასა და სიკვდილიანობის შორის უცვლელი დარჩა, მოსახლეობის მოძრაობის სურათი არსებითად იცვლება: 1891 წ. დაბადებათა პროცენტი უდრიდა 3,15%, სიკვდილიანობა კი—2,02%, 1921 წ. კი დაბადებათა პროცენტი უდრიდა 1,97%, სიკვდილიანობა კი—1,16%. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ მოხუცებულობის ჰასაკში გადასულები, შრომის უნარდაკარგულები. მართლაც, იმ დროს, როცა 1911 წ. მოსახლეობის პროცენტი 15-დან 60 წლის ჰასაკამდე უდრიდა 66,4, 1921 წ. ეს პროცენტი 56-მდე შემცირდა.

ამრიგად, ინგლისის მოსახლეობის „ჭარბი" გაუარესდა და ამიტომ ახალშენებში ზომებს იღებენ ისეთი ელემენტების შესარჩევად, რომლებიც მძიმე შრომას შესძლებენ, ფიზიკურად ჯანსაღი არიან.

# ფაბკომების გადარჩევისათვის

### საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს და უჯრედებს, ცენტრალურ გამგეობათა, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების ფრაქციებს.

ძვირფასო ამხანაგებო! მაისის მეორე ნახევრიდან ივნისის დამლევამდე თბილისში მოხდება ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების მორიგი ხელახალი არჩევნები.

14 პარტყრილობამ აღნიშნა პროფკავშირების, როგორც მასიურ ორგანიზაციების უდიდესი როლი და მნიშვნელობა და პირველ რიგში პარტიის წინაშე დააყენა **პროფკავშირთა მუშაობის გამოცოცხლების ამოცანა.**

ყველა პროფკავშირთა ორგანოების არჩევითი სისტემა. არჩევის თანამდებობის პირთა მიერ ანგარიშების წარდგენა ამომრჩეველთა წინაშე, თვითეული მუშისათვის გასაგები ფორმით, მასების მხრივ ჯანსაღ საქმიანი კრიტიკისათვის ყურადღებისმიქცევა, კავშირთა უბრალო წევრების აქტივობის და თვითმოქმედების განვითარება, საკავშირო აპარატის დაახლოვება მასებთან აქტივის აღზრდა და სოფლიდან ჩამოსულ ახალგაზრდა მუშათა კადრების ხელახალი აღზრდა,—აი 14 პარტყრილობის მთავარი დირექტივები, რომელიც მიმართულია პროფკავშირთა მუშაობის გამოცოცხლებისა და პროფკავშირების ისეთ სკოლად გადაქცევისაკენ, რომელიც ზრდის სოციალიზმის მშენებლებს.

ჩვენი ორგანიზაციის ამოცანას შეადგენს შემოწმოს, რამდენად შესრულებულია ეს დირექტივები თვითეულ წარმოებისათვის კონკრეტიულ პირობების მიხედვით. ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების ხელახალ არჩევნების ჩატარების დროს ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული სოციალისტ. მშენებლობის სიძნელიდან გამომდინარე ამოცანები.

ჩვენი პარტიისათვის მომავალი ხელახალი არჩევნები წარმოადგენს მორიგ ამოცანას ჩვენი მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხების გარშემო მუშათა ფართო მასების დარაზმვის საქმეში.

მომჭირნეობის, შრომის ნაყოფიერების აწევას, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში მუშათა მასების აქტიური მონაწილეობის ლოზუნგებს უნდა ეჭიროს პირველი ადგილი ფაბ. ქარხ. და ადგილ. კომიტეტების ანგარიშების განხილვის დროს.

ჩვენ ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ თვითეული მუშა ჩაბმული იქნას ჩვენს სააღმშენებლო მუშაობაში და დახმარება გაუწიოს ჩვენს პარტიას და სახელმწიფოს მომჭირნობის რეჟიმის ლოზუნგის განხორციელებაში.

ამის გამო საწარმოვო თათბირების მუშაობას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

ჩვენ ამოცანას უნდა შეადგენდეს მშრომელთა მასების მონაწილეობა იმ პრაქტიკულ ზომების განხილვაში, რომელიც მიმართულია უყაირათობის სამუშაო დღეების გაცდენის, ხალხის საშუალებათა მფლანგველობის, წარმოების ნაკლულოვანებათა და ჩვენი დაწესებულებათა ბიუროკრატიზმის ლიკვიდაციისაკენ და ამავე დროს უნდა ვეცადოთ ზედნართ ხარჯების მაქსიმალურად შემცირებას.

ამასთან ერთად საჭიროა მივიღოთ მხედველობაში, რამდენად სწორად ასრულებდნენ თავის დანიშნულებას ფაბრ.-ქარხნ. და ადგილ. კომიტეტები, როგორც მშრომელთა ფართო მასების ხელმძღვანელები და აღმზრდელები.

იმისათვის, რომ მივიღოთ რაც შეიძლება კარგი შედეგები ფაბრ.-ქარხნ. და ადგილ. კომიტეტების ხელახალ არჩევნების დროს, საჭიროა სერიოზულად მოეპყრან მას ჩვენი ორგანიზაციები.

წარსულ ხელახალ არჩევნების პროცესში ადგილი ქონდა მთელ რიგ ნაკლულოვანებებს პარტხელმძღვანელობის საქმეში. ზოგიერთმა უჯრედებმა საკავშირო დემოკრატიის პრინციპი იმნაირად გაიგეს, რომ შეუძლებლად ჩასთვალეს ხელმძღვანელობა და თვითონ ჩამოშორდენ ამ ხელმძღვანელობას.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა უჯრედები ფარავდენ და ჩრდილავდენ თავიანთ ხელმძღვანელობას უპარტიოებისაგან როგორც ერთ,— ისე მეორე შემთხვევაში მიმდინარე ხელახალი არჩევნების დროს ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებ. უნდა გამოასწორონ თავიანთი ხაზი 14 პარტყრილობის ძირითად დირექტივების მიხედვით და უნდა ჩაატარონ ხელახალი არჩევნები ფართო საკავშირო დემოკრატიის და პარტხელმძღვანელობის გაძლიერების ლოზუნგით,

საკავშირო დემოკრატია სრულებითაც არ გულისხმობს პარტიულ ხელმძღვანელობის უარყოფას, არამედ პირიქით, მხოლოდ კარგად დაყენებულ პარტხელმძღვანელობით შესაძლებელია ამ დემოკრატიის სავსებით გატარება.

უჯრედებმა წინასწარ უნდა განიხილონ პრაქტიკული წინადადებანი ფაბრ. ქარხნ. და ადგილობრივ კომიტეტების მოხსენებების გამო, და აგრეთვე გამოიმუშავონ კანდიდატების სია. დაუშვებელია უჯრედის მიერ საერთო კრებისათვის კანდიდატურების თავზე მოხვევა უპარტიო მუშათა აქტივთან წინასწარ შეუთანხმებლად. კანდიდატების სიები უნდა შემუშავდეს მუშათა საერთო კრებებზე პერსონალური კენჭის ყრით.

ფაბრ. ქარხნ. და ადგილობრივ კომიტეტ. რწმუნების ვადის ერთ წლამდე გაგრძელება კიდევ მეტად გვავალებს შევარჩიოთ შრომის უნარიანი და ავტორიტეტული შემადგენლობა.

საჭიროა აგრეთვე ფაბრ.-ქარხნ. და ადგილობრივ კომიტეტის მუშაობაში სათანადო მონაწილეობა მიიღონ მუშა-ქალებმა და მუშა ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

უჯრედებისათვის აღნიშნულ დირექტივების განსამარტავათ თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს უჯრ. ბიუროებს და ფაბრ. ქარხ. და ადგილ. კომიტეტების ფრაქციების კონფერენციაზე დააყენონ საკითხი ხელახალი არჩევნების და პარტ ხელმძღვანელობის მეთოდების შესახებ.

თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს და კავშირთა ფრაქციებს თვალყური ადევნონ ხელახალ არჩევნების სწორ ჩატარებას და თბილისის კომიტეტის ძირითად დირექტივების შესრულებას.

სათანადო სიმაღლეზე უნდა იქნას დაყენებული საარჩევნო კრებებზე გამოსვლების და წინადადებათა აღრიცხვის საქმე.

ფაბრ.-ქრხნ. და ადგილობრივ კომიტეტების ხელახალი არჩევნები უნდა დამთავრდეს 1 ივლისისათვის, რათა 15 ივლისს ჯამი გაუკეთდეს ხელახალ არჩევნებს.

**საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი.**

**საქ. პროფკავშირთა საბჭოს ფრაქცია.**

# საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობა

## მეორე დღე

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობის მეორე სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კირშონმა.

### პროლეტარულ მწერალთა სრ. საკავშირო ასოციაციის შესახებ

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სრ. საკავშირო პროლეტარულ მწერლობის სამხატვრო პოლიტიკის ხაზი სავსებით განსაზღვრულია საკავშირო კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის რეზოლიუციით პროლეტარული ლიტერატურის საკითხების შესახებ. ზოგიერთი ამხანაგები სცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამ რეზოლიუციით უარყოფილია პროლეტარული მწერლობის სრ. საკავშირო ასოციაციის წინანდელი პოლიტიკა. მაგრამ ეს მოსაზრება მთლად სწორი არ არის. მართალია, ცეკამ ხაზი გაუსვა ზოგიერთ ჩვენს შეცდომებს წარსულში, მაგრამ ამავე დროს მოიწონა და დაადასტურა ასოციაციის მიერ წამოყენებული მთელი რიგი ძირითადი დებულებებისა. ასე მაგალითად ცეკას რეზოლიუცია აღნიშნავს, ისე როგორც ამას ყოველთვის ხაზს უსვამდა პროლეტ. მწერლ. საკავშირო ასოციაცია, რომ ლიტერატურა უეჭველად უნდა იყოს კლასიური. ამასთან ერთად რეზოლიუცია ადასტურებს ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან ბრძოლის აუცილებლობას. პროლეტარულ ლიტერატურის გეგემონიის საკითხის შესახებ რეზოლიუციაში ის აზრი არის გატარებული, რომ პარტიამ ხელი უნდა შეუწყოს პროლეტარულ მწერლობას, რათა მან ხელში იგდოს ეს ჰეგემონია. ეს არის ასოციაციის და ცეკას რეზოლიუციის—საერთო მოსაზრებები.

რა შეცდომები აღნიშნა (სავსებით სამართლიანად) ცეკას რეზოლიუციამ ასოციაციის მუშაობის შეფასების დროს? მან აღნიშნა, რომ ასოციაცია საკმარისად ვერ აფასებს ე. წ. „პოპუტჩიკების" როლს, რეზოლიუცია იწუნებდა აგრეთვე ზომაზე მეტად გატაცებას ორგანიზაციული ფორმებით, იწუნებდა კომუნისტურ მედიდურებას, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი ასოციაციაში. ჩვენ ვქმნიდით და ვამრავლებდით ორგანიზაციებს და ნაკლებათ მივსდევდით მხატვრულ შემოქმედებას.

რასაკვირველია, ორგანიზაციების შექმნა საჭიროა, მაგრამ მხოლოდ მისთვის, რომ ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ენერგიის გამოაშკარავებას. ამ ჟამად ყველა ეს შეცდომები გამოსწორებულია. ჩვენ ეხლა მივდივართ იმ გზით, რომელიც გაკვლეულია პარტიის მიერ.

მომავალი ჩვენი მუშაობის ამოცანებს წარმოადგენს „პოპუტჩიკების" შემოკრეფა ჩვენს გარშემო, ბრძოლა მემარჯვენე გადახრებთან, და ბრძოლა ლიტერატურული პროდუქციის გასაუმჯობესებლად.

დასასრულ ამხ. კირშონი შეეხო საქ. პროლეტარულ მწერლობას და აღნიშნა, რომ აქ პროლეტარულ მწერლობას მეტად გართულებულ პირობებში უხდება მუშაობა; მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს პროლეტარული მწერლობა შესძლებს მის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

## მესამე სხდომა

### პროლეტ. მწერლების თბილისის ასოციაციის მოქმედება

ცხარე კამათი გამოიწვია ამხ. **ნ. ზომლეთელის** მოხსენებამ პროლეტარულ მწერლებისთბილისის ასოციაციის მოქმედების შესახებ. ამხ. ზომლეთელმა მიმოხილვა გაუკეთეს საქ. პროლეტარულ მწერლობის განვითარებას, რომელმაც, მომხსენებლის აზრით, ოთხი საფეხური გაიარა. პირველი საფეხური იყო ის პერიოდი, როცა ჯგუფი პროლეტ. მწერლებისა შეუერთდა პროლეტკულტს და გამოსცა თავისი ჟურნალი „ქურა". მეორე საფეხური—იყო პროლეტ. მწერალთა კავშირის დაარსება. ამ პერიოდს მომხსენებელი სთვლის კრიზისის და ჯგუფების წარმოშობის პერიოდათ.

ამ კრიზისს ბოლო მოუღო ახალგაზრდა პროლეტ-მწერალთა ჯგუფმა „პროლემაფ"-მა და აქედან დაიწყო პროლეტ. მწერლობის განვითარების მესამე საფეხური.

ახალგაზრდობა დიდი გატაცებით შეუდგა მუშაობას, დაიწყო გაზეთისა და შემდეგ ჟურნალ „პროლემაფის" გამოცემა. მაგრამ იგი მაინც წარმოადგენდა ჯგუფს, რომელმაც დაარღვია კავშირის მთლიანობა. განვითარების უკანასკნელი მეოთხე საფეხური არის—პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მოწყობა, რის შემდეგაც მუშაობა შედარებით წესიერ კალაპოტში ჩადგა. მოგვარდა გამომცემლობის საქმეც. მაგრამ მთავარი დაბრკოლების გადალახვა,—სხვადასხვა ჯაჯგუფების მოსპობა ტფ. პროლეტ. მწერ. ასოციაციამ მაინც ვერ მოახერხა და ამ ჟამად ასოციაციაში არსებობს რამდენიმე მიმდინარეობა. („რამ"-ი, მუშა მწერლები და სხვა).

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ოპონენტები ხაზს უსვამდენ პროლეტ. მწერლობის დაქსაქსულობას, რომლის აღმოსაფხვრელად ორატორების თქმით, ასოციაციას არაფერი გაუკეთებია.

საერთოდ მომხსენებელს უსაყვედურებდენ, რომ იგი ნაკლებათ შეეხო ასოციაციის საქმიანობას და მთელი მოხსენება მოანდომა პროლეტ. მწერლობის ისტორიულ მიმოხილვასო.

### ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

საქ. კომპარტიის და საქ. ცაკის სახელით პროლეტარულ მწერალთა ყრილობას მიესალმა ამხ. ფ. მახარაძე, რომელიც შეეხო რა პროლეტარული ხელოვნების საკითხებს, ყრილობას გააცნო თავისი მოსაზრებები:

ბურჟუაზიამ თავისი ბატონობის დროს შექმნა მეცნიერება, ტეხნიკა, შექმნა თავისი ხელოვნება და მხატვრული ლიტერატურა. თავისი დიქტატურის დროს პროლეტარიატიც ქმნის თავის კულტურას, ანვითარებს მეცნიერებას, აუმჯობესებს ტეხნიკას და წინ სწევს ქვეყნის მეურნეობას. ამ დიდი აღმშენებლობითი მუშაობის დროს იგი საჭიროებს ბურჟუაზიული სპეცების—აგრონომების, ტეხნიკოსების, ინჟინრების და სხვათა დახმარებას. პროლეტ. მხატვრული მწერლობაც ეხლა დგება ფეხზე და იწყებს განვითარებას.

და როგორც კულტურის ყველა დარგებისათვის, ისე მისთვის საჭიროა მდიდარი წარსული მემკვიდრეობის გამოყენება. იმ მიზნით, რომ პროლეტარულმა ხელოვნებამ წინ გაუსწრას ბურჟუაზიულს, საჭიროა საფუძვლიანი გაცნობა ძველ მწერლობის საუკეთესო ნიმუშების; საჭიროა ყველა მისი ღირსებების შესწავლა. მწერლობის ღირსებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წერის ფორმას და ტეხნიკას, რომელიც უაღრესად განავითარა ბურჟუაზიულმა მწერლობამ და მით თავისი ნაწარმოები მიმზიდველი გახადა ფართე მკითხველთა მასსებისათვის. ამჟამადაც ბურჟუაზიულ მხატვრულ ნაწარმოებთ უფრო მეტი გასავალი აქვთ, ვიდრე თანამედროვე პროლეტარულ მწერლობის ნაწერებს, რომელიც შინაარსით ჩვენთვის სავსებით მისაღებია, მაგრამ ფორმის მხრივ ძალზე მოიკოჭლებენ.

უდავოა, პროლეტარულმა მწერლობამ მუშათა დიქტატურის დროს უნდა მოიპოვოს ჰეგემონია, მაგრამ იგი ამას ვერ შესძლებს, თუ არ აამაღლებს თავისი პროდუქციის ღირსებას, რაც შეუძლებელი საქმეა ფორმის და წერის ტეხნიკის გაუმჯობესების გარეშე. იდეოლოგიურად მისაღები პროლეტარული ნაწარმოები ვერ მიიზიდავს ფართო მკითხველ მასსას, თუ იგი კარგ ფორმებში არ იქნება მოცემული. მასის ასეთ განწყობილებას უნდა გაუწიოს ანგარიში იმ პროლეტარულმა მწერლობამ, რომელიც ხშირად უარყოფს ძველი მწერლობის და კლასიკების დიდ მხატვრულ ღირსებებს. ასეთი უარყოფა მავნებელია პროლეტარულ მწერლობისათვის.

ის, რაც აღელვებს და აინტერესებს მასას, უნდა გამოხატოს მშრომელი მასების წიაღიდან გამოსულმა მწერალმა იმ ფორმით და ტეხნიკით, რომელიც ხანგრძლივი მუშაობით შეუქმნია კლასიკურ მწერლობას.

მასალას შემოქმედებისათვის ჩვენი სინამდვილე უხვად იძლევა. ამავე დროს პირობებიც შემოქმედებისათვის უკეთესია, ვიდრე იყო. ამ დაგროვილ მასალის გაცნობა, შესწავლა და მხატვრულ ფორმებში დამუშავება—უნდა გაიხადოს ამოცანად პროლეტარულმა მწერლობამ.

დასასრულ ამხ. ფილიპე ყრილობას უსურვებს ერთსულოვან ნაყოფიერ მუშაობას და იმ იმედების გამართლებას, რომელსაც პროლეტარულ მწერლობაზე ამყარებს პარტია და ხელისუფლება.

# პროფკავშირებში

ცირკულიარულად.

**ყველა კავშირების ც. გ., პროფსაბჭოებს და სამპროფბიუროებს**

ს. პ. კ. საბჭომ ცირკულიარული წერილი დაგიგზავნათ პროფკავშირთა სრ. საქართველოს მე-5 ყრილობისა და პროფკავშირთა ა/კ. მე-3 ყრილობაზე კამპანიების ჩატარების შესახებ.

პროფსაბჭოში შემოსულ ოქმებიდან და მიმოწერებიდან არ სჩანს, თუ როგორ ატარებთ კამპანიებს ზემოაღნიშნულ ყრილობებზე. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილება გავალებთ სისწორით გაატაროთ ს. პ. კ. ს. ცირკულიარი № 3 ა/წ. 13 აპრილის თარიღით.

გაცნობებთ, თუ როგორ მიმდინარეობს კამპანიები და აქტიურ მონაწილეობას იღებენ თუ არა მუშა-მოსამსახურენი (ესწრებიან საერთო კრებებს, მონაწილეობას იღებენ კამათში და სხვა).

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყ. გამგე: **ალ. ფანცხავა.**

საორგანიზაციო განყ. მდივანი: **ლვენეფაძე.**

### სამტრედიის აბრეშუმის სართავ ქარხანაში

**(ქარხკომის ამხ. ტაბიძის მოხსენებიდან)**

სამტრედიის აბრეშუმის სართავ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ქარხკომი ამჟამად აერთიანებს — 127 კაცს. ქარხკომის სხდომა შესდგა 11-ჯერ, საერთო კრება კი — 10-ჯერ ქარხკომთან არსებობს პროფმოძრაობის და პოლიტცოდნის კურსები.

ჩატარდა სამი თათბირი შრომის დაცვის დარგში და ერთი საწარმოო თათბირი.

სწარმოებს სათანადო მუშაობა კულტურულ დარგში; შესდგა კულტ-კომისიის 5 სხდომა; წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. მოწყობილია ბიბლიოთეკა - სამკითხველო.

პროფწრეში მეცადინეობს სისტემატიურად—20 კაცი. საკავშირთაშორისო კლუბის მუშაობაში ჩაბმულია კავშირის წევრთა 73 პროცენტი.

მუშა-ახალგაზრდობა ჩაბმულია ქარხკომის ყველა კომისიის მუშაობაში.

საურთიერთო დამხმარე სალაროს მუშაობა უკანასკნელ ბიუროს გადარჩევის შემდეგ მოწესრიგდა.

სალაროს წევრებათ ირიცხება—107 კაცი; წაღებული თანხები სალაროში თავის დროზე ბრუნდება.

ამხ. ტაბიძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ კავშირის ც. გ. პლენუმის მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც სამტრედიის აბრეშუმის სართავ ქარხნის ფაბკომის მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. პლენუმი საჭიროდ სცნობს მომავალში შემდეგ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას: 1) მოწესრიგდეს ქარკომის ფინანსიური მუშაობა თანხების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით და ასეთი დროულად იქნეს შედგენილი, 2) გაძლიერდეს მუშაობა შრომის დაცვის დარგში; 3) გაცხოველდეს საწარმოო თათბირის მუშაობა და 4) მიექცეს ყურადღება საექსკურსიო მუშაობის განვითარებას.

ა—ჭ—ლია.

### ქუთაისის მაუდის საქსოვ ქარხანაში

საქართველოს ფეიქართა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმზე ქუთაისის მაუდის საქსოვ ქარხნის ქარხკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. **შაშიკაშვილმა.** მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქარხკომი აერთიანებს —184 კაცს;

ქარხკომის კრება შესდგა 14-ჯერ, საერთო—5-ჯერ. შემდეგ მომხსენებელი ვრცელ მიმოხილვას უკეთებს ქარხკომის ეკონომიურ, კულტურულ და ფინანსიურ მუშაობას.

მოხსენების შესახებ გაიმართა კამათი.

ორატორები აღნიშნავდენ ქარხკომის მუშაობის სუსტ მხარეებს და აგრეთვე ქარხკომის უგეგმო მუშაობას.

საბოლოო სიტყვაში ამხ. შაშიკაშვილი აცხადებს, რომ დეფექტები აღნიშნული ამხანაგების მიერ, უდავოა, არსებობს, მაგრამ ეს ეკუთვნის ქარხკომის ყოფილ თავმჯდომარის ასათიანის მუშაობას; ის კი ღებულობს ზომებს გამოასწოროს და გააცხოველოს ქარხკომის მთელი მუშაობა.

დასასრულ, პლენუმის მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ქუთაისის მაუდის საქსოვ ქარხნის ფაბკომის მუშაობას სცნობს არა დამაკმაყოფილებლად და ავალებს ცხოვრებაში გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი: 1) საბოლოოდ გადავიდეს ქარხკომი გეგმიან მუშაობაზე, 2) გაძლიერდეს ხელმძღვანელობა ცალკე კომისიების მუშაობაზე, კომისიების ანგარიში მოსმენილ იქნეს ქარხკომის სხდომაზე, — მათ უმოქმედობის შემთხვევაში მიღებულ იქნეს სათანადო ზომები; წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიცვალოს მათი შემადგენლობა, 3) გაცხოველდეს საწარმოო თათბირის მუშაობა, 4) მიექცეს ყურადღება სალექციო - საექსკურსიო მუშაობას, 5) გაძლიერდეს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში, 6) გაღრმავდეს მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შორის; მათ შორის სამუშაოდ გამოიყოს აქტიური ამხანაგები, 7) მოწესრიგდეს ქარხკომის ფინანსიური მუშაობა და 8) მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები აქტიურ პროფმუშაკების კადრის შესაქმნელად.

თ.

# მუშათა ცხოვრება

### ჩვენი სალიკვიდაციო სკოლის მუშაობა

ჩვენი სალიკ. სკოლა მოთავსებულია ლენინის უბნის განაპირა მხარეში, ლოტკინის ქუჩაზე. დაარსდა იგი 1925 წ. 15 ნოემბერს. მის გამგედ პოლიტ-განის მიერ დანიშნულ იქნა ამხ. ალექსანდრე ბედიაშვილი. გამგეს ერთგული მუშაობით ჩამოყალიბებულ იქნა სულ 4 სალიკ. სკოლა. 2—წ.-კ. სრულიად უცოდინარი მუშებისათვის და 2-იც წ.-კ. მცოდნეთათვის.

მსმენელებად ჩარიცხულ იქნენ პროფკავშირის წევრნი და აგრეთვე მათი ოჯახის წევრნიც.

მსმენელთა შორის საკმაო რიცხვს შეადგენს პარტიის და ა. ლ. კ. კ. წევრნი. დაახლოვებით მთელ პუნქტში თავი მოიყარა 150 მსმენელმა. ყოველ სკოლას პოლიტგანმა გამოუგზავნა შესაფერი მასწავლებელნი. პუნქტში დაარსებულ იქნა დრამწრე. რომელიც მართავს სხვადასხვა სახის წარმოდგენებს პუნქტისავე კლუბში.

დაარსებულ იქნა რედკოლეგია გამგის მონაწილეობით და გამოცემულ იქნა ორკვირეული კედლის გაზეთი „**მოსწავლე მუშა**"-ს სახელწოდებით. მსმენელი მუშები დიდი ხალისით მონაწილეობენ გაზეთში.

არჩეულ იქნა აგრეთვე მსმენელთა მიერ პუნქტის კომიტეტი, რომელიც ეხმარება გამგეს მსმენელთა სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში. გამგემ მათთვის შეიმუშავა განსაკუთრებული წესდება.

დაარსებული გვაქვს მსმენელებს საერთო ფონდი, რომელიც ხმარდება კედლის გაზეთის გამოცემას და დრამ-წრის მუშაობას. აქ ისე კარგად გვაქვს საქმე დაყენებული, რომ ჩვენ დარაჯს ხელსაც უმართავთ ხოლმე ფულით, როდესაც ჯამაგირის დარიგებას დაგვიანებენ (ეს კი აქ ჩვეულებრივი მოვლენაა).

რაც შეეხება მეცადინეობას, ამ მხრივ წინ მივდივართ.

ზოგიერთებს ძალიან აფიქრებდათ ის, რომ კვლავ წ.-კ. უცოდ. არ გამხდარიყვნენ და მოითხოვდნენ კვლავ სწავლის გაგრძელებას.

რაც შეეხება მც.-მც. სკოლებს, აქ ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვს მეცადინეობის. წარსულ კვირას ჩვენი გამგის ხელმძღვანელობით მოვაწყვეთ ექსკურსია სახ. უნივერსიტეტში, სადაც წამოვიდნენ როგორც მსმენელი მუშები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრნიც. აქ დავათვალიერეთ უნივერს. ისტორიული მუზეუმი.

ისტორიკოსმა, სერგო გორგაძემ ისტორიული ნაშთების ახსნა-განმარტებით საქართველოს წარსული ცხოვრება თვალწინ გადაგვიშალა. ჩვენმა სკოლის გამგემ დაგვავალა ყოველივე ნახული დაგვეწერა, რაც შეძლებისდაგვარად შევასრულეთ.

მსმენელი მუშები დიდ მადლობას უხდიან თბ. პოლიტგანს, რომ უკანასკნელი არ იშურებს არავითარ ხარჯებს და ასეთი ღირსეული მასწავლებლების საშუალებით ახორციელებს მუშათა და გლეხთა თვითგანვითარების საქმეს.

სალიკ-პუნქტის მსმენელთა დავალებით
**ვაჟ. ჯავახიშვილი.**

—:—

### დაუვიწყარი ექსკურსია

ს. ს. ს. ტეხნიკუმის ჰიდრო-ტეხნიკურ დარგის მე-2-ე და მე--მე კურსის მოწაფეებს მოგვიწყვეს ექსკურსია ნავთლუღის მიდამოებში მდებარე წარმოებების დათვალიერებისა.

ნავთლუღში ჩასვლისას ცხრა საათი იყო. რამოდენიმე წუთში მასწავლებლების ბ. ივანე მესხის და ბ. პ. ზედგინიძის ხელმძღვანელობით, დიდათ აღფრთოვანებულნი გავემგზავრეთ საქონლის სასაკლაოს დასათვალიერებლად. მისვლისთანავე დაგვრთეს ნება დათვალიერებისა და ჩვენც ყურადღებით ვათვალიერებდით სასაკლაოს. ვნახეთ თუ როგორ კლავდნენ რქიან ცხოველებს, წვრილ ოთხფეხებს და სხვა. ვნახეთ აგრეთვე ჰლექით და სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებული პირუტყვების ხორცი და მოვისმინეთ მის მავნებლობაზე საუბარი.

აქედან წავედით საქართველოს რადიომიმღებ და გადამცემ სადგურის სანახავად.

მისვლისთანავე დიდი ყურადღებით დავიწყეთ დათვალიერება—ელექტრონ-ნაკადის მომცემი მანქანისა, რადიო მიმღებ და გადამცემ სადგურის ანძა-ანტენის გამართულობისა და სხვა. ყველაფერზე საჭირო ახსნა-განმარტება მივიღეთ.

შემდეგ ამისა, გავეშურეთ ჰაეროპლანების დასთვალიერებლად. ვნახეთ სამგზავრო და საომარი ჰაეროპლანები.

აქ მყოფ მფრინავებმა გაგვიმარტეს მანქანის ნაწილების დანიშნულება, სიმძლავრე მისი და სხვა.

ჟამობაში წამოსვლის საათმაც დაჰკრა და ჩვენც დიდათ გახარებულნი და დარწმუნებულნი იმაში, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა გაძლიერების გზაზეა დამდგარი და მას ვერაფერს დააკლებენ ჩვენი მტრები, წამოვედით ყიჟინით.

დიდათ სასურველი და ნაყოფიერი იქნება როგორც ჰიდრო-ტეხნიკურ დარგის მოწაფეთათვის, ისე აგრო-ტეხნიკურ დარგის მოწაფეთათვის სხვა შესაფერ ადგილებში ექსკურსიების მოწყობა.

მ. გელაშვილი.

### „ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან—კი ყველა სტყუის"-ო

იანვრის თვიდან იქნა გაცემული განკარგულება, რომ მთავარ სახელოსნოების მუშა-ხელოსნებს მისცემოდათ ჯამაგირი არა უგვიანეს ყოველ თვის ათ რიცხვში. (წინად ღებულობდენ ოცში) ამისათვის კი მთავარ სახელ. მოანგარიშეებს დაავალეს ემუშავნათ ზედმეტ საათებში, რათა ეს განკარგულება მოეყვანათ სისრულეში და დაეკმაყოფილებიათ მუშა-ხელოსნები დანიშნულ რიცხვში. მოანგარიშეებმა იმუშავეს ზედმეტ საათებში, რისთვისაც იქნენ დაჯილდოებული ზედმეტი ნამუშევრის ჯილდოთი იანვარში.

დადგა თებერვალი და განკარგულებაც არ გამოცვლილა, მაშასადამე, ისევე ის ოპერაცია უნდა განმეორებულიყო, როგორც წინად.

მუშების ხელფასის ანგარიშების შედგენა იწყება საამქროს მოანგარიშეებისაგან და წინასწარ მიმართეს უფროსს ბუღალტერს მ. მუმლაძეს შესდგომოდენ თუ არა ისინი ზედმეტ საათების მუშაობას.

ბუღალტერმა მუმლაძემ კატეგორიულად მოითხოვა ემუშავნათ და მუშაობის პირობები კი წარედგინათ ბუღალტერიაში არა უგვიანეს ორი მარტისა. საამქროს მოანგარიშეები 23 თებერვლიდან შეუდგენ სალამობით მუშაობას და კიდეც ჩააბარეს შესრულებული საქმე. მხოლოდ სამი მარტიდან კი უნდა შემდგარიყვნენ ბუღალტერიის მოანგარიშეების პროცენტების გამოკვლევას და პერსონალურად სიის შეყვანებას. მაგრამ ამ დროს შემოდის უბკავშირის შრომის დაცვის ინსპექტორი ამხ. ჯიოშვილი და აცხადებს: რომ იგი ზედმეტი მუშაობის ნებას არავის აძლევს და მომუშავენი არც ერთ გროშსაც ამის ჯილდოთ არ მიიღებენო.

რა თქმა უნდა, ბუღალტერიის მოანგარიშეებმა აიღეს ხელი სალამოობით მუშაობაზე, მაგრამ ჩვენ საამქროს მოანგარიშეებს რას გვეუბნებიან და ვინ უნდა მოგვცეს ზედმეტი ნამუშევრის ჯილდო? საამქროს მოანგარიშეები იყვნენ დაიმედებული, რომ მიიღებდენ იანვრის და თებერვლის ჯილდოს ერთად თანახმად თვით ბუღალტერ მუმლაძის დაპირებისა,—მაგრამ ამხ. ჯიოშვილს სწორედ ისე მოსდის როგორც ნათქვამია ანდაზაში. „ფაფით შეშინებული დოს უბერავდაო" და ამასობაში ჩვენი ინტერესები ილახება ხოლმე. ეს კი არ უნდა ხდებოდეს.

მუშკორი **ლიაპისი.**

—:—

### დაიცავით სისუფთავე.

**(აღმასკომის სანიტგანყოფ. საყურადღებოდ)**

ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქალაქის, ბუნებითი ცხელწყლიანი აბანოებისთანა სასარგებლო იშვიათად თუ სადმე მოიპოვება, მაგრამ ვინ აფასებს! ქალაქის აღმასკომმა წარსულთან შედარებით, აბანოების გარეგნულ გალამაზებას დიდი ყურადღება მიაქცია, სისუფთავის დასაცავად შესაფერი განცხადებანიც არის, მაგრამ საქმით ძნელად თუ ვინმე ასრულებს ამ განცხადებებს ხოლმე. მაგალითად, სალაროსთან ორ ენაზე, ქართულად და რუსულად, წარწერილია: „საპნით ტანის ვაუბანელად აუზში ჩასვლა აკრძალულია"-ო, მერე ვინ ასრულებს ამ განკარგულებას?—თითქმის არავინ, რადგან მას ბევრზე ბევრი არ წაიკითხავს და რომ წაიკითხოს, ვერც შეისმენს. არა თუ ამას ყურადღებას არ აქცევენ მობანავენი, ხშირად ისინი აუზში იფურთხებიან და მით საბანაო წყალს აბინძურებენ. აღარც მექისე ჰგავს მექისეს: თუ მობანავე მცოდნე არ არის, მექისე მას არც აბანავებს, როგორც წესი და რიგია. უკანასკნელ წლებში ჩვენ დედა-ქალაქს ბევრი ხალხი მოაწყდა; მათში ხშირათ ისეთი ავადმყოფიც არის, რომ საჭიროა აბანოებში უაღრესი სისუფთავის დაცვა. არ კმარა კეთილი სურვილით რისამე დადგენა, საჭიროა მისი სისრულეში მოყვანაც.

ამიტომ აუცილებელია: 1) ყოველ საზოგადო აბანოში საგანგებოდ მიჩენილმა კაცმა მობანავე იმ დრომდე არ ჩაუშვას აუზში, ვიდრე ის საპნით ტანს არ გაიბანებს (ამისათვის თუ აბანოს შიგნითა შესავალში საგანგებოდ მოეწყობა საშხაპუნო მილი, რომ ყველამ თავისით გაიბანოს ტანი,—უკეთესი იქნება); 2) სასტიკად უნდა აიკრძალოს აუზში ჩაფურთხება. ამ წესის დარღვევისათვის რომ დაჯარიმდეს ერთიორიოდე კაცი, ხალხი შეეჩვევა მას და თითონვე დაიცავს სისუფთავეს; 3) ყოველ მექისეს დაეკისროს მსურველი ისე აბანავოს, როგორც წესი და რიგია; 4) ყოველი მობანავეს შემდეგ საწოლი, აბაზანა და აუზი მდუღრით უნდა გაირეცხოს (ეს განსაკუთრებით ნომრებს შეეხება) და სხვა.

ყველა ამ ზომების ცხოვრებაში გატარებას მოითხოვს ხალხის ჯანსაღობის საკითხი.

გარეკახელი.

### გამო[illegible] ბიდან

— **სახლის პატრონთა ოინებს ბოლო უნდა მოეღოს.** სახლის პატრონები რომ მუშა-მოსამსახურეთ სასტიკად ებრძვიან და ათასგვარ ხრიკებით ცდილობენ, რომ ისინი გამოასახლონ თავის სახლებიდან, - ეს თითქმის ყველასათვის ცხადია და მათ ასეთ ოინებს ჩვენი აღმასკომი ებრძვის არსებული კანონების ფარგლებში. ბევრ მათგანს აღმასკომმა კიდეც ასწავლა ჭკუა. მხოლოდ აქა-იქ კიდევ არიან სახლის პატრონები, რომელნიც თავგასულობას ბოლო არ უჩანს. სწორედ ასეთ ჯგუფს სახლის პატრონებისას ეკუთვნის—ლენინის რაიონში, რუსთაველის ქ., სახლი № 56-ის პატრონი მოქ. ადიკაშვილი. იგი ყოველმხრივ ავიწროებს მის სახლში მცხოვრებ რკინისგზის მუშას ამხ. აწკარუნაშვილს; იგი მას ეჩხუბება, ლანძღავს, აგინებს და მუშაობით დაღლილ-დაქანცულ მუშას მოსვენებას არ აძლევს.

საჭიროა მოქ. ადიკაშვილის ოინებს ბოლო მოეღოს.
მუშკორი **კარგი.**

— **სახლი ობლებს თავზე ენგრევა.** ნადირიკვაში „სამოვოლნაია" ქ., მოთავსებულია თედო ვეტლიაშვილის ობლების სახლი, რომელიც ძალზე დაზიანდა აღნიშნული ქუჩის შეკეთების დროს. წვიმის დროს სახლში ტბები დგება; კედლები ნესტიანდება და ინგრევა.

„უჰსო!" მიხედე ამ სახლს!
მუშკორი **წკრიალა.**

— **წამლები აფთიაქებმა დროზე უნდა დაამზადონ.** მართალია, ჩვენ აფთიაქებს უხდებათ დიდი მუშაობა მუშა-მოსამსახურეთათვის წამლების დამზადებაში, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც წამლების დამზადება ძალზე აგვიანდება. ხშირად ზოგიერთ აფთიაქებში დანიშნულ დროზე არ მზადდება წამალი. მუშას რამოდენიმეჯერ უხდება აფთიაქში სიარული წამლების მისაღებად, რაც მასში იწვევს სამართლიან საყვედურს. ეს არასასურველი მოვლენა უნდა იყოს გამოწვეული ან აფთიაქარების საქმისადმი გულგრილობით, ან და შტატის სიმცირით.

საჭიროა ერთსაც და მეორესაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.
მუშკორი **გონი.**

— **მოგვეცით სხვა ბინა.** მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა ნაწილი მეცადინეობს კამოს ქუჩაზე—მეორე შრომის სკოლის შენობაში. ლექციების მოსმენაში მსმენელთ ხელს უშლის საბარგო და სხვ. ავტომობილების ქუჩიდან ხმაური. ქუჩის აურ-ზაური სრულიად ფარავს და აყრუებს ლექტორის ხმას, რასაც დიდი ზიანი მოაქვს მსმენელთათვის.

აღმასკომო! მოგვეცი ბინა უფრო მყუდრო ადგილას.
**მუშფაკის მსმენელი.**

— **განდევნეთ მუშათა კლუბიდან ავარები.** პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი ადგილობრივ მუშებში აწარმოებს გაორკეცებულ კულტურულ მუშაობას. ადგილობრივი მუშები ასობით და ათასობით ესწრებიან კლუბში დადგმულ წარმოდგენებს, ლექციებს და სხვ. მხოლოდ, სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში აქ თავს იყრიან ვიღაც ავარები და უსაქმო ბინძური ვიგინდარები, რომლებიც ყოველგვარ შეურაცყოფას აყენებენ კლუბში მოსიარულეთ.

მილიციავ, გააძევე აქედან ეს ბინძური ავარები!
**ნაძალადეველი მუშა.**

— **გაბინძურებული მიდამო.** რკინისგზის ლიანდაგზე მდებარე ფარდულები, დაწყებული პეტრე-პავლეს სასაფლაოდან „სამოვოლნაია" ქუჩამდე, სადაც მუშებს უხდებათ ცდა მუშა-მატარებლებისათვის, გაბინძურებულია. წვიმის დროს ფარდულებში ლოდინიც შეუძლებელია, რადგანაც ყოველგან წვიმა ჩამოდის. აქ ყველგან ჰყრია ნაგავი, დახოცილი ძაღლები და სხვა სიბინძურე.

სანიტკომო, მიიღე ზომები!
მუშა **ივ. მესხეთელი.**

### მუშათა ქრონიკა.

(საპნის სადუღებელ ქარხანაში).

— **დრამწრის დაარსება.** საპნის სადუღებელ ქარხნის სადელეგატო კრებამ დაავალა კულტკომისიას დაარსოს დრამწრე.

— **კავშირი საშეფო საზოგადოებასთან.** საპნის სადუღებელ ქარხნის სადელეგატო კრებამ დაადგინა კულტკომისია დაუკავშირდეს საშეფო საზოგადოებას.

— **რადიოწრის დაარსება.** იმავე ქარხნის მუშების სადელეგატო კრებამ დაადგინა—კულტკომისიამ დაარსოს რადიოწრე და მოაწყოს რადიოლიტერატ. წრეც.

— **სპეცსამოსელების გაძლიერება.** საპნის სადუღებელ ქარხნის სადელეგატო კრებამ დაავალა შრომის დაცვის კომისიებს მიიღონ ზომები სპეცსამოსელების გაძლიერების შესახებ.

— **სპეცტანთსაცმელები.** ქარხნის შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა—ძველი დარიგებული სპეცტანთსაცმელები დარჩეს მუშებს მარაგად.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ღებვის ტეხნიკა

საინტერესოა ქსოვილების შეღებვის გათვალისწინება. აქ საჭიროა წინასწარი ცოდნა საღებავების თვისებებისა. რაც შეეხება არა ორგანიული საღებავების მოხმარას, ეს შედარებით ადვილი საქმეა. ამიტომ მასზე ღირს შეჩერება.

ორგანიულ საღებავის ძირითადი თვისება შემდეგია. ის ადვილად იხსნება წყალში. იმით შეღებილი ტანთსაცმელი კი ფერს არ უნდა კარგავდეს. ე. ი. საღებავი წყალში აღარ იხსნება საპნით გარეცხის დროსაც ნარეცხი წყალი არ იღებება. გარდა ამისა საღებავს მზის სხივები არ უნდა ავნებდეს, ე. ი. ტანთსაცმელი არ უნდა გახუნდეს. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საღებავი და ქსოვილი ქიმიურათ უკავშირდებიან ერთმანეთს. იქნება ახალი ნივთიერება, რომელსაც არც წყალის და არც მზის არ ეშინიან.


სურ. 1

ორგანიულ საღებავებს სხვადასხვა ჯგუფებათ ყოფენ. მღებრისთვის საინტერესოა შემდეგი დაჯგუფება: პირდაპირი („სუბსტანტიური"), ტუტე, მჟავე, გოგირდის და ინდიგოს საღებავები. ესა თუ ის საღებავი უნდა აირჩეს იმისდამიხედვით, თუ რა არის შესაღები.


სურ. 2

მატყლის ქსოვილების შესაღებათ ხმარობენ მჟავე საღებავებს. საღებავის რაოდენობა უნდა უდრიდეს 2—5 პროცენტს მატყლის ნართის ან ქსოვილის რაოდენობისას. საღებავი იხსნება ცხელ წყალში. შემდეგ ხსნარში ურევენ 2—5 პროცენტ გოგირდის მჟავეს (მატყლის წონის მიხედვით). საღებავი სითხე ქურქლის სამ მეოთხედს უნდა ავსებდეს. სითხის რაოდენობა მატყლთან შედარებით ოცჯერ მეტი უნდა იყოს (კერძო შემთხვევებში ხან მეტი, ხან ნაკლები, საღებავის ბუნების მიხედვით) საღებავს, რომელიც ადვილათ იხსნება წყალში, ცოტა წყალი სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტი.

ნელ-თბილ საღებავის ხსნარში ფრთხილათ სღებენ შესაღებ ნივთს. თუ ეს ნივთი მოიკუმშა, უთანასწოროთ შეიღებება. საჭიროა ხანგამოშვებით ამოღება შეტრიალება და სხ. ასეთი ზომები, რომ საღებავი თანასწორათ განაწილდეს. ტეხნიკამ გამოიმუშავა ორი მეთოდი შეღებვისა, რომლებსაც საღებავის თანასწორი განაწილება აქვთ მიზნათ. პირველ შემთხვევაში ნივთი გაფენილია ქურქელში. ხსნარი კი გარშემო მოძრაობს. მეორე შემთხვევაში მაუდის ან ნართს შემდეგნაირად ავლებენ საღებავში (იხ. სურათი), შესაღები ნივთი შემოხვეულია ცილინდრზე, რომელიც ბრუნავს. ქსოვილი საღებავში ტარდება და მეორე ცილინდრაზე ეხვევა. საღებავ ვანაში, რომ საღებავი თანასწორათ მოეკიდოს, სამი უფრო წვრილი ცილინდრებია მოწყობილი. ესენი ხელს უშლიან ნაოჭების გაჩენას. როდესაც ქსოვილი მეორე ცილინდრზე მოიყრის თავს, ის შეტრიალდება და მასალა საღებავში გატარებული, ისევ პირველ ცილინდრზე ეხვევა. ასე ბოლომდის სანამ ღებვა არ თავდება. ღებვის დროს საღებავი ვანა თანდათან ცხელდება. შემდეგ ნახევარი ან ერთი საათი სდუღს. ხან გამოშვებით საღებავს უმატებენ წმინდა გლაუბერის მარილს. გლაუბერის მარილიან წყალში საღებავი ძნელათ იხსნება. ამიტომ ის ქსოვილს ადვილათ კიდებს ხელს. თუ გლაუბერის მარილი ნელ-ნელა და თანასწორათ არ ჩაემატა საღებავს, საღებავს ის ერთბაშათ მოედება შესაღებ ნივთს და არ განაწილდება თანასწორათ. საერთოთ საღებავის თანასწორათ განაწილება ძნელია. გამოუცდელი მღებავისთვის სჯობია ჯერ ნართი შეღებოს, შემდეგ მოქსოვოს. ამ შემთხვევაში საღებავის უთანასწოროთ განაწილება ნაკლებათ შესამჩნევია.


სურ. 3

ნივთი კარგათ არის შეღებილი, თუ ის ღებვის გათავების შემდეგ წმინდა თბილ წყალში ჩადებული უკანასკნელს ფერს არ აძლევს. კარგ მღებავს საღებავ ვანაშიაც არ რჩება საღებავი. ხსნარი ისე ამოიწურება, რომ მარტო წმინდა უფერული წყალი რჩება.

ბამბის და აბრეშუმის შეღებვის პროცესი იგივეა, როგორც მატყლის მათ სხვა ხარისხის საღებავები სჭირდებათ. ხსნარის მომზადებაც სხვაგვარია.

მატყლს მჟავე ხსნარში ღებავენ. თვით მატყლის საღებავებსაც მჟავის თვისებები აქვთ. ბამბას პირიქით მჟავე არ უყვარს. მის შესაღებათ ღებულობენ ე. წ. ტუტე საღებავებს. მაგრამ ბამბის ქსოვილს ეკირვება ე. წ. „ბაიცე", ესე იგი მას შაბის ან ტანინის ხსნარში სდებენ შეღებვის წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში ტუტე საღებავი მას ხელს არ კიდებს. არსებობს აგრეთვე პირდაპირი (სუბსტანტიური) საღებავები. ისინი ღებავენ მატყლსაც და ბამბასაც. უკანასკნ. „ბაიცე" არ სჭირდება. ამიტომ ეწოდება საღებავს პირდაპირი. ბამბის ქსოვილის შეღებვის დროს მჟავის მაგიერ სოდას ხმარობენ.

აბრეშუმს ღებავს მატყლის საღებავები. მაგრამ ისეთები, რომლებსაც მჟავის თვისებები ძლიერ შესუსტებული აქვთ. აბრეშუმის შეღებვის დროს საღებავს არ უმატებენ არც მჟავეს, არც სოდას. სანამ აბრეშ. ძაფს ან ქსოვილს შეღებავდენ, მას ხარშავენ საპნიან წყალში (2 ნაწილი საპონი 100 ნაწილი წყალში). ნადუღს შემდეგ უწოდებენ „ბასტას". მას ინახავენ და ხმარობენ თვით ნართის შეღებვის დროს, ე. ი. საღებავს ურევენ მჟავეს ან სოდას მაგიერათ „ბასტას". ზოგ შემთხვევებში საჭიროა ძმარის ჩარევა გააჩნია საღებავის ბუნებას. ამიტომ მღებავმა საჭიროა წინასწარ იცოდეს, რა საღებავს იხმარებს, რომ შესაფერათ მოამზადოს საღებავის ხსნარი.

წმინდა საღებავებს არასოდეს არ ყიდიან. გასაყიდ საქონელში საღებავის რაოდენობა ცვალებადია. ის უდრის 40—80 პროცენტს. უმრავლეს შემთხვევაში ეს არ არის ფალსიფიკაცია. დიდი ქარხნები განზრახ ურევენ საღებავს იაფფასიან ნივთიერებებს. ესენი საჭირონი არიან საღებავის ხარისხის გასაუმჯობესებლათ და შეღებვის გასაადვილებლათ. ფალსიფიკაციის გამოსაცნობათ მღებავს დიდი ცოდნა-გამოცდილება ესაჭიროება. მით უმეტეს, რომ საღებავის ანალიზი ძნელია. მოკლე წერილში საღებავის გამოცნობის თვისებაზე მითითება ძნელია. მღებავი ქარხნებიც ხშირათ სცდილობენ გვერდი აუხვიონ მას. მაგრამ სანიმუშო შეღებვას ყველა ახდენს. ჯერ იკვლევენ, არის თუ არა სხვადასხვა ფერი შერეული. ამისათვის ცოტაოდენ საღებავის ფქვილს აძლევენ თეთრ საშრობ ქაღალდზე. შემდეგ ასველებენ მას. შერეული ფერები ადვილათ გამოჩნდებიან. სანიმუშო შესაღებათ საკმაოა ორისამი მისხალი ნართი. ჩაის ჭიქის ოდენა ქურქელში ხსნიან ნახევარ, ერთ ან ორ პროცენტ საღებავს და მასში ავლებენ ნართს, ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ჯერ ფრთხილათ შუშის პატარა ჯოხის საშუალებით ჩაუშვებენ ნიმუშს ხსნარში (სურ. 2) შემდეგ შეატრიალებენ. (3). პირველ ხანებში ეს ყოველ 3—5 წუთში უნდა ხდებოდეს. შეღებვა გრძელდება საათნახევ. ან 2 საათი, თუ წინასწარმა ცდამ დამაკმაყოფილებელი ფერი მოგვცა, რომელიც გარეცხის ან მზის სხივების გავლენით არ ხუნდება, შეიძლება ღებვის წარმოება ქარხნის ფარგლებში.

**ალ. დევდარიანი.**

## თამბაქოს გავლენა მეხსიერებაზე

მეცნიერება თანდათანობით უფრო მეტსა და მეტ საბუთებს პოულობს თამბაქოს წევის მავნებლობის დასამტკიცებლად. განსაკუთრებით საინტერესოა შესწავლა თამბაქოს გავლენისა ტვინსა და გონებრივ მუშაობაზე. თამბაქო, გარდა ნიკოტინისა (შხამია), შეიცავს აგრეთვე სხვა შხამიან პროდუქტებს—„ნიკოციანინს" და ნახშირბადის მჟავას. ყველა ეს შხამიანი ნივთიერებანი ცუდ გავლენას ახდენენ ტვინზე და იწვევენ თავის ტვინში მოთავსებულ უმაღლეს ნერვიულ ცენტრების ნელ-ნელა მოწამვლას და დაჩლუნგებას. თამბაქოს მიერ მოწამვლას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ნიკოტინი ადამიანის ორგანიზმიდან ძლიერ ნელა იდევნება. გერმანელმა ექიმმა **შტაუბემ** დაამტკიცა, რომ ერთი სიგარის მოწევის შემდეგ ნიკოტინის ნიშნები რვა საათის განმავლობაში მოიპოვება ტვინში. თამბაქოს შხამით მოწამვლა სამი მოვლენით ხასიათდება: 1) სისხლის ავარდნა თავში, 2) ტვინის უჯრედების დაზიანება და 3) მეხსიერების შესუსტება.

თამბაქოს კვამლის უარყოფითი გავლენა მეხსიერებაზე მეცნიერებმა **მატყემ** და **მერკლენმა** თეთრ თაგვებზე შეამოწმეს. თაგვებს ათავსებდენ ცილინდრში, რომელშიაც თამბაქოს კვამლს უშვებდენ. 10 წუთის შემდეგ თაგვებს უშვებდენ ცილინდრიდან და მათ უნდა გაეკვლიათ გზა ლაბირინტში, რომლის სიგრძე 124 მეტრს უდრიდა. ლაბირინტის ბოლოში საჭმელი იყო დადგმული. ცილინდრიდან გამოსვლის შემდეგ თაგვები ჩვეულებრივად კარგად იკვლევდენ გზას საჭმელისაკენ, მაგრამ 24 საათის შემდეგ მათ მეხსიერება ეკარგებოდათ და 12 წამის მაგიერ 100 წამი სჭირდებოდათ დანიშნული მანძილის გასავლელად, გზა ებნეოდათ.

რამდენად პატარაა და ახალგაზრდა ორგანიზმი, იმდენად მეტ უარყოფითი გავლენას ახდენს თამბაქო მასზე.

## ნავი-ველოსიპედი



ამჟამად ევროპაში და ამერიკაში დიდი ყურადღება ექცევა მიმოსვლის საშუალებათა რამდენიმე სახის გაერთიანების საკითხს. მუშავდება პროექტი მფრინავ ჰაეროპლანების, ჰაერომანქანების, მფრინავი ნავების (ეს ორი უკანასკნელი მიმოსვლის საშუალება დღეს პრაქტიკულად არის განხორციელებული).

ასეთ გაერთიანებული სახის მიმოსვლის საშუალებათა შორის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს ნავი-ველოსიპედი, რომელიც ხმელეთზე მოძრაობს, როგორც მოტოციკლი (მოტორიანი ველოსიპედი), წყალში კი—როგორც მოტორიანი ნავი.

## დედამიწის ქერქის ცვლა

ევროპაში რამდენიმე ხნის წინათ მოახდინეს ნიადაგის სიმაღლის გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგებმა ძლიერ შეაფიქრიანა ყველა მეცნიერები.

უკანასკნელი გამოკვლევების შედარების დროს წინანდელი—1857—1864 წ. გამოკვლევების შედეგებთან, აღმოჩნდა, რომ საფრანგეთ-ბელგიის მთელი ტერიტორია საგრძნობლად დაეშვა დაბლა ამ პერიოდის განმავლობაში.

საფრანგეთის საზღვრებზე—ალპებისა და პირინეის მთების გასწვრივ ნიადაგი მცირედ დაეშვა—10—30 სანტიმეტრით. განსაკუთრებით შესამჩნევად დაეშვა ნიადაგი საფრანგეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში: გავრი და ქვემო-სენის მთელი ოლქი ნახევარი მეტრით დაეშვა.

ბელგიის საზღვარზე და თვით ბელგიაში ნიადაგი 1 მეტრით დაეშვა.

მაგრამ ზემოხსენებულ გამოკვლევათა ასეთი მოულოდნელი შედეგები არ არის ახალი. უკვე დიდი ხანია შემჩნეულია ნიადაგის ასეთი დაწევა ზოგ რაიონებში და ამაღლება სხვა რაიონებში. ნორვეგიის ნაპირებთან 214 მეტრის სიმაღლეზე იპოვეს ნიშნები იმისა, რომ იქ ოდესღაც ზღვის ნაპირი იყო. მრავალი გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ უკანასკნელი 1000 წლის განმავლობაში სკანდინავიის ნახევარკუნძული (შვეცია-ნორვეგია) ამაღლდა 300 მეტრით.

გამოკვლევებით დამტკიცდა ნიადაგის ასეთივე ამაღლება მთიან ადგილებში—ალპებში, ჰიმალაის მთებში და სხვაგან.

გერმანიის ზღვის ნაპირები, გერმანიის სანაპიროები ბალტიის ზღვაზე, ბელგია, ჰოლანდია და საფრანგეთი—ნელ-ნელა ეშვებიან.

გამოანგარიშებულია, რომ თუ საფრანგეთის ნიადაგი კიდევ დაეშვა 200 მეტრით, ზღვა ძოსწყვეტს მას ესპანეთისაგან ჰოლანდიის დიდი ნაწილი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს.

ევროპა განუწყვეტლივ ეშვება წყალში. დედამიწის ქერქის ეს დეფორმაცია, ე. ი. მისი ფორმების შეცვლის პროცესი, მთელს ჩვენს პლანეტას მოედვა. სამხრეთ-ამერიკაში ამ მოვლენამ არაჩვეულებრივად ფართე ხასიათი მიიღო და მას თან სდევდა ხშირი მიწისძვრები. იაპონია თანდათანობით მაღლდება, ამოდის ოკეანედან.

ზღვებიც ასეთივე ცვლილებებს განიცდიან. ზღვის ფსკერის შესწავლიდან გამოირკვა, რომ იგი უცვლელი არ არის—ზოგან დაბლდება, ზოგან მაღლდება. ორი წლის წინათ დასავლეთის ელექტრონის კომპანიის (ამერიკაშია) ინჟენრებმა შენიშნეს, რომ ატლანტის ოკეანის ფსკერი დიდ მანძილზე ამაღლდა უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში.

მეორე მხრივ, წყნარი ოკეანეს ზოგიერთ რაიონებში, მაგალითად, იაპონიის კუნძულებთან, ფსკერი ნელ-ნელა ეშვება.

დედამიწის ქერქის ეს უდიდესი მოძრაობა და რყევა, რომლის დროს წყალი ნთქავს უზარმაზარ კონტინენტებს და აჩენს ახლებს, უნებლიეთ მოგვაგონებს ლეგენდარულ ატლანტიდას, რომელიც ოკეანეს ზვირთებმა შთანთქეს მთელი მისი მოსახლეობით და უაღრესად განვითარებული ცივილიზაციით. ეს ერთბაშად როდი მოხდა. ათასი წლების განმავლობაში გრძელდებოდა ეს პროცესი.

გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ მარტო ატლანტიდა არ უმსხვერპლნია ოკეანეს ზვირთებს. დედამიწაზე, მისი ისტორიის მანძილზე, მრავალი ასეთი გეოლოგიური კატასტროფები მომხდარა თურმე. ოკეანეს ზვირთებს შთაუნთქავს: **პაციფიდა**—უდიდესი მატერიკი, რომელსაც სჭერია ეხლანდელი წყნარი ოკეანეს ადგილი, **გონდვანა**—კონტინენტი, რომელსაც ეჭირა ახლანდელი ინდოეთის ოკეანეს ადგილი, **ტირრენიდი,**—რომელსაც ახლანდელი ხმელთაშუა ზღვის ადგილი ეჭირა და მრავალი სხვ. პირიქით, თანამედროვე ევროპის, აზიისა და ამერიკის თითქმის მთელი სივრცე ეჭირა დიდ უძველეს ოკეანეს, რომელსაც უწოდებდენ—**ტეტის.**

## ბრძოლა დაჟანგვასთან

რკინის საგნების დასაცავად დაჟანგვისაგან მათ ჩვეულებრივ ზეთიანი საღებავით ფარავენ. მაგრამ ეს გამაფრთხილებელი ზომა დადებითი შედეგს მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში იძლევა, რადგან საღებავის ფენი დიდხანს ვერ ძლებს, იშლება. ისეთი საშუალება, რომელიც სამუდამოთ უზრუნველყოფს რკინას დაჟანგვისაგან, დღემდე არ არის აღმოჩენილი, მაგრამ შესაფერი ცდები და მუშაობა ამ მიმართულებით დიდი ხანია, რაც სწარმოებს.

მილიონ ტონას უდრის (ტონა—62 ფუთია),

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოიანგარიშეს, თუ რამდენი რკინა ფუჭდება დაჟანგვის გამო. აღმოჩნდა, რომ 33 წლის განმავლობაში (1890—1923 წ.) მოპოვებულ რკინის რაოდენობიდან, რომელიც 1.766 718 მილიონი ფუთი, ე. ი. 40 პროცენტი, გაფუჭდა დაჟანგვის გამო.

რკინის ასეთი რაოდენობის დაკარგვა განსაკუთრებით საგრძნობია იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ლითონის მცირე მარაგი მოეპოვებათ. კერძოდ გერმანიისათვის, რომელმაც დაჰკარგა ელზას-ლორენის სამთომადნო რაიონი, დაჟანგვასთან ბრძოლის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. ამ მიმართულებით აწარმოებს მუშაობას გზათა მიმოსვლის სამინისტრო, რომელიც რკინის მთავარი მომხმარებელია. ამერიკაში ასეთივე ბრძოლას რკინის დასაცავად დაჟანგვისაგან აწარმოებს „საზ-ბა დიუპონ"-ი ჩიკაგოში. ამ საზოგადოების გამოანგარიშებით, ყოველწლიურათ რკინის დაჟანგვის გამო ამერიკა ზარალობს 5 მილიარდ მანეთს.

რკინის საგნების შეღებვის ცდებით დამტკიცდა, რომ ყველაზე დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა სურინჯი, რომელიც ჰქმნის მტკიცე შენაერთს. ამ შენაერთზე გავლენას ვერ ახდენს ვერც მჟავებადი და ვერც ორთქლი. მთელ რიგ ცდებით დამტკიცდა აგრეთვე, რომ საღებავების დაცვითი უნარიანობაზე უდიდეს გავლენას ახდენს აგრეთვე მათი დამზადების წესი. რამდენადაც უფრო ფხვიერია საღებავი, მით უფრო მეტად იცავს იგი ლითონს დაჟანგვისაგან. თუ საღებავი კარგად არ არის გაფხვიერებული, იგი თანაბრად ვერ ნაწილდება ლითონის საგნის ზედაპირზე და ზოგ ადგილას ჟანგი ჩნდება. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოხდეს რკინის საგნების შეღებვა. ამერიკაში გამოშვებულია მთელი რიგი ბროშურები, რომლებშიაც მოყვანილია მეცნიერულ ცდებზე დამყარებული წესები შეღებვისა.

## ურელსო მატარებელი



ალიასკაზე (ნახევარკუნძული ამერიკის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში) მოახდინეს გამოცდა სპეციალური კონსტრუქციის ურელსო მატარებლის, რომელიც შესძლებს გავლას თოვლით დაფარულ მინდორ-ველზე. ბორბლების მაგიერობას აქ ასრულებენ ხრახნილები, რომლებიც ორთქმავალის ორივე მხარეზე არიან მოთავსებულნი (სურათზე მოსჩანს მარჯვნით მოთავსებული ხრახნილი). ბრუნვის დროს ხრახნილი იჭრება თოვლში და მატარებელს წინ სწევს. ხრახნილი მოძრაობაში მოჰყავს 48-ძალიან მოტორს. ორთქმავალს შეუძლია მიმართულების გამოცვლა, მობრუნება და სხვ.

დატვირთულ ურელსო მატარებელს საათში შეუძლია 16 კილომეტრის გავლა.

## ახალი სამგზავრო ჰაეროპლანი

ცნობილმა გერმანელმა გამომგონებელმა ვალტერ ბრენერმა შეიმუშავა პროექტი უზარმაზარი ჰაეროპლანის, რომელიც დიდ სიმაღლეზე საგრძნობ მანძილს გაივლის.

როგორც ფიქრობენ, სამგზავრო ჰაეროპლანებისათვის ყველაზე ხელსაყრელ სისწრაფეს წარმოადგენს 320—400 კილომეტრი საათში.



ჰაეროპლანები იფრენენ დიდ სიმაღლეზე, და რადგან იქ ჰაერი უფრო გათხელებულია, ვიდრე დედამიწის პირთან, მეტი მანძილის გავლას შესძლებენ.

ასეთ დიდ სიმაღლეზე მგზავრებს საჭირო საშუალებით მიაწოდებენ ისეთი სიმკვრივის ჰაერს, როგორიც დედამიწის ზედაპირთან არის ახლოს.

ახალი სამგზავრო ჰაეროპლანი აგებული იქნება იმავე პრინციპის მიხედვით, როგორც იუნკერსის უკანასკნელისამგზავრო ჰაეროპლანი და ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ თავისი სიდიდით განირჩევა.

ოთახები მგზავრებისათვის მოწყობილია ჰაეროპლანის ფრთებში. ოთახები კაპიტანისათვის და საჰაერო ხომალდის რაზმისათვის ისე, როგორც საბარგო განყოფილება, მოთავსებულია ჰაეროპლანის კორპუსში.

ფრთების წინა ნაწილში შუშის მინებია ჩადგმული.

ბრენერის მიერ შემუშავებული ჰაეროპლანი ჩვეულებრივი მოტორებით, ზედმეტი საწვავი მასალის დაუხარჯავად შესძლებს ორჯერ მეტი მანძილის გავლას, ვიდრე თანამედროვე ჰაეროპლანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველო

### ნაგვიანევი სინანული

(ს. ქვიშხეთი, გორ. მ.)

ერთხელ დასწერა გლეხკორმა, რომ ქვიშხეთის ალმასკომის შენობაში მოთავსებული სამიკიტნო სოფელს სიკეთეს არ დამართებს, რომ ის ხელს უშლის ალმასკომის ნორმალურ მუშაობას, რომ საჭიროა ამ სამიკიტნოს, თუ დაკეტვა არა, სხვაგან გადატანა მაინც. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ყური არავინ გამოიფხიკა.

მოსულია ვილაც გლეხკორია, სხვა საბილო ალბათ ვერაფერი ნახაო, გაიფიქრეს ალმასკომის მუშაკებმა და გაზეთის შენიშვნა ბორჯომის პირველ ნიავსავე გაატანეს. თუმცა გლეხკორი წინასწარმეტყველი არ იყო, მაგრამ მისი წინასწართქმა სულ მოკლე ხნის განმავლობაში ახდა.

30 აპრილს დიდი ქეიფი იყო ვასო ფანქველაშვილის სამიკიტნოში. უკვე შუაღამეს მიატანა და მთვრალების ხმაურობა თუ მატულობდა, თორემ არ იკლებდა. ან კი ვინ რას გაუბედავს ფანქველაშვილს. მისთვის არც სავაჭრო საათები და არც ალმასკომი. ის თვითონ, თავის სამიკიტნოთი შიგ ალმასკომშია მოთავსებული. დროც მისია და სოფელიც. კარგი ბიჭია, ვინმე კრინტს დასძრავს.

ღვინოს კიდევ თავი დავანებოთ, რომ ფანქველაშვილის ალმასკო... უკაცრავათ, სამიკიტნო სხვა ნაირათაც არ იყვეს სახელგანთქმული. ღვინოსთან ერთად მოხერხებული მიკიტანი ცოცხალი საქონლითაც ვაჭრობს. ერთი სიტყვით: „ღვინო, დუდუკი და ქალები"— როგორც მღერიან ხოლმე უსაქმო ახალგაზრდები, ყველაფერი მზათაა ფანქველაშვილის სამიკიტნოში.

მაგრამ დავუბრუნდეთ 30 აპრილს. ქეიფობამ შუაღამეს მიატანა. სამიკიტნოს სტუმრებ შორის ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობ და ქვიშხეთელიცე მცხოვრები ვანო წიქარიშვილი. მან იმდენი სვა და სჭამა, რომ მალე საქმე ნისიაზე მიდგა. „მოიტა ერთი დოქი ღვინო ნისიათ", მიმართა წიქარიშვილმა მიკიტანს. ფანქველაშვილი წინდახედული კაცია. ის ფეხიზელსაც ერთ ჭიქა ღვინოს არ ანდობს, მით უფრო არ დაუჯდა მთვრალი წიქაშვილის წინადადება ერთი დოქი ღვინის შესახებ.

„დღეს ნაღდი და ხვალ ნისია", უთხრა მან ჩვეულებრივი მიკიტნური მოქნილობით წიქაშვილს. მთვრალ კაცს თითი უჩვენე და ყალყზე დადგება. ფანქველაშვილის ოხუნჯობამ წიქაშვილი ცეცხლივით აანთო. არც მიკიტანი იყო მაინცა და მაინც ფეხიზლად. და დაიწყო „დაკა-დაკა". ნახევარი საათის შემდეგ წიქაშვილი სისხლით გალებილი, სასიკვდილოთ დაჩეჩქვილ-დამტვრეული განართხული იყო ტატაკზე.

მიკიტანმა თავს უშველა. დუქანიც მიატოვა, სახლიც, კარიც და სადღაც გადავარდა. ალმასკომი ეხლა გამწარებით იკბენს ნეკს, მაგრამ „გვიანდა არის თითზე კბენანი".

მ. ოლღაშვილი.

### სტუდენტები სოფლად

სოფლად კულტურულ ძალების გაძლიერება ყოველთვის მწვავედ იდგა ჩვენს წინაშე. ზაფხულობით ეს საკითხი უფრო ადვილად გადასაჭრელია, ვიდრე ზამთრობით. ზაფხულის განმავლობაში სოფლებში მოფენილია ქალაქელი ინტელიგენცია, ვინ საგარაკოთ, ვინ სწავლისაგან დასასვენებლად და ვინ კიდევ სხვადასხვა დავალებით.

განსაკუთრებით მრავლათაა ზაფხულობით სოფელში ქალაქებიდან ჩამოსული მოსწავლე ახალგაზრდობა. ამიტომ, როგორც ყოველთვის ისე მიმდინარე ზაფხულზედაც, უნდა დაისვას კითხვა მოსწავლე ახალგაზრდობის სოფლად მუშაობის შესახებ. ყველაზე მეტი სამსახურის გაწევა ამ საქმეში სტუდენტობას შეუძლია.

ჩვენ ვიცით სოფლები, სადაც ზაფხულობით იმდენად ენერგიულათ და თავდადებით მუშაობდენ სტუდენტები, რომ შემდეგ მთელი ზამთრის განმავლობაში აჩნდა სოფლის სხვადასხვა დაწესებულებებს თუ ორგანიზაციებს მათი მუშაობის კვალი.

სტუდენტს საამისოთ ცოდნაც ხელს უწყობს, და ენერგიაც. ის ყველგან და ყველაფერში, რაც კი მიმართული იქნება სოფლის ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებისაკენ, ინიციატორი და აქტიური წამომწყები უნდა იყოს და არის კიდეც ბევრ შემთხვევაში.

სამუშაო კი სოფლად, თუ ხალისი იქნება, საკმარისზე მეტია. კულტურ.-განმანათლებელი საქმე, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, ალმზრდელობითი მუშაობა, ანტირელიგიური პროპაგანდა და უშუალო მონაწილეობის მიღება კოოპერაციის, გლეხკომის, საკრედიტო ამხანაგობების, ქოხ-სამკითხველოების და სხვათა მუშაობაში.

სტუდენტს, მუშფაკელს, პარტსკოლის მსმენელს ყველაფერი ეს შეუძლია, თუ კი მონდომება და ხალისი იქნება.

ამისათვის საჭიროა, რომ ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელსაც ამ ზაფხულზე შეხვდება სოფლად ყოფნა, აქედანვე შეუდგეს მომავალ მუშაობის სამზადისს. მან უნდა გამართოს მიწერ-მოწერა იმ სოფელთან, სადაც აპირებს წასვლას, თუ რა აკლიათ მათ და როგორია მდგომარეობა ადგილობრივ სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში, შეაგროვონ საჭირო ლიტერატურა და შეამზადონ იმ სამუშაოსათვის, რომელიც მათ განზრახული აქვთ ჩაატარონ სოფლად.

სტუდენტობა ეხლა თავის დიდი უმრავლესობით მშრომელთა წრეებიდანაა გამოსული. ამიტომ, სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი გაამართლებენ თავის მოვალეობას სოფლის მოსახლეობის წინაშე.

დემოს.

### კოოპერატივი გამოსწორდა

(საჯავახო)

აქ ეპო სულს ღაფავდა. ის ძველმა გამგეობამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა, რის გამო გამგეობის წევრები დაპატიმრებული იქნენ. ახალმა გამგეობამ იმ თავითვე ენერგიულათ მოკიდა ხელი მუშაობას. გაყიდა და გაანაღდა არა მომგებიანი წამოწყებები. დახურა წამგები განყოფილებები. მოიტანა საქონელი და დღეს ეპოს საუკეთესო ვაჭრობა აქვს. ის მუშაობს ცეკავშირის გეგმის მიხედვით. მხოლოდ ზოგ სოფლებში უხერხულობა გამოიწვია განყოფილებების დახურვამ. აქ ხალხმა თვით ისურვა ნოქრების შენახვა, ოღონდ მათ ეპომ საქონელი მიაწოდოს. ეპოც შეძლების დაგვარათ აწვდის მათ საქონელს.

ახალმა გამგეობამ მინიმუმამდე დაიყვანა შტატი და საგრძნობლათ შეამცირა ხარჯები. ის იმ დროს, როდესაც ბრუნვა საქონლის არ შემცირებულა, არამედ პირ-იქით მატულობს. აღსანიშნავია ერთი გარემოება. ძველ გამგეობას გაუცია მნიშვნელოვანი საქონელი ნისიათ. ამ ნისიის განაღდება არ მომხდარა. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება ნისიების ასაკრეფათ.

ამ საქმიანობამ საჯავახოს ეპოს კვლავ მოუპოვა ძველი ნდობა-სახელი. ხალხი იმდენათ დაინტერესებულია კოოპერაციით, რომ 3500 კომლიდან 1600-დე წევრია ეპოსი.

ვინმე.

### რა გადავწყვიტეთ

(გამოჩინებულის თემი, ქუთ. მ.)

ახალი საბჭო არ გავს ძველს. მან უკვე გააცხოველა მუშაობა. ამას წინათ გაიმართა საბჭოს კრება, სადაც მრავალი საჭირბოროტო ადგილობრივი კითხვები გაირჩა. 1-ლი აპრილიდან თემალმასკომში მაზრის დადგენილებით შემოკლებულია შტატი შემდეგნაირათ: იხსნება ერთი საქმის მწარმოებელი და ერთი მილიციონერი. რჩება თავმჯდომარე, მდივანი და ერთი მილიციონერი. კრებაზე აღინიშნა, რომ გამოჩინებულის თემი ძლიერ დიდი თემია. ამას გარდა კომლთა რიცხვიც 4.000-მდე აღწევს. ასეთი შემოკლებული შტატით ალმასკომს ძლიერ გაუჭირდება მუშაობა. ამისათვის კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღო დადგენილება, სთხოვოს სამაზრო ალმასკომს დატოვოს არსებული შტატი გამოჩინებულის თემში. ამას გარდა ჩვენს თემში კარგა ხანია დგას საკითხი ბაზრობის დღის შესახებ. ამის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შანიძემ, რომელმაც აღნიშნა საჯავახოს დღევანდელ ბაზრობის უხერხულობა. პარასკევს სამტრედიაშიაც არის ბაზრობა და საჯავახოშიც. სამტრედია დაცილებულია საჯავახოდან მხოლოდ 8 ვერსით, ამიტომ დღეს მთელი მასა თითქმის მიემგზავრება სამტრედიაში და ადგილობრივი ბაზარი კი რჩება ცარიელი.

კრებამ იმსჯელა ამის ირგვლივ და ყველა მოითხოვდა სხვა საბაზრო დღის დანიშვნას, ხოლო მიღებულ იქნა დადგენილება—ნაცვლათ პარასკევისა შემოიღონ კვირაობა. ყველა საბჭოს წევრებს დაევალა აწარმოონ ამის ახსნა-განმარტება გლეხებში.

ჩვენს თემში საკმაოთ მწვავეთ სდგას კონტრაბანდისთან ბრძოლის საკითხი. კრებაზე გამოირკვა, რომ ზოგი მეკონტრაბანდისტო პირები ამ თემიდანაც ეწევიან ამ საძრახ საქმეს.

საბჭომ დაავალა თვითეულ წევრს ყოველ ცალკე შემთხვევაში მიიღოს ზომები კონტრაბანდისტების წინააღმდეგ და აცნობონ შემჩნეულის შესახებ.

ხ. კ—ლი.

### ქალების ტაციაობა.

(საგურამო, დუშ. მ.)

საგურამოს თემში, სოფ. წინამძღვარიანთკარში კიდევ მოხდა ერთი მორიგი საძაგლობა, რომლის მზგავსი აქ ხშირათ ხდება.

წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის ბაღში მომუშავე 13 წლის გოგოებს, ბექაურებს, თავს დაესხნენ ბერდენკით და ხანჯლით შეიარაღებული 16 წლის ავარა მეზობლები სოლკა გულბათაშვილი და გოგრა რამედაშვილი, მათ ტყეში გაიტაცეს და გაუპატიურეს ახალგაზრდა ქალები. ერთი მათგანი, რომელიც ძალიან უძალიანდებოდა, ხანჯლითაც დასჭრეს და სცემეს. მეორე ბიჭებს ჰყოლოდათ მესამე ამქარი ქუბიაშვილი, რომელსაც მესამე გოგო უნდა წაეყვანა, მაგრამ დამთვრალიყო, რომ ველარ გაჰყვა ამხანაგებს „სანადიროთ" გამტაცებლებს; ამავე სკოლის მასწავლებლები დაედევნენ, მაგრამ ამათაც თოფი ესროლეს და უიარაღო მასწავლებლები უკან დაიფრინეს.

უბედურება ის არის, რომ ამას სისტემატიური ხასიათი აქვს.

მაგალითად გულბათაშვილის ოჯახს ეს მეხუთე მოტაცებული ქალი მოყავს სახლში, ყველა კარის მეზობლებია, ძალით წაყვანილები და ნათესავებიც კი. თვით ამათ მამასაც მოტყუებული ქალი ყავს. ერთმა ამათმა ბიძაშვილმა, მენშევიკების დროს ორი ვაჟკაცი გამოასალმა წუთისოფელს, მხოლოთ იმიტომ, რომ ამ გულბათაშვილის და თავის ნებით გაყვა მათ.

გამტაცებლები ეხლა მილიციის ხელში არიან. ხალხი საშინლათ აღელვებულია ამ ავარების ქცევით და კანონიერ სასჯელს მოელის.

საგურამოელი.

# სასოფლო მეურნეობა

## ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი

### მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე თათბირმა მოისმინა ორი მოხსენება: 1) ა.-კ. სას.-სამ. ბანკის სამოქმედო გეგმის ასრულება პირველსა და მეორე მეოთხედში და მესამე მეოთხედის გეგმა და 2) ძირითად საკრედიტო ამხანაგობებში გეგმიან მუშაობაზე გადასვლა. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მაზმანოვი და მეორეზე ამხ. ათაბეკოვი.

#### ამხ. მაზმანოვის მოხსენება

როგორც მოხსენებიდან ირკვევა, მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში, ა.-კ. სას.-სამ. ბანკს გეგმის თანახმად განზრახული ქონდა 5.200.000 მანეთის განაწილება რესპუბლიკანურ ბანკებს შორის, მაგრამ ფაქტიურად გაუნაწილებიათ 3.296.000 მანეთი. ამგვარად ადგილი ჰქონდა გეგმის შემცირებას 1.904000 მანეთით, რაც აიხსნება ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ კრედიტის 1.764.000 მან. შემცირებით.

ცალკე რესპუბლიკანურ ბანკების დავალიანება ა.-კ. ბანკის წინაშე სამეურნეო წლის მეორე მეოთხედის ბოლოში გამოიხატა 7.906.944 მანეთში, ხოლო ა.-კ. ბანკისა ცენტრალურ ბანკის წინაშე—5.424.870 მანეთში.

-ეხება რა შემდეგ მესამე მეოთხედის გეგმას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ცენტრალურ ბანკის საშუალებებიდან განზრახულია გასანაწილებლად 1.040.000 მან. ხოლო ა.-კ. ბანკის საშუალებებიდან 883.300 მან. ე. ი. სულ 1.923.300 მან., რაც აღემატება გეგმას 242.550 მან. ამ თანხიდან პირველ მაისამდე ბანკს უკვე გაუცია 1.127.300 მან.

#### ამხ. ათაბეკოვის მოხსენება

მომხსენებელი უმთავრესად ხაზს უსვამს ძირითად საკრედიტო ამხანაგობებში მუშაობის გეგმის გარეშე წარმოებას, რაც მას არანორმალურად მიაჩნია და მომავალ საოპერაციო წლიდან აუცილებელ საჭიროებად სთვლის იქ გეგმიან მუშაობაზე გადასვლას.

ამისათვის ამხ. ათაბეკოვი ა.-კ. რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენლებს უთითებს იმ ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებითაც უნდა ჩატარდეს ეს საქმე.

ამ შემთხვევაში, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რათა სას.-სამ. ბანკებმა თავის დროზე აცნობინ საკრედიტო ამხანაგობებს თავისი წლიური და კვარტალური საზღვრითი თანხების რაოდენობა, რათა ამ უკანასკნელებმა მეტის სისწრაფით შეიმუშავონ საქმიანობის გეგმები. ეს თანხები უმთავრესად უნდა ხმარდებოდეს ამხანაგობებს მიზნობრივ კრედიტების სახით და მათი საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად.

# სასოფ.-სამეურნეო გამოფენისათვის

### ფირმები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ამავე დროს ითვლება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების და მასალების მსოფლიო გამოფენად, თანდათან მეტ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში: გამოფენაში მონაწილეობის მისაღებათ ჩაწერილია მსოფლიოში განთქმული სამრეწველო ფირმები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საბჭოთა კავშირში იშოვონ თავიანთი ნაწარმოების გასასაღებელი ბაზარი. თუ რამდენათ დიდი და ფართო ხასიათის გატარებულია მომავალი გამოფენა, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს უცხოეთის 120 ფირმა, რომელთა გარდა გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ფირმები.

### გამოფენის ადგილზე

გამოფენა, როგორც გამოქვეყნებული იყო, ეწყობა დიდუბეში, სახელდობრ დოღის მოედანზე. გამოფენის კომიტეტის ცნობით, გამოფენა დაიჭერს 2 ნახევარ ვერს განითა და სიგრძით.

გამოფენის ადგილზე ამ ჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. თავდება დიდრონ პავილიონების აგება, უცხოეთის ფირმებისათვის. მოედნის შუა ადგილას უკვე აგებულია მთავარი სახელმწიფო უზარმაზარი პავილიონი, რომელიც გაჭიმულია 50 საჟენის სიგრძეზე. შენდება ელსადგური გამოფენის გასანათებლად.

### ექსპონანტები

გამოფენაზე ჩაწერილმა ფირმებმა თითქმის ყველამ გამოგზავნა თავიანთი ექსპონანტები, რომელთა ნაწილი უკვე მიღებულია და დალაგებული გამოფენის ადგილას. სავსებით ჩამოსულია ამერიკის, გერმანიის, იტალიის შვეციის და სხვა სახელმწიფოების ფირმების ექსპონანტები.

გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სინდიკატს „სელმაშს", გამოფენაზე მონაწილეობის სურვილი განაცხადა როსტოვის ფირმამ „აკკაი"-მ. გამოფენის ადგილას აგრეთვე ეწყობა სასადილოები, ბუფეტები, კინო და სხვა გასართობები. საღამოობით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

# წითელ ჯარში

## უპარტიო წითელარმიელთა მე-6 კონფერენცია

### მეხუთე სხდომა

8 მაისს, დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებები ადგილებიდან. საანგარიშო მოხსენებით 1-ლ ქ. მ. ლეგიონიდან გამოვიდა წითელარმიელი ორაგველიძე. მოხსენების წინ წაკითხულ იქნა ლეგიონის წითელარმიელთა მიმართვა კონფერენციისადმი.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მუშაობა ლეგიონში თავის სიმაღლეზე სდგას. საზამთრო მუშაობის პროგრამები გაპხორციელებულია მთელი 100%-ით. საზამთრო პერიოდამდე ლეგიონის შემადგენლობიდან 50%-მა წერა-კითხვა არ იცოდა. დღეს, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელარმიელი აღარაა ლეგიონში. საკმაოდ აწია წითელარმიელთა პოლიტიკური მომზადების დონემაც.

კულტმუშაობის წარმატებით ჩატარებაში ძლიერ გვიშლიდა ხელს ქართული ლიტერატურის სიმცირე. საერთოდ წარსულ მუშაობაში ყოფილა მრავალი წვრილმანი ნაკლი, მაგრამ მუშაობის პროცესში ყველაფერი გამოსწორებულ იქნა.

დისციპლინა ნაწილში მტკიცეა და დეზერტირობას არა აქვს ადგილი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მრავალმა დელეგატებმა.

### ამიერ-კავკასიის შესწავლა წითელ არმიაში

ჩვენ ჯარში მომუშავე მეთაურების დიდი ნაწილი და წითელი არმიელები არ იცნობენ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს. უეჭველია არის პატარა გამონაკლისი, მაგრამ მეტ წილს არა აქვს ნამდვილი წარმოდგენა ამ სახელმწიფოების ცხოვრება-ვითარებაზე, მათ წარსულზე, ეკონომიკაზე და სხვა.

შესწავლა კი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებისა აუცილებლათ საჭიროა ჯარში მყოფ ამხანაგებისათვის. ამ გზით ჩვენ ჯარს მიეცემა საშუალება დაუახლოვდეს და გააბას მტკიცე კავშირი მოსაზღვრე სახელმწიფოების წითელ ჯართან, რაც თავდებია მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სიძლიერის.

ამიერ-კავკასიის შესასწავლათ მიღებულია ზომები. ნაწილებში დაარსებულია ამიერ-კავკასიის შემსწავლელი წრეები და მოწყობილია კაბინეტები, სადაც გამოფენილია მასალა, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიის ისტორიას, ეხლანდელ მდგომარეობას, მეურნეობას და სხვა.

ნაწილების სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებებიც თავის მხრივ უწევენ დიდ დახმარებას მეთაურთ და წითელ-არმიელებს ამ საქმეში. მაგრამ მუშაობას აფერხებს სათანადოთ მომზადებულ ხელმძღვანელების სიმცირე. ძალიან ცოტაა აგრეთვე შესაფერი ლიტერატურა ქართულ ენაზე. ეს გარემოება არ აძლევს საშუალებას ამიერ-კავკასიის შემსწავლელ წრეებს აწარმოონ მუშაობა სისტემატიურათ.

აქ საჭიროა დახმარება სამოქალაქო ორგანოების. განათლების მუშაკთა კავშირს და მის სამაზრო განყოფილებებს შეუძლიან დიდი დახმარება გაუწიონ ჯარს ლექტორების გაგზავნით მოხსენებების გასაკეთებლად და ლიტერატურის მიწოდებით.

ი—ა.

# დასასვენებელ სახლების შესახებ

თბილისის დამზღვევ სალარომ შეიმუშავა და ცალკე კავშირებს დაუგზავნა მუშა-მოსამსახურეთა დასასვენებელ სახლებში გაგზავნის ახალი წესები.

ამ წესის მიხედვით ყოველი ცალკე ადგილკომი და პროფკავშირის რწმუნებული ვალდებულია კავშირის ცენტრალურ გამგეობას წარუდგინოს ყველა იმ მუშა-მოსამსახურეთა სიები (ორცალათ), რომლებსაც სურთ მოხვდენ დასასვენებელ სახლებში. სიები წარდგენილი უნდა იქნას მათი შვებულების დაწყებიდან ერთი თვით ადრე. სიებში აღნიშნული უნდა იქნას შვებულებაში მიმავლის გვარი და სახელი და აგრეთვე რომელ რიცხვიდან რამდენი ხნით მიდის შვებულებაში. ამ სიების მიხედვით ცალკე კავშირთა ცენტრალურ გამგეობებმა უნდა შეადგინონ მთლიანი სიები და გადაუგზავნონ გადამრჩევ კომისიას დამზღვევ კასის საშუალებით.

საქმეთა გადამრჩევი კომისიები დაიწყებენ მუშაობას 15 მაისიდან, შემოწმება იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე სანიტგანათლების შენობაში.

კომისიაში გატარების მსურველებმა წინასწარ უნდა ჩაეწერონ და მიიღონ ნომრები, თუ რა დღეს და რომელ საათზე უნდა გამოცხადდენ კომისიაში. ჩაწერა დაიწყება 10 მაისიდან და იწარმოებს იმავე საათების განმავლობაში და იმავე შენობაში, სადაც იმუშავებს გადამრჩევი კომისია. ჩაწერა და ნომრის მიღება კომისიაში გასატარებლათ შეუძლიათ მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც შეტანილნი არიან ზემოთ აღნიშნულ სიებში. თუ რომელიმე მუშა-მოსამსახურე რაიმე მიზეზით არ მოხვდა სიაში მისი ჩაწერა შეიძლება მხოლოდ კავშირის ცენტრალურ სამმართველოდან წარმოდგენილ საბუთებით. ის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც შეტანილ არიან სიებში, შეუძლიათ გატარდენ კომისიაში არა უადრეს 15 დღისა და არა უგვიანეს 5 დღისა ფაქტიურ შვებულებიდან. ვინც ამ ვადაში არ გამოცხადდება. არ გატარდება კომისიაში.

# ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაცია

### საქართველო

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის თანახმად საქართველოში ზაჰესის შემდეგ პირველი რიგის მსხვილ სამუშაოდ მიჩნეულია ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება მდ. რიონზე ქუთაისის ნახლობლად; ამ სადგურის აგება დაწყებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 1926—27 წლისა, სადგურის სიძლიერე იქნება 27.000 კილოვატი. ამ სადგურს ექნება საერთო-საკავშირო მნიშვნელობა.

საქართველოს ტერიტორიის დანარჩენი ნაწილის ელექტროფიკაცია განხორციელებული იქნება მთელი რიგ ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-სადგურების აგებით. ასეთებიდან უკვე შენდება და 1926—27 წლის განმავლობაში დამთავრებული იქნება აჭარის-წყალის (3.500 კილ.— 30 ვერსის მოშორებით ბათომიდან) და აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურები (35 ვერსი ახალ-სენაკიდან— 1.800 კილ.); ეს უკანასკნელი სადგური ენერგიას მიაწოდებს სამტრედიას, ახალ-სენაკს და ფოთს; შემდეგში ამ ქსელს შეუერთდება ქუთაისის ჰიდრო-სადგურიც.

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე ახალი სადგურების აგება კახეთში ალაზნის არხის წყალვარდნილზე ბაკურციხესთან და აფხაზეთში მდ. გუმისტაზე.

### აზერბეიჯანი

აზერბეიჯანში პირველად ყოვლისა განზრახულია ბაქოს სამრეწველო ცენტრის ჰიდრო-ელექტრო ენერგიაზე გადაყვანა, რადგან არსებული ელექტრო-სადგურები ყოველ წლიურად ხარჯავენ 12—15 მილიონ ფუთ ნავთს, რაც ეკონომიურად არა ხელსაყრელია. ამ რაიონის ელექტროფიკაციისათვის განზრახულია მოეწყოს მძლავრი ჰიდრო-ელექტრო სადგური მდ. არაქსზე. ეს სადგური გამოყენებულ იქნება აგრეთვე მტკვრის მიდამოების მექანიკურ მორწყვისათვის. 100.000 დეს. მიწა იქნება მორწყული და გამოყენებული ბამბის კულტურისათვის.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა აზერბეიჯანისათვის არის განჯის რაიონის ელექტროფიკაცია. სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო გეგმის მიხედვით განჯაში უნდა შეიქმნეს მძლავრი ბამბის, ზეთის და მაუდის მრეწველობა. უკვე აშენებულია მაუდის ქარხანა, შენდება საქსოვი ქარხანა. ამ მრეწველობის ელექტროფიკაციისათვის საჭიროა მაგნიტ-რკინის მადნის დასამუშავებლად ელექტრო-ენერგიის მიწოდება. ყოველივე ამის გამო გეგმით განზრახულია ჰიდრო-სადგურის აგება მდ. ტერტერზე.

ამის გარდა, განჯისათვის აშენებულ იქნება ორი მცირე სადგური—ერთი ელენდორფთან და მეორე ზურნაბადის ჭირის საწინააღმდეგო სადგურთან. აზერბეიჯანში აგებული იქნება აგრეთვე ნუხის სადგური (მდ. კონჩაიზე) და ლენქორინის სადგური (მდ. ტიანგურიუზე).

# სასამართლო

### მანუფაქტურის მოყვარული კაცი

სასამართლომ ნიკოლოზ მიშელაძეს, არტემ ბერიაშვილს და ნერსეს ქვრივიშვილს ამიერ-კავკასიის რკინისგზების საწყობიდან მანუფაქტურის მოპარვისათვის მიუსაჯა 2 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით, ხოლო გრიგოლ ბურძალაძე, გიორგი რთველაშვილი და გაბრიელ ახალკაციშვილი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გაამართლა.

### გაუფრთხილებლობის მსხვერპლი

წინასწარი გამოძიება ეტმან გიგოლაშვილის საქმეზე დასრულდა. საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

გიგოლაშვილს ბრალათ ედება მოქ. ჩიჩიანცის ბავშვის გასრესა ტრამვაით.

წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა რომ გიგოლაშვილს არ მიუცია გამაფრთხილებელი ნიშანი ბავშვისათვის.

### მარგარიტა ლოლუას საქმე

ამ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა მარგარიტა ლოლუას საქმე.

მარგარიტა ლოლუას ბრალად ედება საკავშირო თანხების გაფლანგვა და ყალბი საბუთების შედგენა სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკურ ტრესტის № 2 მაღაზიის მოლარეთ ყოფნის დროს.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ ყალბ საბუთებს ადგენდა სალაროში დანაკლისი თანხის დასაფარავად.

### ძალაუფლების გადამეტებისათვის

ამ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიის მიერ ქ. გორში დაიწყება: სანდრო ივანეს ძე ეშმაკურაშვილის, ვლადიმერ გიორგის ძე ნადირაძის და შაქრო ივანეს ძე ბაციკაძის საზოგადოებრივ საჩვენებელი გასამართლება.

ს. ეშმაკურაშვილს ბრალი ედება ხელისუფლების გადამეტებაში, ხოლო ნადირაძეს და ბაციკაძეს კი—ეშმაკურაშვილის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

საგამომძიებლო დასკვნით—მთავარ ბრალდებულ ეშმაკურაშვილს მოელის უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

### განაჩენი დავით კიკაჩეიშვილის საქმეზე

8 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებული კიკაჩეიშვილი ცნობილ იქნა დამნაშავეთ და მიუსაჯა 1-ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა. ამიერ-კავკასიის რკინისგზის სატრანსპორტო კოოპერატივის მიერ წამოყენებული სამოქალაქო ძიება 3181 მან. და 52 კაპ. რაოდენობით დაკმაყოფილებულ იქნა.

# პატარა ფელეტონი

## ახალი ქალ-ვაჟიანი

ანუ

### მიწერ-მოწერა ბალდუინსა და პიუს შორის

> ბალდუინმა მიმართა წერილით ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს თავმჯდომარეს პიუს:
> „მისი უდიდებულესობის მთავრობა ჰფიქრობს და სხ."...
> პიუმ წერილითვე უპასუხა ბალდუინს:
> „მუშებისთვის არაჩვეულებრივი არაფერია იმაში, რომ ისინი იცავენ თავიანთ ინტერესებს და სხ."...
> (დეპეშებიდან.)

პიუ ჩემო, წერილსა გწერ
და გცნობ ისევ იმ ძველ პიუთ
უტკივარი სატკივარი
რისთვის უნდა ავიტკივოთ?!.
შენ სატრფო და მე მიჯნური,
ეს მოვლენა არის ხშირი,
ღმერთმა ნუ ქნას, რომ ერთმანეთს
გვაშორებდეს ქვანახშირი!
ამ ამბებით მეფე ჩვენი
სწუხს და ვხედავთ მას შეუძლოთ,
რა იქნება, შე ურჯულოვ,
ცოტა ხელფასს რომ დაუკლოთ?!..
შენი—ჩემი სიყვარული
დიდი ხნიდან ჩასკვნილია,
მწყინს, რომ საქმე ქვანახშირის
ასე ცუდათ დაფუშვნილია!..
თუ რომ ჩემი თავი გინდა,
შემეყაროს შენი პირი,
წყლული გულის მოსარჩენად
არ მომკლა ქვანახშირი!..

**პიუს პასუხი ბოლდუინისადმი.**

მოგეწერა, წავიკითხე:
შენი წიგნი, ჩემი ჭება.
რაც რომ გინდა, შეგისრულდეს,
უკეთესი რა იქნება?!...

წყალობა და მოწყალება
თუმც ორივეს მეფის გვფარავს,
მაგრამ მუშა, გაფიცული,
სდგას განზე და ჩიბუხს გნარავს!..
მას მეფის არ ეყურება,
შენ რომ ჰფიცავ იმის წაღებს,
ხელფასსა და ფულებზე
ედავება თავის ალებს!..

თუ დასთმობენ ნებით, კარგი,
თუ არა და, ჩვენი დავა
თუ ძალაზე გადავიდა,
მაშინ საქმე ცუდათ წავა!..

თუ ჩვენს ნახშირს ასე ნდომობ,
გეფიცები ჩემს სიყვარულს,
ერთ კენჭს ნახშირს არ მოვუშვებთ
სხვა ქვეყნიდან შემოპარულს!..

ალა—ბალებს ლოკაუტზე
ჩვენ გაფიცვით ვუპასუხებთ,
შეგეყაროს მისი პირი,
მეფეს ამით თუ ვაწუხებთ!..

და უშორეს ამისგან,
გენაცვალოს ჩემი თავი,
ქვანახშირმა რომ გაგვყაროს,
არ დამრჩება დაუწვავი!..

ონისიმე.

### ჰინდენბურგმა დაიკვეხა

ჰინდენბურგმა დაიკვეხა:
ვერვინ მოვა ჩემზედაო;
ლიგაშიაც გამომშვეს,
წამოვდგები ფეხზედაო!
კვლავ „დოიჩლანდს" ავამღერებ
გამარჯვების ხმებზედაო.
ვილჰელმს ჩემთან დაუძახებ
შევსვამ მაგარს მხრებზედაო;
ჩუმად ტახტსაც დავუბრუნებ,
მას არ გავცვლი სხვებზედაო,
გავიხედე ზღვებზედაო,
ვილაც მოდის ჩემზედაო.
ამერიკა მოცურავდა
უშველებელ გემზედაო,
საფრანგეთი მომისია,
ვერ გავექეც გვერდზედაო,
მე ლიგაში მომაწყვდიეს,
აღარ ვიყავ ფერზედაო.
გამწიეს და გამომწიეს,
როგორც ბრძოლის ველზედაო,
ჩემს იარაღს ვნატრულობდი
აღარ მერტყა წელზედაო.
დამანელეს, გამატყავეს,
ირეოდენ ვერცხლზედაო.
გამფცქვნეს, როგორც კარტოფილი,
ძვლებს იმტვრევდენ ცერზედაო.
ოქრო-ვერცხლი რომ არ ეყოთ,
წაღებს მხიდნენ ფეხზედაო.
მეთექვსმეტე მუხლი მიგდეს,
ჩამომკიდეს ცეცხლზედაო
ტანსაცმელი რომ გამძრეს
დამცხეს შიშველ წელზედაო.
შერცხვეს მათი ყაჩაღობა
დღისით შარა-გზებზედაო.
კუკუ მკრეს და გამომაგდეს,
მაფურთხებდენ წვერზედაო!

ფილო. ლომია.

# ქრონიკა

### საქონლის ფასების დაკლებისათვის

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ ა. წ. 8 მაისს აირჩია კომისია, რომელსაც ევალება საცალო ფასების დაკლების ხელმძღვანელობა. კომისიაში შედიან: მამია ორახელაშვილი (თავმჯდომარე), ერქომაიშვილი და ბალდინი (თავმჯდომარის მოადგილეები) და წევრებათ: ივანიანი. ვაჟინსკი, მ. ტოროშელიძე და შეფცელი.

### მანუფაქტურა ამიერ-კავკასიას

„ზაკსოიუზმა" საკავშირო საფეიქრო სინდიკატთან დასდო ახალი ხელშეკრულება ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის 50 ვაგონი ბამბეული მანუფაქტურის მოწოდების შესახებ. აღნიშნული მანუფაქტურა 6 თვის განმავლობაში უნდა იქნეს გამოგზავნილი.

### მტკვრის დონე

4 მაისს მტკვრის დონე უდრიდა 2 მეტრს და 30 სანტ. 5-დან მდინარემ იწყო კლება. ამ დღეს მისმა დონემ დაიწია 2 მეტრ. და 17 სანტ. და 6-ს 2 მეტრს და 17 სანტ. 7 მაისს მდგომარეობა კვლავ შეიცვალა და წყლის დონეს დაეტყო მატება. 7-ს იგი ავიდა 2 მეტრ. და 20 სანტ. და გუშინ მიაღწია 2 მეტრს და 30 სანტ.

ამ უკანასკნელ დღეებში ამინდს საგრძნობი დათბობა დაეტყო და მოსალოდნელია მდინარის კიდევ უფრო ადიდება.

### სახელ. უნივერსიტეტში

პედაგოგიურ ფაკულ. კურს დამთავრებულთათვის გამოცდები იწარმოებს ა.-წ. 15 მაისიდან—15 ივლისამდე. განცხადება მიიღება 10 მაისამდე. აგრონომიულ ფაკ. კურს დამთავრებულთათვის სახელ. გამოცდ. იწარმოებს 20 მაისიდან 1 ივნისამდე. განცხადება მიიღება 17 მაისამდე.

### საქართველოს მონადირეთა ყრილობა

9 მაისს თბილისში გაიხსნება საქართველოს მონადირეთა მეოთხე ყრილობა. ყრილობა მოწვეულია საქართველოს მონადირეთა კავშირის მიერ. ყრილობაზე ჩამოვიდა კავშირის 22 განყოფილების წარმომადგენელი. ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ცენტრალურ საბჭოს, ამხანაგურ დისციპლინარულ სასამართლოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში. ყრილობის მიერ მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: საექსპორტო ბეწვეულის დამზადების, ნადირის დაცვის და მეთევზეობის რაიონების დაცვის შესახებ

### ანარიცხები დასასვენებელ სახლებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებული იქნეს ზომები მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ 23-24 წლის ანარიცხების მოსაგროვებლად. ეს თანხა, თანახმად პრეზიდიუმის დადგენილებისა, უნდა მოხმარდეს დასასვენებელ სახლებს დამატებითი საწოლების დასაქირავებლად და მუშა-მოსამსახურეთა გასაგზავნათ.

საწოლების განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ როგორი შემოსავალი აქვს ამა თუ იმ კავშირს მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდში.

### სოციალური უზრუნველყოფა

**გაცემული დახმარების რაოდენობა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით: პირველ იანვრიდან პირველ მაისამდე ინვალიდებს და ღარიბებს ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა დახმარება მისცა ფულათ 577 მან. და წამალი 599 მანეთის, შრომით დახმარება აღმოუჩინა ქვრივ-ობლებს 85 სამუშაო დღის და ცეცხლიდგან დაზარალებულ ორ ოჯახს ფულათ მისცა დახმარება 350 მანეთი.

**დამზღვევ სალაროზე გადარიცხვა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდგან თბილისის დამზღვევ სალაროზე გადაირიცხა 20 სამოქალაქო ინვალიდი და 135 შრომის ინვალიდი, რკინის-გზის დამზღვევ სალაროზე გადაირიცხა 9 შრომის ინვალიდი.

### ახალი ფაბრიკები

სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო წარმოებათათვის საჭირო კაპიტალურ თანხების ხარჯთ-აღრიცხვა 1925-26 წლისათვის. ახალ ფაბრიკა ქარხნების ასაგებათ წელს გადადებულია 4.089 ათასი მანეთი. ამ თანხიდან 2.200.000 მანეთი უნდა მოხმარდეს ახალი ქარხნების აგებას სატყეო მრეწველობაში; 600.000 მან.—ქაღალდის ფაბრიკას, რომელიც აგებულ უნდა იქნეს ზნზიათან (აფხაზეთი) ან შამონის რაიონში (სამეგრელო) მაუდის ფაბრიკის ასაგებათ თბილისში 600.000 მანეთი. 464.000 მანეთი გადადებულ იქნება 2 აბრეშუმის სახვევ ფაბრიკის გადასაკეთებლად თელავში და ხონში და აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის ასაგებათ ოზურგეთში. ბარიტის წისქვილის მოსაწყობათ განზრახულია გადაიდოს 225.000 მანეთი.

### ეკონომიის რეჟიმი

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა ტრესტებს შეამცირონ ყოველგვარი ხარჯები. ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს მხოლოდ განსაკუთრებით საჭირო შემთხვევებში. სახელმწიფო მრეწველობის სამმართველოს და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ სამმართველოს წინადადება მიეცა გადასინჯონ ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო კაპიტალურ თანხების ხარჯთ-აღრიცხვა.

### სწავლის შეწყვეტა

საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა 6 მაისის სხდომაზე დაადგინა: 9 ივნისიდან შესწყდეს მეცადინეობა 1-2 საფეხურის შრომის სკოლებში, ტეხნიკუმებში და მუშფაკში. 1—25 ივნისამდე ჩატარდეს საერთო გამოცდები ტეხნიკუმებში, მუშფაკში და შრომის სკოლების 7-8 ჯგუფებში.

### თბ. ალმასკომში

— **სავაჭროების გაღების დრო.** თბ. ალმასკომის დადგენილების თანახმად, კერძო სავაჭროები დღეიდან უნდა გაიღოს და დაიხუროს ზამთრის სეზონთან შედარებით 1 საათით ადრე.

— **კეთილმოწყობა.** თბ. ალმასკომმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მაზრაში კეთილ მოწყობის საქმეზე დახარჯა 394,097 მან.

### უმაღლეს სამეურნეო საბჭოში

— **კრამიტის ქარხანა.** უმაღ. სამეურნეო საბჭო ამ დღეებში დაამთავრებს ქსანის კრამიტის ქარხნის შეკეთება-გაფართოებას.

— **ბაღდადის და შამტონის** ხე-ტყის სახერხ ქარხნებისათვის უმ.-სამ. საბჭომ საზღვარ-გარეთიდან გამოიწერა 512 ათასი მანეთის მანქანები.

— **ახალი ქარხანა.** სატყეო მრეწველობის ტრესტთან ერთად საბჭოს განზრახული აქვს ქსანში ააგოს ხე-ტყის სახერხი ახალი ქარხანა.

### კოოპერაცია

— **ნარმა.** ა.-კ. კოოპ. კავშირმა წელს ამიერ კავკასიაში შემოიტანა 300 ათასი მეტრი ნარმა.

— **აჭარისტანის** ცეკავშირი ამ დღეებში მიიღებს მაზრის კოოპერატივებისათვის გასანაწილებლად 40 ათას მეტრ ფართალს.

— **აბრეშუმის პარკი.** ა.-კ. კოოპ. კავშირმა მილანიდან მიიღო დაკვეთა 10.000 ფ. აბრეშუმის პარკის გაგზავნის შესახებ.

— **მატყლი.** ცეკავშირი ამ ჟამად აწარმოებს გაზაფხულის მატყლის დამზადება-გასაღების საქმეს.

— **წარმოკავშირი** წელს საქართველოში სთესავს 610 დესეტინაზე კანაფს.

— **საზოგადოება „შერსტი"-სათვის** წარმოკავშირი ამზადებს 30 ათას ფუთ მატყლს.

### სხვადასხვა

— **თბ. ქალაქის ბანკი** 15 მაისს სოხუმში გახსნის თავის განყოფილებას.

— **საფეიქრო სინდიკატის** თბილისის განყოფილება მაისის განმავლობაში მიიღებს 17 ვაგონ ფართლეულს.

— **მებამბეობის კომიტეტის** ცნობით აფხაზეთში წელს დაითესება 3 ათასი დესეტინა ბამბა.

— **თამბაქოს დამზადება.** მარტის განმავლობაში დამზადებული იქნა საზღვარ-გარეთ გასასაღებლათ 120.000 ფუთი თამბაქო.

— **„ხელოსნობა თბილისში"** გამოვიდა. გ. გამყრელიძის შრომა „ხელოვნება თბილისში", გამოცემა პროფკავშირების კოოპერატიულ გამომცემლობა „შრომა"-სი.

### თბილისის ბირჟა

თბილისის ბირჟის საერთო ბრუნვა აპრილში მარტთან შედარებით საგრძნობლათ გაიზარდა. სახელდობრ ეს ბრუნვა გამოიხატა თვის განმავლობაში 10.700.000 მანეთში, რაც გვიჩვენებს მატებას 3.300.000 მანეთით, ანუ 44,6 პროცენტით.

### შემთხვევები

— **დახრჩობა.** 7 მაისს მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო 13 წლის ბავში პეტრე გოსაძე.

— **დაშავება.** ზაჰესში 6 მაისს „ვაგონეტკამ" სასიკვდილოთ დაშავა მუშა ივანე ქავთარაძე.

— **ჩამოხრჩობა.** 5 მაისს სოფ. ტატანოვკაში თავი ჩამოიხრჩო პელაგია დომჩენკომ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **გაძარცვა.** 7 მაისს დილით ნავთლუღის გზაზე გაძარცვეს სტეფანე ბადიანცი. მძარცველი შეიპყრეს.

— **ჰაეროდრომიდან** 7 მაისს მოიპარეს 170 მანეთის ნივთები.

— **ქურდი ცოლი.** 7 მაისს (საპიორის შეს.) პავლე არტამანოვს მისმა ცოლმა მოპარა 100 მან. ნივთები.

— ამავე დღეს 1-ლი პარალელური ქ. № 14 გაქურდეს მოქ. ყაზაროვის ბინა.

— **დამნაშავეთა შეპყრობა.** 8 მაისის ცნობებით თბილისში და მის მაზრაში გახსნილი იქნა 7 ბოროტმოქმედება. დამნაშავეთა ნაწილი შეპყრობილია.

### შესწორება

ჩვენი გაზეთის № 92, 24 აპრილის თარიღით გამოცხადებულია, რომ სახალხო სასამართლომ ლადო ნიკოლაიშვილს ხულიგნობისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა; ზემოხსენებული ნიკოლაიშვილი არ არის ლადო (ვლადიმერ) ივლიანესძე ნიკოლაიშვილი (ასკანელი).

# ბიბლიოგრაფია

## ილია ჭავჭავაძე ტ. 1. ლექსები და პოემები

გამომცემლობა „ქართული წიგნი" 1925 წ. გვ. 471; 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „ქართულ წიგნს" განუზრახავს გამოსცეს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა სრული კრებული. დღემდე ილიას შემოქმედების სრული კრებული არ ყოფილა გამოცემული. უკეთ, გამოცემული იყო მხოლოდ მისი მხატვრული შემოქმედება (1892 წ. ქართველთა ამხანაგობის მიერ ოთხ ტომად, 1914 წ. ექ. მ. მელვინიშვილის მიერ ერთ ტომად) მაგრამ ილია არა მარტო მხატვარი შემოქმედი არის, არამედ ნიჭიერი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწეც. მას ქართულ საზოგადოებრივ ისტორიაში მეტად დიდი ადგილი უჭირავს.

ილია ჭავჭავაძე ერთგვარი სინტეზი არის გასული საუკუნის ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა: მასში, როგორც კოლეიდოსკოპში თავს იყრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა ნაკადულები. ერთის მიხედვით ეს პარადოქსად ეჩვენება მკითხველს, მაგრამ საკმარისი არის ავიღოთ მთლიანად ილიას მხატვრული შემოქმედება და მისი პუბლიცისტური ნაწერები, რომ დავრწმუნდეთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მრავალფეროვანებისა და მისი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის სრულიად საწინააღმდეგო მოტივებში. ილია ჭავჭავაძის ლირას აცნესებს მუსიკის შემოქმედებიდან მომჩქეფარე ეროტიკა, რომელიც მე-19-ტე საუკ. პირველ ნახევარში უმაღლესამდე განავითარეს ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა. მეორე მხრივ მის ლირას მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ გადაიქცა იმავე მე-18-ტე საუკუნის წიაღიდან მომდინარე პატრიოტული მოტივები; ამ მხრივ ილიას წინამორბედია დ. გურამიშვილი, ხოლო მისი უშუალო მასწავლებელნი: გრ. ორბელიანი და ვახ. ორბელიანი. ამ ორი პოეტის შემოქმედებიდან ისესხა ილიამ თავისი ეროვნული სიმღერის ლირიკული ჰანგები. საქართველოს წარსული ცხოვრების იდეალიზაცია, აწმყოს შესახებ წუწუნი და გოდება, ხოლო იმავ დროს მომავლის იმედებით შემოსვა. ილია შორს არ სდგას ბარათაშვილის ლირის კაეშნიან გამოძახილისაგან. მასზე უშუალო გავლენა მოახდინა დ. ჭონქაძის პროტესტანტულმა სულმა. ხოლო საერთო მასშტაბით ილია პირველ ხანებში ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და მესამოცე წლების რუსეთის ლიბერალურ და დემოკრატიულ აზროვნების გავლენის ქვეშ იდგა ქედმოხრილი. ამ ნაკადულიდან ილიამ ისესხა სოციალური ხასიათის მოტივები და „შრომის სუფევის" შესახებ დაიწყო მღერა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ილია აქ არ შეჩერებულა. მან განიცადა უშუალო გავლენა იმ სოციალური წრისა, საიდანაც ის გამოვიდა და რომელიც მე-19 საუკ. 80-იან წლებშივე გადამწყვეტ როლს თამაშობდა ჩვენი ცხოვრების ზედა ფენებზე; ჩვენ ვგულისხმობთ გასულ საუკუნეებში შემუშავებულ თავად-აზნაურულ პოლიტიკას. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის უშუალო პოლიტიკოსი პედაგოგი არის დიმიტრი ყიფიანი. და მისი წმინდა თავად-აზნაურული კონსერვატიული პოლიტიკა სარჩულად უდევს ილიას, განსაკუთრებით უკანასკნელი პერიოდის, მოღვაწეობაში. რით გინდათ აეხსნათ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის ასეთი მრავალფეროვანება, და საწინააღმდეგო მოტივები? ამის უმთავრესი წყარო ჩვენ უნდა ვეძიოთ მაშინდელ საქართველოს ობიექტურ სინამდვილეში, მის სოციალ - პოლიტიკურ წყობილებაში.

ვორონცოვის მოღვაწეობამ ქართულ საზოგადოებრიობას ორის მხრივ დააჩნია დაღი: ვორონცოვი რუსეთის სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი იყო ჩვენში და მთელი მისი პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ფართო ბაზარი გაეხსნა სავაჭრო კაპიტალისათვის საერთოდ მთელს ამიერ - კავკასიისა და კერძოდ საქართველოში. ამ მხრივ მისმა მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღო: გზების გაყვანით, ეკონომიური ღვაწლობით, რუსეთის ვაჭრების მოწვევით, ქართველ თავად - აზნაურების ევროპიულ ცხოვრების ქსელში ჩაბმით ვორონცოვმა ხელი შეუწყო ქართული ცხოვრების პატრიარქალურ კარჩაკეტილობის დარღვევას, მეორე მხრით მისმა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო იმ მხრივ, რომ ქართული კულტურული ძალები შემოკრბენ და ეროვნული კულტურისათვის ორგანიზმი შეიქმნა (თეატრი, ჟურნალი.) ბატონყმურ საქართველოს საზოგადოებრივ ფონზე საპატიო ადგილი მოიპოვა ფულის ინტერესმა. ამ ეკონომიურმა ფაქტორმა გამოიწვია ქართველ თავად-აზნაურთა ნაწილის გადახალისება. მათი ახალი ფაქტორებით დაინტერესება. (იხ. ალ. ოსმილინის წერილი 1859 წელს „ცისკარში".).

ამრიგად თავად-აზნაურულ პატრიარქალურ ოჯახში განხეთქილება მოხდა. მასში ახალი ნაკადული შეიჭრა. ახალი ეკონომიური პროგრამა დაისახა სამოღვაწეოდ. ფული შეიქმნა მათი იდეალი. ხოლო ფულის იდეალმა გამოიწვია პოლიტიკური ლიბერალიზმი. ეს პერიოდი ხასიათდება ქართ. თავ. აზნაურობის ნაწილის გალიბერალებით, მისი ბურჟუაზიული ეკონომიის მხარეზე გადასვლით.

ილია ჭავჭავაძე ამ ეპოქის ღვიძლი შვილი არის. თუ მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აზროვნებაზე გავლენას ახდენდა მე-60 წლების ლიბერალური და დემოკრატიული მისწრაფებიანი მის პირდაპირ უშუალო მშობლიურ სამოს წარმოადგენდა ის ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელმაც შეიგნო ფულის მნიშვნელობა და მისი ინტერესი. ეს არის ასე ვსთქვათ გარდამავალი პერიოდი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, როდესაც ნატურალური ფორმა წარმოებისა უკვე შერყა, მაგრამ ახალი ფორმის მხოლოდ ნიშნებილა ჩანდა. ასეთ გარდამავალ პერიოდში ახალი კლასის წარმომადგენელთ ყოველთვის ებნევათ გზა. აბნეულობა, გაურკვევლობა, მერყეობა, პოლიტიკურ რადიკალიზმსა და პოლიტიკურ კონსერვატიზმს შორის ქანაობა. მით უფრო ეს დამახასიათებელი მომენტები არის ძველი წოდების წიაღიდან გამოსულ პირებისთვის.

ილიამ, როგორც დიდბუნებოვანმა ადამიანმა ყველაზე უფრო მძლავრად შეისუნთქა ეპოქის სული და ყველაზე უფრო ნათელი ფერადებით გამოსახა მისი სახე. პოეზიაში ილია ზოგან პოლიტიკურ რადიკალიზმამდე მიდის, ხოლო პრაქტიკულ ცხოვრებაში პოლიტიკური მოღვაწეობის ფონზე ჭავჭავაძე არასოდეს არ გასცილებია ბურჟუაზიულსა და ხშირად თავად-აზნაურულ პროგრამასაც. პოემა „აჩრდილის" რადიკალიზმი სავსებით დაფარული და დაჩრდილული არის ილიას პოლიტიკური აზროვნებით და მისი პრაქტიკული მოღვაწეობით. ილია — პოეტი თავისუფლებას უგალობს, ილია — პუბლიცისტი და საზოგადოებრივი მოღვაწე კლასებისა და წოდების თანამშრომლობას იცავს, **არსებითად კი გაბატონებული კლასების სოციალ - პოლიტიკურ იდეალებს გამოხატავს.**

ილიას საზრუნავი საგანი, მისი შემოქმედების მთავარი მოტივი—ერი და ეროვნული ცხოვრება არის. მაგრამ მას არასოდეს არ ჰქონია სწორი ეროვნული პროგრამა. გარკვეული პოლიტიკური ხაზი საქართველოს საკითხების მოსაწესრიგებლად, ხოლო 70-იან წლებიდან გარკვევით დაადგა რუსეთის მონარქიასთან ალექსანდრე მე-3 რეაქციონურ პოლიტიკასთან მორიგების გზასა და უკანასკნელ წლებში ძლივს დაუჭირა მხარი საქართველოს კუდმოკვეცილ ავტონომიის მოთხოვნას. მაგრამ ილიას საქართველო რამოდენიმე ათეული წლებით ჩამორჩა თანამედროვე საქართველოს, ხოლო მისი სოციალ - პოლიტიკური იდეალები თანამედროვე პირობებში ანაქრონიზმს წარმოადგენს. ერთი სიტყვით ილიას არც გარკვეული პროგრამა ჰქონდა საქართველოს საკითხის მოსაწესრიგებლად, და არც სწორი საშუალებანი. მისი ეროვნული გოდება და კვნესა არსებითად გამოხატავდა იმ სოციალურ წრეების კვნესას, რომელთაგანაც ერთი (თავ.-აზნ.) გადაშენების გზას ადგა, ხოლო მეორე (ბურჟუაზია) ვერ პოულობდა თავისუფალ სარბიელს საქართველოში შექმნილ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობების გამო. ამ წრეებს არ შეეძლოთ საქართველოს განთავისუფლება და კულტურულ-ეკონომიური აყვავება. ეს მისია საქართველოს ისტორიამ დააკისრა იმ კლასს, რომელიც მე-19 საუკ. მე-2-რე ნახევ. წარმოიშვა და რომელიც ერთად ერთი იყო დაინტერესებული ყოველგვარი მონობის მოსპობაში.

**ილიას საქართველო არ არის ჩვენი საქართველო. ილიას სოციალ - პოლიტიკური იდეალები არ შეადგენს ჩვენს იდეალებს. ამჟამად ჩვენ ილიასთან არავითარი შემაკავშირებელი ხაზი არა გვაქვს.**

მიუხედავათ ამისა ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა მაინც სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს იმ მოსაზრებით, რომ ფარდას ხდის ჩვენი წარსული ცხოვრების ერთ უდიდეს ეპოქას, როდესაც ჩვენმა ხალხმა ფეხი მოიკიდა სამოქალაქო ცხოვრების სარბიელზე და ევროპიული ცხოვრების კულტურულ ნაკადულებს დაეწაფა. დღეს ქართველი ახალგაზრდობა დაინტერესებული არის ჩვენი წარსულით. რაანი ვიყავით მაშინ და როგორ ვითარდებოდა ჩვენში საზოგადოებრივი აზრი. ამ მხრივ ქართულ ძველი კლასიკების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

კერძოდ აღნიშნული 1—ტომი საინტერესოდ არის გამოცემული და საკმაოდ ვრცელი კომენტარიები და შენიშვნები საშუალებას გვაძლევს ილიას შემოქმედების პროცესის გასაცნობად. დამახასიათებელი არის აგრეთვე ცენზორის მიერ დამახინჯებულ ადგილების აღდგენა. გამოცემა აკადემიური ხასიათისაა და უფრო სრული და საინტერესო, ვინემ წინად გამოშვებული გამოცემანი. მხოლოდ ფორმა სრულიად არ შეეფერება აკადემიურ გამოცემას.

მოსული.

## ა. ერქომაიშვილი კოოპერაციის თეორია და ისტორია

ცეკავშირის გამოცემა 1925 წ.

ქართული კოოპერატიული ლიტერატურა მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქმნება; ჯერ-ჯერობით ის ღარიბია და ზოგიერთი საკითხები სრულებით გაუშუქებელია. ეს ითქმის განსაკუთრებით კოოპერაციის პრაქტიკული საქმიანობის და მისი მუშაობის მეთოდების შესახებ.

ამ ნაკლის შევსებას სცდილობს ცეკავშირი, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეუდგა მთელ რიგ სახელმძღვანელოების გამოცემას სამომხმარებლო კოოპერაციის საკითხებზე. რაც შეეხება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას, სამწუხაროთ ამ დარგში ქართულ ენაზე არაფერი მოიპოვება.

ცეკავშირმა წარსულ წელში სხვათა შორის გამოუშვა ამხ. ა. ერქომაიშვილის წიგნი „კოოპერაციის თეორია და ისტორია", რომელშიაც ავტორი მარქსისტული თვალსაზრისით აშუქებს კოოპერატიული მოძრაობის ისტორიას. წიგნის გამოსვლას ქართულ ენაზე დიდი თანაგრძნობით შეხვდება საბჭოთა კოოპერაციის ყოველი მუშაკი, მიუხედავათ წიგნის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლულევანებისა.

წიგნი დაყოფილია რვა ნაწილად და მასში განხილულია კოოპერატიული მოძრაობის განვითარება რობერტ ოუენიდან ჩვენ დრომდე. ამხ. ერქომაიშვილის ანალიზიდან ცხადია, „რომ კოოპერაციის განვითარება შესაძლებელია განსაზღვრულ ეკონომიურ პირობებში, რომელიც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის კოლექტიურ ფორმათა განვითარებას. (გვ. 221).

წიგნში განხილულია შემდეგი თეორეტიკოსების და კოოპერაციის მუშაკების შეხედულებანი: რობერტ ოუენი, ვილიამ კინგი, შარლ ფურიე, ბიუშე, როჩდელის პიონერები შულცე-დელიჩი, რაიფაიზენი. ნიმის სკოლა, ჰამბურგის მიმართულება და შემდეგ: ფ. ლასალი კოოპერაციის შესახებ, სახელმწიფო და კოოპერაცია მარქსის თვალსაზრისით, რევიზიონიზმი და კოოპერაცია ლენინის თვალსაზრისით, კოოპერაცია და პოლიტიკური პარტიები, კოოპერაცია და პროფკავშირები. ამის შემდეგ წიგნის 305 გვერდიდან გაშუქებულია სამომხმარებლო და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ისტორია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

სამწუხაროდ, წიგნში სრულებით არ არის გაშუქებული რუსეთის კოოპერაციის ისტორია, რომელიც ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს. მაგრამ რუსეთს თავი დავანებოთ. ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ძველად საკრედიტო კოოპერაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ის მასიურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, მიუხედავათ მრავალი მისი ნაკლულევანებისა, რაც აიხსნება იმდროინდელი საერთო პირობებით. ამ დარგის კოოპერაციის ისტორიაზე ვერაფერს ვერ იპოვით ამხ. ერქომაიშვილის წიგნში.

„1917 წლის რევოლიუციამდე საქართველოში სულ რამდენიმე კოოპერატიული ორგანიზაცია მოიპოვებოდა"-ო,—სწერს ავტორი. არ არის ეს სწორი და ამას თვით ამხ. ერქომაიშვილის წიგნის 308 გვერდზე ვხედავთ, სადაც ის ამბობს: „1916 წლის ბოლოს ქუთაისში მოწვეულ იქნა ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო **91 მომხმარებელი საზოგადოება**" (ხაზი ჩემია). 1916 წელში თუ 91 მომხმარებელი საზოგადოება არსებობდა მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, ალბათ მთელ საქართველოში მათი რიცხვი ვაცილებით მეტი იქნებოდა, და თუ სხვა სახის კოოპერატივებსაც დაუმატებთ, მაშინ ხომ კიდევ უფრო გაიზრდება ეს რიცხვი!

სამომხმარებლო კოოპერატივების გარდა, 1917 წ. საქართველოში ირიცხებოდა 368 საკრედიტო ამხანაგობა, რომლებიც, თუმცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხოლოდ ერთ სახეს წარმოადგენდენ, მაგრამ საკრედიტო ფუნქციებთან ერთად ისინი საშუამავლო ფუნქციებსაც ასრულებენ. ეს არ უნდა დავიწყებოდა ამხ. ერქომაიშვილს, როდესაც ის საქართველოს კოოპერაციის ისტორიას იხილავდა. მით უმეტეს არ ეპატიება ავტორს იმის მტკიცება, თითქო 1917 წლამდე საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კოოპერატიული ორგანიზაცია არსებობდა.

პირიქით, 1917 წლის რევოლიუციის დასაწყისში საქართველოში კოოპერაცია საკმაოდ ღონიერი იყო და რევოლიუციონური პარტიებიც მას დიდ ყურადღებას უთმობდენ. ცეკავშირი წელს 10 წლის იუბილეს გადახდას აპირებს (1916 წ. დაარსდა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი, საიდანაც წარმოიშვა ცეკავშირიც) და 10 წლის წინეთ თუ არაფერი არ არსებობდა, მაშ იუბილე ვის და რას უნდა გადაუხადოთ?! სულ სხვა არის მაშინდელი კოოპერატიული მოძრაობის კლასობრივი ბუნების ანალიზი და სულ სხვა არის იმის თქმა, თითქო 1917 წლამდე საქართველოში კოოპერაცია არ არსებობდა!

საერთოდ, შეიძლება უმჯობესი იქნებოდა წიგნი იმ ფორმით და იმ სახელწოდებით გამოსულიყო, როგორითაც იგი გამოვიდა რუსულ ენაზე: „История кооперативной мысли". ქართულად წიგნი შეიცავს 378 გვერდს და ღირს 2 მან. 50 კაპ.

ახალი.

## „Большая Советская Энциклопедия"

როგორც საბჭოთა მთავრობა, ისე პარტია, დღეს დიდ ყურადღებას აქცევს რევოლიუციის საკითხებს კულტურის დარგში. მით უფრო ინტერესი უნდა გამოიწვიოს **საბჭოთა დიდმა ენციკლოპედიამ**, რომლის პირველი ტომი ამასწინად გამოვიდა. ის ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურის განვითარებას.

არის თუ არა **საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის** გამოსულ და დამზადებულ ტომებში ნაკლი, შეცდომა, ხარვეზი. რასაკვირველია, არის. მაგრამ რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან. განა ნაკლი და შეცდომა მას ხელს უშლის მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცეს ჩვენი კულტურის განვითარებაში, რევოლიუციის დიდ მიღწევათ კულტურის სფეროში.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ თვით წინანდელი ენციკლოპედიის „ახალი გამოცემები მეტის მეტად დაძველდნენ. ვინც დღეს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობას იღებს, მოწინავე მუშები, ადმინისტრაციის მოხელეები, მასწავლებლები, კოოპერატორები, პარტიის წევრები, პროფკავშირების მუშაკები, ალმასკომის წევრები სტუდენტები, პროლეტარული ინტელიგენტები, მწვავედ გრძნობენ ისეთი ენციკლოპედიის მოთხოვნილებას, რომელიც დროის შესაფერი იქნება და წმინდა მატერიალისტურ მსოფლმხედველობას გამოხატავს.

**საბჭოთა დიდი ენციკლოპედია სავსებით შეეფერება ამ მიზანს.** ეს არ არის ძველი ენციკლოპედიის გადახედვა და გადახალისება, ეს არ არის მათი „გასაბჭოება"; **ჩვენი ენციკლოპედია** ძირიანად და სრულიად ახალია და სავსებით შეეფერება დღევანდელი დღის მოთხოვნილებასა და საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერების ჩქარ, უმაგალითო განვითარებას. მაშინ, როდესაც ძველი რუსული ენციკლოპედიები იდეალისტური ან ეკლექტური იყო, **საბჭოთა დიდი ენციკლოპედია** გამსჭვალულია ისტორიული მონიზმით და მატერიალისტური მსოფლმხედველობით. მაშინ, როცა ძველი ენციკლოპედია უმთავრეს ყურადღებას საბჭოთა ეკონომიას, პოლიტიკას, პრაქტიკას აქცევს. უკვე პირველივე ტომი მოწმობს, რომ მისი მასალა გამოდგება არა მარტო ცნობების მისაღებად, არამედ საფუძვლიანი, მთლიანი ცოდნის შესაძენად. მაგალითად, **საბჭოთა დიდი ენციკლოპედია** 61 გვერდს უძღვნის აგრარულ საკითხებს, მაშინ, როცა ძველი ბროკჰაუზი ამ საგანს მხოლოდ ერთს გვერდს უძღვნიდა; დღეს ენციკლოპედიაში 36 სვეტი ეხება აგრონომიას, ძველ ბროკჰაუზში, მხოლოდ ორი გვერდი ეხებოდა და სხ... მთელი ტომი სავსებით შეეფერება ჩვენს ეპოქას და სავსებით პრაქტიკულია; ის იძლევა ნამდვილი ცოდნის საგანძურს, დაფუძნებულს საერთაშორისო მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე, ფანტასტიური შეფარდებისა და იდეალისტური საკმაზავის დაუხმარებლად.

ასეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორც **საბჭოთა დიდი ენციკლოპედიაა**, აუცილებელია ნაკლიცა და შეცდომებიც. ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკლი უფრო წიგნის გარეგნობას შეეხება, ვიდრე შინაარსს. მაგრამ სამაგიეროდ, ზოგიერთი რამ ისეთიც არის, რაც მკითხველს მაშინვე თვალში ეცემა და რაც არ შეიძლებოდა ძველს ენციკლოპედიაში ყოფილიყო. წიგნში მოთავსებულია ლენინისა და მარქსის ავტოგრაფები, ფერადებიანი რესპოდუქცია რევოლიუციონური პლაკატებისა, დიაგრამები ეკონომიისა და პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე.

ელექტრონის ლამპის განათება მივარდნილ ქოხში და დიდი ენციკლოპედიის გამოსვლა საბჭოთა კავშირში ერთი და იმავე რიგის მოვლენაა. ამიტომ, ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ამ ფაქტს და ამ გამარჯვებას აღვნიშნავთ.

ბ. ვ.

ორშაბათს, 10 მაისს, საღამოს 6 საათზე

მოწვეულია

## თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა

1. **კომუნალური სექცია** წითელი თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახ. სახლი).
2. **განათლების სექცია** ალმასკ. განათლების განყოფილებაში.
3. **ჯანმრთელობის სექცია** „ ჯანმრთელობის განყოფილებაში.
4. **სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის სექცია** ალმ. საადგილ-მამულო განყოფილებაში.
5. **სამხედრო სექცია** ალმასკომის დარბაზში.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ნ. 1280

# ხელოვნება

### შ. მჭედლიშვილის სახელობის სტუდია მოსკოვში

მოსკოვში არსებულ ვახტანგ მჭედლიშვილის სახელობის რთულ სტუდიის განსაკუთრებულ პირ ში უხდება მუშაობა. ერთი წლის განავლობაში რამოდენიმეჯერ უნდოდათ სტუდიის დახურვა, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოთ დამთავრდა.

სტუდიამ თავისი ძალების გამოსაცდელი წარმოდგენა დანიშნა 19 აპრილისათვის; უკვე მზად იყო კოსტუმები, პიესა: „სამეგრელოს მთავარი—ლევანი"-სათვის, პიესას სდგამს მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის აქტიორი ლ. ვოლკოვი, მოწვეულია მოსკოვის ცნობილი მხატვარი ს. ივანოვი, დაწერილია სპეციალური მუსიკა, თავგამოდებით მუშაობს, რეჟისორი დემიდოვი—და აი, სწორედ ამ დროს, მოდის განკარგულება, (4 აპრილს), რომ სტუდია დაუყოვნებლივ წავიდეს თბილისში.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, სტუდიამ მიიღო ნებართვა, რომ დარჩენილიყო მოსკოვში და ჩაეტარებია წარმოდგენა. წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა და საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე. მან დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ყველაში. თავისი პირველი წარმოდგენის გამო, სტუდიამ მისალოცი დეპეშა მიიღო საქ. ხელოვნების მთავარ საბჭოსაგან და საქ. მწერალთა კავშირისაგან. გრძნობით სავსე წერილი მიიღო აგრეთვე სუმბათაშვილ-იუჟინისაგან. არის აუარებელი წერილები და მილოცვები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან და პირებისაგან.

სტუდიის პირველმა წარმოდგენამ დაამტკიცა, რომ ჩატარებულია დიდი მუშაობა, საქმე გვაქვს მომავალ დახელოვნებულ აქტიორებთან და რეჟისორებთან.

სტუდიის ნაყოფიერი მუშაობის დასრულებისათვის საჭიროა, რომ მას მიეცეს საშუალება კიდევ რამოდენიმე ხანს დარჩეს მოსკოვში და დაავგირგვინოს დაწყებული საქმე.

ნ. მ.

### ხელოვნების ქრონიკა

— **„ძინა ძაძუ-ს** საზოგადო განხილვა მოხდება დღეს კინო „არფასტო"-ში.

— **ლადო გუდიაშვილის** სურათების გამოფენა იხურება დღეს, საღამოს 6 საათზე. ამ დ'ომ ის გამოფენა ღია იქნება.

— **„პრიქინა ბუხარზე"**. დღეს, ოპერის თეატრში მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის მიერ მეორედ წარმოდგენილი იქნება: „პრიქინა ბუხარზე".

— **ილია ჭავჭავაძის** ნაწერების მეორე ტომი გამოვა ამ დღეებში.

— **„ძმები"**. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ს. რამონიძის 5 მოქმედებიანი დრამა „ძმები".

— **პოეტ მიქელ პატარაძის** ლექსების წიგნი გამოვა ივნისის პირველ რიცხვებში.

# კინო

**„არსენა ყაჩაღი" საზღვარ-გარეთ.** საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის წარმომადგენლობამ მოსკოვში „როიალ ფილმთან" დასდო ხელშეკრულება სახელმწიფო კინო-მრეწველობის სურათების ბალტიის განაპირა სახელმწიფოებში გაქირავების შესახებ. ქ. რიგაში პირველად ნაჩვენებ იქნა სურათი **„არსენა ყაჩაღი"**. სურათმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ის მიდიოდა 2 კვირის განმავლობაში. კინო თეატრ „სტეინაში" შემოსავალი არაჩვეულებრივი იყო ამ თეატრისათვის. „არსენა ყაჩაღის" შემდეგ ბალტიის განაპირა სახელმწიფოებში ნაჩვენები იქნება „სამი სიცოცხლე", „ტარიელ მკლავაძე", „უაილდ ვესტის მხედარი" და „ნათელა".

**სახელმწიფო კინო-მრეწველობის სურათები ოსმალეთში და სპარსეთში.** „ვოსტოკ ფილმმა" სპარსეთისა და ოსმალეთისათვის შეისყიდა სახელმწიფო კინო-მრეწველობის სურათები „ტარიელ მკლავაძე", „მამის მკვლელი", „უაილდ ვესტის მხედარი", „შუქურას საიდუმლოება" „ნათელა" და „სამი სიცოცხლე".

„ვოსტოკ ფილმთან" დადებულია მეორე ხელშეკრულება ოსმალეთში და სპარსეთში სურათების გადაღების შესახებ სახელმწიფო კინო-მრეწველობის მიერ მიღებულ სცენარების მიხედვით. სახელმწიფო კინო-მრეწველობა „ვოსტოკ ფილმის" განკარგულებაში გზავნის რეჟისორს, ოპერატორს და საჭირო სამხატვრო და ტეხნიკურ პერსონალს.

# იურიდიული რჩევა-დახმარება

### ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ ტრამვაის ელსადგურში ქვა-ნახშირის მუშად. ვღებულობ ჯამაგირს მე-4-ხე თანრიგით 31 მან. და 68 კაპ. აგრეთვე მეძლევა პრემიალური სახით—20 მან. ზედმეტი ნამუშევრის. ვცხოვრობ პირველ უბანში დუშეთის ქ. სახლი № 21-ში. მიჭირავს ერთი ოთახი დაბლა სართულში, სივრცით 50 კვ. არშინი. წინად ვძლევდი ქირას 1 მან. და 50 კ. რაოდენობით, ეხლა სახლის პატრონი კი მთხოვს თვეში 8 მან.

გთხოვთ მიპასუხოთ, თუ რამდენი მეკუთვნის თვეში ოთახის ქირა. ვარ კავშირის წევრი 1921 წლიდან (წიგნაკის № 435), ჩემთან სცხოვრობს სამი სული, რომლებიც იმყოფებიან ჩემ ხარჯზე.

**მუშა ბესო გაგნიძე.**

პასუხი

თანახმად მომქმედი საბინაო ტარიფისა, ბინის ქირას თქვენ იხდით ძირითადი ხელფასის (31 მან და 6 კაპ.) მიხედვით თვითეულ კვ. არშინზე ორი კაპ.

### ვინ უნდა ამინაზღაუროს ზარალი და როგორ მოვიქცე

კითხვა

მე ვმსახურობდი ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტის ლაზარეთში. გას. წლის 18. დეკემბერს მოქ. მარო მჟავანაძემ (სცხოვრობს ლენინის ქუჩ. სახ. № 33-ში), კერძო ინტერესით ცილი დამწამა. სანამ ბრალდება სასამართლოს წესით გაირჩეოდა, მე მოხსნილ ვიქენი სამსახურიდან. დამპატიმრეს კიდეც და ვიჯექი გამსახლში 4 თვე. როცა დაინიშნა საქმის გარჩევა, მჟავანაძემ ის ბრალდება ვერ დაამტკიცა, ვინაიდან იგი სიმართლეს არ შეეფერებოდა, რის გამო სასამართლომ მცნო უდანაშაულოთ და გამამართლა. მას შემდეგ დავდივარ უადგილოთ და ოთხი თვის ჯამაგირიც მეკარგება.

ამისათვის გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, თუ ვინ უნდა ამინაზღაუროს ჩემი გაცდენა და ზარალი.

**მზარეული, კავშირის წევრი სტეფან ფილიშვილი.**

პასუხი

**თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 47-ის აბზაცი „ე"-ს ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1925 წ. 16 იანვრის განმარტების მუხ. 4-ისა,** ყოველ შემთხვევაში დამქირავებელი (ე. ი. თქვენი ადმინისტრაცია) სრულებით არ არის გალდებული აგინაზღაუროს თქვენ ეს ზარალი, თუ კი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია არ დაავალებს მას ასეთი (ზარალის) ანაზღაურებას.

თქვენ გაქვთ უფლება ცილისწამებისათვის მისცეთ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით მოქ. მჟავანაძე, თანახმად **სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 181-ისა. გაქვთ უფლება მასვე სასამართლოს წესით, თანახმად სამოქალაქო სამართლის მუხ. 409 და 410-ისა წარუდგინოთ სამოქალაქო ხასიათის სარჩელი და მოითხოვოთ მისგან ზარალის ანაზღაურება.**

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** მუშა და გლეხ-ქალის განყოფილება აცხადებს, რომ ორშაბათს, 10 მაისს, საღამოს 5½ საათზე შრომის სკოლის შენობაში (ჟუკოვსკის ქ. № 9), შესდგება ყველა ხელმძღვანელთა, მამასახლისთა სექციის ბიუროების წევრთა თათბირი, ხოლო საღამოს 6 საათზე შესდგება ჩვეულებრივი მეცადინეობა ზემოაღნიშნულ სექციებში.

საღამოს 5½ საათზე სავალდებულოა ყველა ხელმძღვანელების, მამასახლისების და ბიუროს წევრების დასწრება, ხოლო 6 საათზე სავალდებულოა ყველა იმ დელეგატქალების დასწრება, რომლებიც მეცადინეობენ სექციებში.

დელეგატ-ქალის გამოუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უჯრედის ქალთა ორგანიზატორს.

საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო კოლეგიის მორიგი სხდომა** შესდგება **სამშაბათს**, 11 მაისს, დილის 8 საათზე, ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომი** აცხადებს, რომ სამშაბათს 11 მაისს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში მოწვეულია **საუჯრედო ბიუროების კონფერენცია** მეორე რაიონის ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების ფრაქციებთან ერთად.

სავალდებულოა უჯრედების ყველა მდივნების, ბიუროს წევრების და ფაბრიკა-ქარხნების, ბიუროს წევრების და ფაბრიკა-ქარხ[illegible]ება დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** აცხადებს, რომ სამშაბათს, 11 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ახალ კლუბის შენობაში (სასახლის 5), შესდგება უჯრედთა ბიუროების კონფერენცია ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების ფრაქციებთან ერთად.

---

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ ორშაბათს, საღამოს 5½ საათზე მე-5-ე ახალ მუშათა კლუბის შენობაში (სასახლის 5), მოწვეულია მზექდავთა დიასახლისების თათბირი ქალაქის რაიონის ყველა სტამბების მუშა ქალებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა მუშა-ქალების, დიასახლისების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება.

დღის წესრიგში სდგას საკითხი—„ქალი და რევოლიუცია".

კრების დამთავრების შემდეგ კინო-წარმოდგენა.

საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს სასწრაფოთ გამოცხადდნენ კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ჩარკვიანთან**.

1) გიორგი როსტომის ძე ანასაშვილი, 2) ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე არხიპოვი, 3) სოფიო თედორეს ას. ქურიძე, 4) ავქსენტი მოსეს ძე კოკაია, 5) ლეონ აგალის ძე ხოჯამიროვი, 6) ნადმი ტიმოთეს ძე ზინჩენკო, 7) ტატიანა დიმიტრის ასული კაპანაძე, 8) ვერა სიმონის ასული ბრეგვაძე, 9) ვასილ პავლეს კამაკაშვილი, 10) ხარიტონ გრიგოლის ძე პინჭარაძე, 11) ხოსროვ ეგორის ძე არეშოვი, 12) ვასილ ძნელაძე.

---

დამწუხრებული დედა ნინო, მეუღლე ეკატერინე შვილები: სერაფიმა (სიმა), მიშა, თამარი და სიძე გიორგი ზედგინიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას 9 მაისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება 10 ს. წირვა და 12 ს. პანაშვიდი გარდაცვალებულ

**რაჟდენ (ლადო) მალაქიასძე მირიანაშვილის**

მოსაგონებლად ქ. 2416

---

დეკანოზი იოსები დიმიტრისძე და მეუღლე მანანა ვასილის ასული, შვილები: ვლადიმერი, ნინო, ლიზა, ნადია, ვერა და ელენე მირიანაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, როთ მათთვის დაუვიწყარი და აუნაზღაურებელი მეგობრის გარდაცვალებულის

**ალექსი [illegible] მირიანაშვილის**

წლის თავზე, დღეს მაისის 9-ს გადახდილ იქნება წირვა დიდუბის ეკლესიაში და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე პანთეონში. დასაწყისი: წირვისა 10 ს., პანაშვიდისა 12 ს. ქ. 2418

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე: ვარლამ (ვალოდია) [illegible] შვილები—შოთა და ოთარი, მულები—მარო და [illegible], დედა ფედოსი, დები—ქენია და ვერა მელაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი და საყვარელი

**ნინა სპირიდონის ასული დოლიძის**

უდროოდ დაკარგვის გამო ორმოცი დღის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება დიდუბის გალავანში კვირას, 9 მაისს, დღის 1 საათზე. 2—2 ქ. 2399

---

ულრმეს მწუხარებაში მყოფი დედა ნინა, ძმა ჟორჟიკა, ბებია პელაგია საყვარელიძისა, დეიდები სონიჩკა და ვერიჩკა საყვარელიძეები, ბიძა კოლია საყვარელიძე და სიძე სერგო ლეჟავა, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი და საყვარელი

**მიშა (მიშიკო) მიხეილის ძე ჯაფარიძის**

უდროოდ დაკარგვის გამო ორმოცი დღის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე სამშაბათს (11 მაისს) საღამოს 5 საათზე ნ. ლ.

---

სამუდამოდ ცრემლ შეუშრობელი მშობლები: ნინო ლევანის ასული და არჩილ ივანესძე ყარალაშვილები, მეუღლე ევგენი მიხეილისძე კარგარეთელი შვილებით—ეთერი და თეიმურაზით, დედამთილი ბარბალე, მულები: სოფიო კარგარეთელი და ალექსანდრა ქართველიშვილისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველების საყვარელი შვილი, მეორესი დაუვიწყარი მეუღლე და მესამესი ძვირფასი რძალი

**მარგო არჩილის ასული კარგარეთლისა**

პანაშვიდი კვირას 9 მაისს, საღამოს 7 საათზე ლერმონტოვის ქ. 29 2422

---

დღეს უკანასკნელად

აპოლო „ნამუსი" სომხეთის ცხოვრებიდან

არფასტო

სოლეი

ანონსი: ხვალიდან, ორშაბათიდან, ყველა თეატრებში ერთსა და იმავე დროს საუკეთესო სურათი:

ძინა ძაძუ

0—26 ნ. 972

დღეს, 9 მაისს

დოლი

დასაწყისი 12 ნახ. საათ.

ნ. 1143

პირველად თბილისში ერთსა და იმავე დროს ყველა დიდ კინო-თეატრებში

ხვალ, ორშაბათიდან, 10 მაისიდან, ცოცხლდება „მეჟრაბპომ რუს"-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების პირველი საუკეთესო ნაწარმოები

აპოლო
პალასი
მინიონი
არფასტო
სოლეი

ძინა ძაძუ

რეჟისორი—
ი. ა. პერესტიანი
ოპერატორები—
ი. ა. ჟელიაბუჟსკი
ა. იალოვა
მხატვარი—
ი. ა. შარლემანი

მთავარ როლებში:

ანჯაფარიძე, თოიძე, ერისთავი-ჟღენტი, ჭავჭავაძე, დავითაშვილი, მიქაბერიძე, ვასაძე და წითლიძე

საზოგადოებრივ განხილვის დროს კვირას, 9 მაისს სურათის ჩვენების დროს სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს რესპ. სახ. არტ. ზ. პ. ფალიაშვილის მიერ სპეციალურად დაწერილ მუსიკას

განხილვის დასაწყისი დღის ზრულ 12 ს. კინო „არფასტო"-ში

ნ. 1275

ა-კ. რკ. გზ. რკინისგზელებს, ყველა ვბ, ვჩ და ვჩპზს, საუბნო დამზღვევ სალაროებს და რკ. გზ. საუბნო პროფკავშირებს

## ცნობად

**რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის და მკურნავ რკინის გზის ექიმის დასკვნის მიხედვით ესაჭიროებათ სანატორიულ-კურორტული ექიმობა უნდა,**

ა) მიიღონ მკურნავ რკ. გზის ექიმისაგან დაწვრილებითი დასკვნა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და იმის შესახებ, რომ საჭიროა მათი გაგზავნა ამა თუ იმ კურორტზე ან სანატორიუმში;

ბ) ეს დასკვნა განცხადებასთან ერთად რკინისგზელმა უნდა შეიტანოს სათანადო საუბნო დამზღვევ სალაროში საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

ვ) საუბნო დამზღვევი სალარო უნიშნავს რკ. გზელს ან მის ოჯახის წევრს, როდესაც იგი უნდა გამოცხადდეს საექიმო-სანატორულ კურორტულგამომრჩევ კომისიაში გასასინჯათ,

გ) განცხადებების მიღება საუბნო დამზღვევ სალაროში ექიმების დასკვნით სანატორულ-კურორტულ ექიმობის საჭიროების შესახებ იწარმოებს 1925 წლის 10 მაისიდან 10 ივნისამდე.

აღნიშნულ ვადის შემდეგ არავითარი განცხადებები სანატორულ-კურორტულ ექიმობის შესახებ მიღებული აღარ იქნება.

**ა-კ. რკ. გზ. დამზღვევი სალარო**

**ა-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველო**

533 2—1

მოქალაქენო!

**თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ**

**მ. ლაღიძის** საუკეთესო, ხელოვნურათ მომზადებული **ხილეულ-მადნეული და სამკურნალო წყლები,**

**რომლებიც მომზადებულია უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადული წყლით უალრესად გაუმჯობესებულ აპარატებზე.**

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოთ იმ წყლის კეთილ ღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ან მისი საკუთარი განყოფილებიდან.

ნ. 1267 4—1 რუსთველის გამზირი № 18.

**ქვირას, ა | წ. 30 მაისს, დილის 10 საათზე**

საზოგადოება „სამშენი"-ს ბინაზე (თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა, მე-2 სართული) ინიშნება აღნიშნულ

## საზოგადოების აქციონერთა საზოგადო საგანგებო კრება

**დღის წესრიგი:**

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ.
2. დირექტორების დანიშვნა.
3. დარჩენილ აქციების განაღდება და ძირითად თანხის გადიდება.
4. მიმდინარე საკითხები.

აქციონერებს შეუძლიანთ საზ. „სამშენი"-ს ბინაზე გაეცნონ ყოველგვარ მასალას და გამგეობის საქმიანობას თანახმად წესდებისა.

ნ. 1271

## ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დადგენილება

**1926 წ. 26 აპრილი.**

(პლენარული სხდომა № 14—4—9)

**საექსკურსიო ტარიფის შემოღების შესახებ ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, თბილისში მიმავალ ექსკურსანტ-გლეხებისათვის.**

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში 3.000 (სამი ათასი) ექსკურსანტ-გლეხის გამგზავრების დროს ა. კ. რკ. გზ. ყველა სადგურებიდან თბილისამდე და უკან დაბრუნებით, ა. წ. 15 მაისიდან 20 ივლისამდე შემოღებული იქნას ნორმალურ საექსკურსიო ტარიფზე 50 პროც. დაკლებული ტარიფი.

ეს საექსკურსიო ტარიფი უნდა იქნას გატარებული იმ შემთხვევაში, როდესაც გამგზავრების სადგურზე წარდგენილი იქნება სპეციალური მოწმობები ა.-კ. რკ. გზ. ფორმით № 1. მოწმობებს გამოფენის კომიტეტი გაანაწილებს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებს შორის, უკანასკნელნი შეავსებენ ამ მოწმობებს თვითეული ექსკურსანტისათვის ცალკე და ხელს მოაწერენ სათანადო მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის პასუხისმგებელი პირნი დაწესებული ბეჭდის დასმით.

ეს მოწმობები ნამდვილია მოხოლოდ ერთხელ გასამგზავრებლად და გარდა ამისა უნდა იქნას შემოწმებული ა.-კ. რკ. გზ. საგადასახადო ნაწილის ბეჭდის დასმით, ურომლისოდაც მოწმობა ნამდვილი არ არის.

ეს ტარიფი არ ვრცელდება რბილ რონოდებით და ჩქარი მატარებლით მგზავრობაზე.

საპლაცკარტო გადასახადი ადგილის დასაჭერათ აღებული იქნება საერთო წესით უშეღავათოთ.

იმ პირებმა, რომელნიც იმგზავრებენ შეღავათიან საექსკურსიო ტარიფით, უნდა იქონიონ და წარუდგინონ კონტროლიორს ბილეთთან და სამგზავრო მოწმობის ტალონთან ერთად დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს დაკლებული ტარიფით მგზავრობის უფლებას.

ეს საექსკურსიო ტარიფი ძალაში შედის მის გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ.

ქ. თბილისი, 1926 წ. 6 მაისი.

ნის. 1267

თანახმად ა | კ. სახკომსაბჭოს № 4 (თებ. 1925 წ.) დადგენილებისა საქ. ს.მ.უ.ს. ეკონომიურ სამმართველოში დამტკიცებულია

## სავაჭრო ნიშნები

**შემდეგი ფირმებისა**

1. ფ. **„ჩვენი მიზნისა"** ღვინ. საწყ. ზურ. და აიკა ბაყლიშვილებისა მარკად თავდახურული ქართველი ქალია ყურძნის მტევნით ხელში. წარწერა ქართულად და რუსულადაა „კახური ღვინო „ჩვენი მიზანი" ა. და ზ. ბაყლიშვილები თბილისი კახეთ. მოედ. № 6
2. ფ. **„კახეთის დოვლათისა"**, ღვინ. საწყ. კონსტ. ფილ. ინაშვილისა. მარკად წითელ ფონში ჩახატული ქართულად თავდახურული ქალია, რომელსაც გაშვერილ ხელში ხონჩა უჭირავს. ხონჩაზე ბოთლი ჭიქა და ყურძნის მტევანია. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო „კახეთის დოვლათი" კ. ფ. ინაშვილი".
3. ფ. **„ჩვენებურისა"**, ღვ. საწ. გიგო ნასყიდასძე სარიევისა. მარკად კასრზე შემჯდარი სირაჯია ბოთლით ხელში. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „ბუნებრივი კახური ღვინო „ჩვენებური".
4. ფ. **„ყვარელისა"** ღვ. საწყ. ნიკ. ქაიხ.-ძე მათეშვილისა. მარკად წრეში ჩახატული საქ. სამხედრო გზაა. წრეს გარეთ აწყვია კასრები ბოთლები და ხელადები. წარწერა რუსულად და ქართულადაა: „კახური ღვინო „ყვარელი". ნ. ქ. მათეშვილი".
5. ფ. **„სახალხოსი"**. ღვ. საწყ. იოსებ ჩიტაშვილისა და კონსტ. ივ.-ძე სესიაშვილისა. ეტიკეტზე წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო „სახალხო" წყნეთის ქ. № 2.

მრეწველ. ინსპექტ. ა. მებურიშვილი

ნ. 1270 კანცგამგე ა. შენგელია

### სამტრედიის კონტრაგენტს

## მიხა წულაიას

გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას გაასწოროთ მასთან ყოველგვარი ანგარიშები

მასთან გევალებათ გვაცნობოთ სახელი და გვარი იმ ხელის მომწერლების, რომლებიც არ იხდიან ხვედრ თანხას.

0—1 **„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა**

## კავშირიდან გამორიცხვა

მედსანშრომის პროფ. კავშირის საქართველოს ც. გ.—ის აჭარისტანის საოლქო განყ. გამგეობის დადგენილების თანახმად (ოქმი № 10 § 103), რაც დამტკიცებულ იქნა კავშირის ცენტრალურ გამგ. პრეზიდიუმის მიერ, **გამორიცხული არიან კავშირის წევრთა რიგებიდან** ბათომის მთავარ საავადმყოფოს უფროსი ექიმი **შუშანია** ერთი წლით და იმავე საავადმყოფოს სამნეო ნაწილის გამგე **ვასაძე** სავსებით.

პირველი იმიტომ, რომ ის თავისი მოქმედებით ხელს უშლიდა საერთო საკავშირო მუშაობას და სცემდა კავშირის ავტორიტეტს, მეორე კი როგორც ყოფ. ბოქაული.

ნ. 1272. **კავშირის ცენტრალური გამგეობა.**

### ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 14 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 1 კათოლიკების ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ქრისტეფორე პარემუზოვის მოძრავ ქონებას: სამოც ვედრო ღვინოს. შეფასებულს 146 მანეთად, ნიკოლოზ აჯიმამუტოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 16 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 961 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2414

### ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ 12 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 17 კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ბუღდან წყალობის ძე აკოფოვის მოძრავ ქონებას: ღვინის სარდაფის ავეჯეულობა. შეფასებულს 153 მანეთად. ქალაქ თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 მარტს 1926 წ. თარიღით № 1383, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1279

### გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გიორგი ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 10 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე, ადგილობრივ სოფ. თორტიზაში დანიშნულია თორტიზის მთლიან კოოპერატივის „ეპოს" ქონების საჯარო ვაჭრობა ქონება შეიცავს: პურის ხორბალს, ქერს, ლობიოს, რკინის ბადეს, ცარიელ ტომრებს, რკინის კასრებს ნავთისათვის, რკინის ჩანს ნავთისათვის, დიდ სასწორს, სალეწავ მანქანას, უბრალო მაგიდებს, ქიშმირის თავშალებს, მიხაკის ფერ შალებს, სხვადასხვა ფართალს და სხვ. სულ შეფასებულს 1511 მ. 50 კ. სრულიად კავშირის საფეიქრო სინდიკატის და სხვ. ვალების დასაკმაყოფილებლად თანახ. ქ. თბილისის მე-2 უბ. სახ. სამ. ბრძანებისა 29 დეკემბერს 1926 და სხვ. ნ. 1268

### ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 12 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 11 კავერის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის უფლებას ალექსანდრე ბაბაჯანავის ნახევარ უძრავ ქონებას: ერთსართულიანი სახლი, რომელშიაც არის ერთი ფართე ოთახი, რომელშიაც იყო წისქვილი და სამი საცხოვრებელი ოთახი ნახევარს—შეფასებულს 2000 მანეთად, „სევკავტორგის" ცეტეუ და ზეთსახდელი საპნის ტრესტი ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 5 ნოემბერს 1925 წ. თარიღით, № 1724 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2419

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

მიღება ახალ ჯგუფში არის 15 მაისამდე დილის 9 საათიდან 1 საათამდე სახელოსნო კლუბის მდივანთან **პლეხანოვის პრ. № 66** ან კურსების გამგესთან **იოვანე ზაქძე ტერ-სტეფანოვთან** საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე **1 თუმანოვის ქ. № 13.** 2420

## საქართველოს მუზეუმის საამშენებლო კომისია

აცხადებს სხვადასხვა საამშენებლო სამუშაოებზე

**შეჯიბრებას** 14.000 მანეთის ფარგლებში. წერილობითი შეჯიბრება მოხდება ორშაბათს, 10 მაისს, დღის 3 საათზე მუზეუმის აუდიტორიუმში (შესასვლელი ფურცელაძის ქ. № 1, ყოფილი კალოუბნის ქუჩა) ცნობების და პირობების მიღება შეიძლება 9 მაისს დილის 10 საათიდან 11 საათამდე იქვე ინჟინერ **ნ. სევეროვთან.**

ნ. 1263 2—1

## თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება

ჰყიდის დადან-ბლატის ათ ჩარჩოიან სკებს, საკუპნოს და ბუდის ჩარჩოების სრულ კომპლექტით. შეკრული სკა ღირება 10 მან., შეუკრავი 9 მან. ხელოვნური ფიჭა ღირება გირვანქა 2 მანეთი. შემკვეთელის სანთლიდან ხელოვნური ფიჭის დამზადებისათვის იღებს $^1/_4$ სანთლის წონისას, ჭუჭყის წონის გამოკლებით და სანთელის ღირსების მიხედვით.

მისამართი:—თბილისის აღმასკომის აგრონომიული ქვე-განყოფილება აღმასკომი, ოთახი № 269.

ნ. 1281. საადგილ-მამულო განყ. გამგე **ზ. ადიკაშვილი.**

ელექტრონით და სინათლით
**სამკურნალო საშუალებით**
რენტგენი დ'არსონვალი
**მიხეილ გედევანიშვილის**
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—30

**ექ. ე. მ. მქინარიშვილი**
**სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი**
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

**ექიმი ვ. მ. ფხალაძე**
**კანის და ვენერიული სნეულებანი**
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი
**დ. ა. გედევანიშვილი**
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32
25—8

**ექიმი ჯალალოვი**
**კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914" ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.**
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე; ქალები 4—5 საათ. საღამოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—1

**ექიმი ი. დ. თოფურიძე**
კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) საღამოს 6—7.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
**ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა**
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

დაბრუნდა
**ექიმი ზანდუკელი**
**შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი**
მიღება საღამოს 7—8 საათ., ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82
25—1 ქვ. 2356

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
**მ. წინამძღვრიშვილი**
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—5
25—16

**სათვალეების მორგება**
**უფასოდ**
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმდევაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

**ექიმი არსენ ვადაჭკორია**
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. სალ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 35
25—11

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
**შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი**
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

**თვალის ექიმი**
**მაევსკი**
**პლეხანოვის პროსპექტი**
ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დე 8-მდე. 35—

ექიმი
**გ. ნ. ონანოვი**
**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა**
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—1

**დოქტორი გ. მეგრაბიანი**
**ფილტვების, გულის და ციების**
წამლობა ხელოვნიური მთის მზით პნეიმოტორაკსის და ტუბერკულოზის, რენტგენის და სინათლით ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 სალ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

**დაკარგვე** პირადობის მოწმობა № 3587, მორდეჲ ისაკის ძე მალანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2421

**დაკარგვე** სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 6125, ალექსანდრე კანტურიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1278

**დაკარგვე** პირადობის მოწმობა ოსებ ელიასძე მოშიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1273

**დაკარგვე** ერთი აქცია № 133 მიღებული ფოთის კომბანკიდან 1925 წლ. 3 აგვისტოს ვასილ ქაჯაიაშვილის სახელზე, ჩ, გ. 1274

**დაკარგვე** რკ. გზ. პროფკავშირის წიგნაკი № 432835 პლატონ [illegible]კ ოლოზის-ძე კასრაძეს სახელზე ჩ. გ. 2411

**დაკარგვე** სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 ერმალოზ შანიძის სახელზე, ჩ. გ. 2415

**დაკარგვე** პასპორტი № 24520 პავლე შპეტიშვილის სახელზე ჩ. გ. 2417

**დაკარგვე** აღრიცხვის მოწმობა № 2744 და განთავისუფლების № 2203, დავით სარდიონისძე კორძაიას სახელზე ჩ. გ. 2412

ტირაჟი. 202.14

[illegible] საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა [illegible]